

178
1965/2



სახვითა სამართალი

საქართველოს კვლევითი კომიტეტის გამომცემლობა

1965

3

საბჭოთა სამართალი

№ 3

მაისი—ივნისი

1965 წელი

გამოცემის XII

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შინაარსი

დიდ სამაგულო ომში გამარჯვების 20 წლისთავისათვის

- ვ. პაპიტაშვილი — ომის მრისხანე დღეებში 3
- ს. ხარაზიშვილი — მოსკოვის მისადგომებიდან ბერლინამდე 8
- შეხვედრა ომის ვეტერანებთან 18

6986

- კ. ვაჩიშვილი** — მოწმის ჩვენების შეფასების ზოგიერთი საკითხი სასამართლო პრაქტიკაში 21
- ა. ხოჭოლავა — გარიგებების და ადმინისტრაციული აქტის ბათილობის საკითხები 30
- ც. შარია — არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედობის მიზეზები 45
- დ. ავერინი — სსრ კავშირში უცხოეთის არბიტრაჟების გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების საკითხისათვის 54

კომენტარები ახალ კანონმდებლობაზე

- გ. დევდარიანი — საკოლმეურნეო კომლის ზოგიერთი საკითხი ახალი სამოქალაქო კანონმდებლობით 58

წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის

- შ. ლეკვეიშვილი — აუცილებელია შეივსოს კანონის ხარვეზი 64

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

- შ. გელაშვილი — არასრულწლოვანთა და ახალგაზდობის შორის დანაშაულის აღკვეთისათვის 68
- დ. გიორგაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პარტიულ-საბჭოთა კონტროლის კომიტეტის ხელშემწყობი ჯგუფის საქმიანობის შესახებ 71
- ვ. სიღამონიძე — ქართული სამართლის ისტორიიდან 74

მოწინავეთა კორტრეტები

- ლ. ისაკაძე — მუდამ ძიებაში 79
- ოფიციალური მასალა 82

კრიტიკა და ბივლიოგრაფია

- გ. კვარაცხელია — იურიდიული ტერმინოლოგიის გამო 85
- ხ. როგავა — მონოგრაფია საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან პრობლემებზე 89

ინფორმაცია 92

ნეკროლოგი 96





СОДЕРЖАНИЕ

К 20-ЛЕТИЮ ПОБЕДЫ В ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЕ

В. Папиташвили — В суровые дни войны	3
С. Харაзишვილი. — От подступов к Москве до Берлина	8
Встреча с ветеранами войны	18

К. Вачешვილი — Некоторые вопросы оценки показания свидетеля в судебной практике	21
А. Хочолава — Вопросы недействительности сделок и административных актов	30
Ц. Шариа — Причины правонарушений несовершеннолетних	45
Д. Аверин — К вопросу о признании и исполнении в СССР решений иностранных арбитражей	54

КОММЕНТАРИИ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Г. Девдариани — Некоторые вопросы колхозного двора по новому гражданскому законодательству	58
--	----

ПРЕДЛОЖЕНИЯ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Ш. Леквешვილი — Необходимо восполнить пробелы закона	64
--	----

ПРАКТИКА ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ

Ш. Гелашვილი — О ликвидации преступлений среди несовершеннолетних и молодежи	68
Д. Гиоргадзе — О работе группы содействия комитета партгосконтроля аппарата Верховного суда Грузинской ССР	71
В. Сидамонидзе — Из истории грузинского права	74

ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ

Л. Исакадзе — Всегда в поисках	79
--	----

ОФИЦИАЛЬНЫЙ МАТЕРИАЛ

	82
--	----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. Кварацхелиа — О юридической терминологии	85
Х. Рогавა — Монография о важнейших проблемах международного права	89

ИНФОРМАЦИЯ	92
----------------------	----

НЕКРОЛОГ	94
--------------------	----

შპ. № 2086
ტირაჟი 5000
შპ 07827

სარედაქციო კოლეგია
ო. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
პ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკირველი,
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,
ხ. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09 62

გადაეცა წარმოებას 12.VI-65 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.IX-65 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინს ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.



ომის გმირთა ღვაწლი

მ. პაპიძის შესახებ

თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე, იუსტიციის პოლკოვნიკი.

ოცი წელი გავიდა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან.

საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ქება-დიდებათ იხსენებს „საბჭოთა ჯარისკაცის“ გმირობას, რომელმაც გვიჩვენა უმაგალითო სიმამაცე, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, ერთგულება თავისი ხალხისადმი, უდიდესი იდეურობა, უღრმესი ინტერნაციონალიზმი.

ვლადიმერმა რა „საბჭოთა ჯარისკაცზე“ ჩვენ პირველ რიგში ვგულისხმობთ დიდ სამამულო ომში მონაწილე ფეხოსანსა და ტანკისტს, მფრინავსა და მეზღვაურს, ყველა სხვა გვარეობის ჯარების მებრძოლებს.

მათთან ერთად შეიარაღებული ძალების რიგებში სასახელოდ იხდიდნენ თავიანთ მეომრულ მოვალეობას სამხედრო იუსტიციის ოფიცრები.

იოლი როდი იყო გზა, რაც მათ განვლეს განსაცდელებით აღსავსე 1941-1945 წლებში. ომმა იუსტიციის ორგანოების მუშაკებსაც გაზრდილი მოთხოვნები წაუყენა. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა, რომ სამხედრო იუსტიციის მუშაკებს მთელი საქმიანობა დაქვემდებარებოდა მოქმედი არმიის ნაწილებში, ჟრონტისპირა რაიონებსა და ზურგში ცალკეული სამართალდარღვევის წინააღმდეგ სწრაფი და ეფექტური ბრძოლის უზრუნველყოფას.

იუსტიციის ოფიცრები ხშირად საბჭოთა მეომრების მხარდამხარ უშუალოდ მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციებში.

ომის დასაწყისში მე ვმსახურობდი სამხედრო ტრიბუნალსა და სამხედრო პროკურატურაში. პირველსავე ორ თვეში ჩვენი სამხედრო ტრიბუნალის წევრთა, პროკურორთა, გამომძიებელთა და მდივანთა წრიდან მოკლულ იქნა და მძიმედ დაიჭრა 20 კაცი. თუ მხედველობაში მივიღებთ იუსტიციის ოფიცრთა შემადგენლობის მცირერიცხოვნებას, დანაკარგი მეტად დიდი იყო.

სამხედრო იუსტიციის ორგანოების ოფიცრები სასახელოდ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას, თავიანთი წვლილი შეჰქონდათ მტრის განადგურებაში.

მდგომარეობის სირთულე, რომელშიც ჩვენს ორგანოებს უხდებოდათ საქმიანობა, ერთდროულად გულისხმობდა როგორც კანონიერების განუხრელად დაცვისათვის ბრძოლის გაძლიერებას, ისე იმასაც, რომ ყურადღებით და გულისხმიერად მივდგომოდით თითოეული ადამიანის ბედის გადაწყვეტას.

ახლა, ოცი წლის შემდეგ, ჩემს თვალწინ ცოცხლდება 1941-1945 წლებში განვლილი გზა, მაგონდება იმ დროის ცალკეული ეპიზოდები.

ომი ახლად დაწყებული იყო. მტრის ჯარები ძალების მოწოდების გამო ჩვენი ჯარები უკან იხევდნენ, კი არ გამოიხდებოდა, იხევდნენ ორგანიზებულად, სჯეროდათ, რომ ისინი კვლავ დაბრუნდებოდნენ უკან. მეომრების უმრავლესობისათვის უცხო რამ იყო პანიკა და ლაჩრობა.

მაგრამ ზოგჯერ ვაწყდებოდით ნერვიულობის, თავდაუქერლობის გამოვ-

ლენის ცალკეულ ფაქტებს. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც გამოუცდელიობით ზოგიერთ ჯარისკაცს თავგზა ებნეოდა, ავიწყდებოდა თავისი მეომრული მოვალეობის შესრულება.

ამით შეიძლებოდა მხოლოდ ახსნილიყო რიგითი სერგეევის მძიმე დანაშაული, რაც მან სამშობლოს წინაშე ჩაიდინა. იგი წარმოშობით სვერდლოვის ოლქიდან იყო, არმიაში მსახურობდა 1940 წლის დასაწყისიდან. ომმა მას საზღვარზე მოუსწრო.

... მტრის სატანკო კოლონები განუწყვეტლივ უტევდნენ ჩვენს ნაწილებს, მიწა ზანზარებდა საარტილერიო ჭურვების აფეთქებისაგან.

ლტოლვილები აღმოსავლეთისაკენ მობრუნდნენ, ვაგრცელდა ხმა, რომ ამ რაიონს მტერმა ალყა შემოარტყა.

ახალგაზრდა ჯარისკაცს ნერვებმა უღალატეს... იგი შეუერთდა სამოქალაქო პირთა ჯგუფს და აღმოსავლეთისაკენ გამოიქცა. სერგეევი დაკავებულ იქნა 50 კილომეტრის გავლის შემდეგ. მას იარაღი უკვე აღარ ჰქონდა. სერგეევმა გულწრფელად აღიარა ჩადენილი დანაშაული. ბრძოლის ველიდან გამოქცევისათვის იგი გასამართლებულ იქნა ომის დროის კანონების მთელი სიმკაცრით. განაჩენის დამტკიცების მომენტისათვის, გერმანელებმა განახორციელეს გარღვევა და იმ ადგილს მიუახლოვდნენ, სადაც იმყოფებოდა პატიმარი სერგეევი.

მებრძოლებმა, მათ შორის ბადრაგებმა, ბრძოლა გაუმართეს მტერს. ისინი ილუპებოდნენ უთანასწორო ბრძოლაში... და აი ერთ-ერთი მოკლული ზადრაგის ადგილი მსჯავრდებულმა დაიკავა. იგი რამდენიმე საათის განმავლობაში გააფთვრებულ ბრძოლას ეწეოდა მტრებთან, დამხმარე ნაწილების მოსვლამდე შესძლო გამაგრებულიყო თავის ზღუდვზე.

ეს ფაქტი დაუყოვნებლივ მოხსენდა სარდალს, რომელიც აღჭურვილი იყო განაჩენის დამტკიცების ან შეცვლის უფლებით. მან მიიღო გადაწყვეტილება — განაჩენი შეიცვალოს, სერგეევი გაიგზავნოს ბრძოლის წინა ხაზზე და ჩაითვალოს, რომ მან მთლიანად გამოისყიდა თავისი დანაშაული.

საბრძოლო მოქმედების რაიონებსა და ფრონტისპირა ზოლში ფაქტიურად სამხედრო ტრიბუნალები იხილავდნენ ყველა სისხლის სამართლის საქმეს. მათ შორის — სამოქალაქო პირთა საქმეებსაც. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ჯერ ერთი, ტრიბუნალებს ექვემდებარებოდა საქმეების უმრავლესობა და მეორე — ბევრ რაიონში სხვა სასამართლო ორგანო არც იყო.

ამის გამო იყო, რომ 1941 წლის შემოდგომაზე ჩვენს განსახილველად შემოვიდა სამი სამოქალაქო პირის საქმე, რომელთაც ბრალად ედებოდათ კოლონიიდან გაქცევა.

ერთ-ერთი მათგანი გვარად ბლოხინი მე კარგად დამახსოვდა. ბლოხინი 22 წლისა იყო. ეს იყო საშუალოზე ოდნავ მაღალი ჭაბუკი, ხუჭუჭი თმით, ჰქონდა არარუსული სახე, თუმცა საბუთებით რუსი იყო. იგი სამჯერ იყო გასამართლებული და სამივეჯერ ბინის ქურდობისათვის. უკანასკნელი განაჩენით მას მოსახდელი ჰქონდა წელიწადნახევარი პატიმრობა.

მან, ისევე როგორც მისმა ამხანაგებმა ვაგვიმარტეს, რომ გამოიქცნენ კოლონიიდან იმ მიზნით, რომ მოხვედრილიყვნენ ფრონტზე, მოქმედ არმიაში და „ერთყაათ ფრიცებისათვის“.

სათათბირო ოთახში ჩვენს წინაშე დაისვა მთავარი კითხვა: დაგვეჯერებინა მათი განმარტებისათვის გამოქცევის მოტივის თაობაზე? გამოორცხული ხომ არ

იყო, რომ ისინი, სისხლის სამართლის რეციდივისტები, იმისათვის გამოიქნენ, რომ მტრის მხარეზე გადასულიყვნენ და იქ ეპოვათ თავშესაფარი.

მაგრამ ისიც შესაძლო იყო, რომ რამდენიმე ნასამართლობის მიუხედავად, ისინი არ იყვნენ მოკლებული პატრიოტულ გრძნობას და გულწრფელად სურდათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სამშობლოსათვის წარმოებულ დიად ბრძოლებში.

და თუ იმ კეთილ გრძნობას, რაც მათ გამოავლინეს მხარს არ დავუჭერდით, უნდობლობას გამოვუცხადებდით, მაშინ ისინი შეიძლება სამუდამოდ დაკარგულიყვნენ ხალხისათვის.

ჩვენ დიდხანს ვთათბირობდით. საქმეს სამი მუდმივი მოსამართლე იხილავდა სახალხო მსაჯულების გარეშე. ორი დანარჩენი წევრების ხმები გაიყო და ჩემს ხმას უნდა გადაეწყვიტა მათი ბედ-იღბალი. მე თვალწინ წარმომიდგა ბლოხინი, მომაგონდა როგორ კუმშავდა მუშტებს, რა სიძულვილით ენთებოდა თვალები. როდესაც მტერზე ლაპარაკობდა. ასეთნაირი ტყუილი შეუძლებელი იყო და მე ვთქვი „მჯერა“.

ფორმალურად ჩვენ უფლება არ გვქონდა მსჯავრდებულნი ფრონტზე გავვეგზავნა, რადგან ისინი ჯარში არ მსახურობდნენ, იყვნენ პატიმრები, რომელთა მიმართაც არსებობდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, გამოტანილი სხვა სასამართლოს მიერ, რომლის გაუქმების უფლება ჩვენ არ გვქონდა.

მაგრამ ომის პირობები გვიკარნახებდა მიგვეღო სწორი გადაწყვეტილება ცხოვრების მიერ წამოჭრილ იმ საკითხებზე, რომლებიც გადაწყვეტილი არ იყო კანონმდებლობით. ჩვენ სწორად მივიჩინეთ გადაგვეღო განაჩენის აღსრულება ომის დამთავრებამდე და ბლოხინი მის ამხანაგებთან ერთად გავვეგზავნა ფრონტზე. და ჩვენ მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება, ამასთან განუმარტეთ მსჯავრდებულებს, რომ თუ ისინი სამშობლოსათვის ბრძოლებში გამოისყიდინენ თავიანთ დანაშაულს, მაშინ აღრინდელი განაჩენი შეიძლება საერთოდ აღარ მოყვანილიყო სისრულეში.

პროცესის დამთავრების შემდეგ მე ვთხოვე ბლოხინს მოეწერა ჩემთვის, თუ როგორ იმსახურებდა იგი ჯარში და მან პირობა მომცა შეასრულებდა ამას.

მრავალი თვე გავიდა ამის შემდეგ და მე დამავიწყდა კიდევ ბლოხინი. ჩვენი საველე ფოსტის ნომერი შეიცვალა, და მე აღარც მოველოდი მისგან ბარათს.

როგორ მომაკვლია მან არ ვიცი, მაგრამ წერილი მისგან მივიღე. მწერდა რომ მსახურობს ფეხოსან ნაწილში, რომელიც გადაუსვრიათ მოსკოვის მისადგომებთან და მას უშუალო მონაწილეობა მიუღია ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის დაცვაში. ბრძოლებში დაჭრილა, გამოჯანმრთელების შემდეგ ხელახლა მოხვედრილა ფრონტზე და კვლავ ომობს.

მაგონდება წერილის დაბოლოება. იგი მწერდა: „ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო (მე სამხედრო იურისტი ვიყავი)! მე არასოდეს არ მიცხოვრია ისეთი სისხლსავსე ცხოვრებით, როგორც აქუამად. მე ნიშანში ვიღებ მტერს, ვანადგურებ მათ და მეჩვენება თითქოს ამ სროლის დროს ტყვიას ვახვედრებ ჩემს შავბნელ წარსულს, რომ მე ვანადგურებ მას“.

მე პასუხი გავეცი ბლოხინს და ამით ჩვენი მიმოწერა შეწყდა.

მინდა დავიჯერო, რომ მტრის ტყვია ასცდა ბლოხინს, რომ მან გამარჯვების შემდეგ დაიკავა კუთვნილი ადგილი საბჭოთა ადამიანებში, ადგილი, რომელიც მან თავისი სისხლით მოიპოვა.

მიწყდა გამარჯვების სალუტის ხმა. ომი დამთავრდა. მთელმა პროგრესულმა

კაცობრიობამ შვებით ამოისუნთქა. მაგრამ ჩვენი ორგანოები კვლავ განაგრძობენ მუშაობას ომის წლების ანგარიშში, ირკვევენ საქმეებს იმ დანაშაულობათა შესახებ, რომლებიც ჩადენილი იყო ომის დროს.

საბრალდებო სკამზე იყვნენ გერმანელი ფაშისტი სამხედრო დამნაშავენი, იაპონელი მილიტარისტები, პოლიციელები და გამცემლები.

ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ არ დაგვიწყენია ბოროტმოქმედებანი, რაც ჩადენილ იქნა ომის წლებში. ჩვენ უფლება არ გვქონდა დაგვევიწყებინა ისინი, ვინაიდან ამ ბოროტმოქმედებების შედეგად დაიღვარა ჩვენი ხალხის სისხლი. ჩვენ არ შეგვეძლო დაგვევიწყებინა იმ ადამიანების ნათელი სახე, ვინც დაიღუპა ფაშისტების ან გამცემლების ხელით.

ამ პერიოდში განხილულ საქმეებიდან მე მაგონდება ერთ-ერთი საქმე, რომელშიც ვაღიოდა დამნაშავეთა ჯგუფი იაპონელ სამხედრო ტყვეთა წრიდან.

სამხედრო ტყვეთა ერთ-ერთ ბანაკში ერთმანეთს შეხვდნენ: რიგითი ჯარისკაცი, ტოკიოს უნივერსიტეტის დოცენტი, მისი ასეულისა და ბატალიონის მეთაური. სამხედრო ტყვეთა შორის დაიწყო დემოკრატიული მოძრაობა. ტყვეების უმრავლესობა მიხვდა, რომ ისინი მოატყუეს თავიანთმა მმართველებმა, რომ ისინი უსამართლო, დაპყრობით ომს ეწეოდნენ. ერთ-ერთი იმათგანი, რომელიც ან აზრს იზიარებდა, იყო ტოკიოს უნივერსიტეტის დოცენტი. ბანაკში არ წყდებოდა დავა იაპონიის შემდგომი ბედის შესახებ.

ერთ-ერთი ასეთი დავის დროს ურთიერთს დაუპირისპირდნენ დოცენტი, მისი ასეულისა და ბატალიონის მეთაური. უკანასკნელი ორი ამტკიცებდა, რომ იაპონია ომში დამარცხდა გამცემლობის შედეგად, რომ უახლოეს ხანში იგი ძალებს მოიკრებს, განახორციელებს საბასუხო დარტყმას და დაიპყრობს საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთს.

დოცენტი ამტკიცებდა, რომ იაპონია დაღუპვის პირას მიიყვანეს სწორედ ისეთმა ადამიანებმა, როგორც მისი მეთაურებია, რომ იაპონიას მომავალი ელის მხოლოდ მშვიდობის პირობებში, რომ მან უნდა იბრძოლოს თავისი ხალხის დამოუკიდებლობის, დემოკრატიულ თავისუფლებათა განვითარებისათვის.

მეთაურები ამ დავაში დამარცხდნენ, ვინაიდან დოცენტს მხარს უჭერდნენ ასობით სამხედრო ტყვეები.

ლამით დავა გაგრძელდა, მაგრამ ეს იყო უკვე არა სიტყვიერი დავა. — დილით დოცენტის გვამი იქნა ნაპოვნი. მას თავში მიყენებული ჰქონდა მრავალი დარტყმა.

იაპონელმა ექიმმა ვასცა ცნობა, რომ დოცენტი მოკვდა ფილტვების ანთებით; იგი დამარხეს და ამით ყველაფერი დამთავრდა.

მაგრამ იგი არ დამთავრებულა იმ სამხედრო ტყვეებისათვის, რომლებიც მხარს უჭერდნენ მოკლულის შეხედულებებს.

იმყოფებოდნენ რა უცხო ქვეყანაში ტყვეებად, მათ აღიმაღლეს პროტესტის ხმა და ისინი არ მოტყუვდნენ. მკვლევლობის რამდენიმე თვის შემდეგ აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. გამოძიებამ აღადგინა დოცენტის მკვლელობის სრული სურათი. გამოძიებას დიდ დახმარებას უწევდნენ დემოკრატიულად განწყობილი სამხედრო ტყვეები. მათ გარეშე ჩვენ ვერ შეგძლებდით დაგვედგინა ჭეშმარიტება.

სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა ტრიბუნალის შენობაში, მაგრამ მას

თვალყურს ადევნებდა საზოგადოებრიობა სამხედრო ტყვეთა წრიდან. ისინი ვაჟ-
კარად უკმაყოფილო დარჩნენ განაჩენით, რომლითაც დამნაშავეებს მიესაჯათ
თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით. მათ ვერაფრით ვერ წარმოედგინათ,
თუ რატომ არ შეიძლებოდა იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში გამოეყენებინათ
სიკვდილით დასჯა საშიშ დამნაშავეთა მიმართ, რომლებიც ახალი ომის გაჩაღე-
ბის გეგმებს იცავდნენ.

ოცი წელი გავიდა დიდ სამამულო ომში გამარჯვებიდან. ეს ორი ათეული
წელი იყო შრომისა და არნახული დიდი გამარჯვებების წლები. ოცი წლის შემ-
დეგაც ჩვენი მახსოვრობიდან არ ამოშლილა და არც ამოიშლება ის, რაც გადა-
ტანილ იქნა ომის მრისხანე გამოცდის წლებში.

მოსკოვის მისადგომებიდან — ბერლინამდე



როცა ამ ნარკვევისათვის მასალებს ვიღებდი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისაგან, ვიორგი იოსავასაგან, მასთან ორი კაცი შემოვიდა, სიგელი და რაღაც საჩუქრები გადასცეს, მიულოცეს, გადააკონეს და დაუბარეს: შეხვედრას გელოდებითო.

— ერთი ჩვენი პარტიბუროს მდივანი იყო, მეორე — ადგილკომის თავმჯდომარე, — მითხრა იოსავამ, როცა ისინი გავიდნენ.

სამამულო ომის გამარჯვების 20 წლისთავი მიულოცეს ომგადახდილ მოსამართლეს.

ნარკვევი

1.

— მესუთე დღეა გერმანელები ზედიზედ შეტევაზე გადმოდიან, მერე როგორ შეტევაზე — დღეში სუთჯერ, ათჯერ! იერიში იერიშზე მოაქვთ, მაგრამ სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებიან, ადგილიდან ფეხი ვერ მოგვაცვლევენ და უკან იხევენ. აღელვებული ზღვის მოქცევასა და უკუქცევას ჰგავს ეს იერიშები. განსაკუთრებული გააფრთხილება და გააფრთხილებით გვიტევენ. ეტყობა, რაღაც დიდი და ცუდი საქმე განუზრახავთ ამ ძაღლთაპირებს, იმიტომ არ ცსრებიან, თორემ, აქამდე არ მასხოვს ასეთი რამე. თუმცა, უნდა მეთქვა, არც გამიგონია მეთქი, თორემ საიდან უნდა მახსოვდეს, ეს ეს არის დავამთარე ვლადიმირის ქვერთთა სამხედრო სასწავლებელი, ბატონო ჩემო, და აქ გამომანწყეს. უფროსი პოლიტგელი ვარ, ათასეულის პარტიბუროს მდივანი. მოსალსკის გზატკეცილს ვიცავთ, მოსკოვის შორეულ მისადგომებს. არ დაგავიწყდეს, ნოემბრის დამდეგია, თბილად გვაცვია, ყინვა მაინც ძვალსა და რბილში გვატანს. იმისთანა ბიჭები გვყავს, რკინას დაკნეხენ, სიცივე მათ ვერას აკლებს, სულ ციმბირელები არიან. სამადსამი ქართველი ამხანაგი მყავს დივიზიაში — მასხარაძე გოგი თევზაძე (დაიღუპა, საწყალი), — მეთევზე ვალოდია აშკინაძე — უკრაინელი ქართველი, ბოლოს იპოლიტე ნანავა მოვიდა დივიზიაში, ახლა ზუვდიდის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის ლიტერატურის მასწავლებელია. — ასე მიყვე-

ბა ფრონტული ცხოვრების ეპიზოდებს ვიორგი იოსავა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, ჩემი სტუდენტობის დროინდელი მეგობარი. ერთ კურსზე ვსწავლობდით თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სახელმწიფო გამოცდებს ვაბარებდით, ომმა მოგვისწრო, ოთხიდან ორი საგანი გვექონდა ჩაბარებული, ორი კი მან ვაღამდე ჩაბარა და პირველ მობილიზაციაში მოხვდა. ის ახლა თავის დიდსა და ნათელ კაბინეტში ზის მაღალსურგიან ხის სავარძელში, საწერ მაგიდასთან წამოხრილა, ანგარიში-უცემლად ხელში რაღაცას ათამაშებს და ჰყვება.

— მაგარი ბიჭები კი გვყავდა, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი, დაილაღნენ, დაიქანცნენ, არაქათი გამოეცალათ. სუთ დღე-ღამეს შეუსვენებლად იერიშებს კი არა, ქეიფს ვერ გაუძლებს კაცი, ერთი სიტყვით, გავწამდით, სული კბილით გვეჭირა. მტერი კი, სიმართლე გითხრა, ვერ გრძნობდა ამას (აკი ვთქვი, ადგილიდან ფეხს არ ვიცვლიდით). ეტყობა, იმ უბანზე გერმანელებს დაზვერვა არ უვარგოდათ. ასე რომ გაგრძელებულიყო, ცოდვა გამხელილი სჯობია, არ ვიცი, კიდევ გაუძლებდით თუ არა. ჩვენი არმიის იმდროინდელი საჭურვლის ამბავი მოგესხენებათ. მტერი კი, კბილებამდე იყო შეიარაღებული, რა გაუჭირდებოდა, მთელი ევროპა მისთვის მუშაობდა.

5 ნოემბერს, გათენებისას მოწინააღმდეგის თვითმფრინავი ჩამოგატყდა და პილოტი ტყვედ ავიყვანეთ. რომ არ მოისვენა იმ ძაღლშიველიმ! არ მოისვენა და ასე მოუხდება.

რიჟრაჟი არ იყო, ბატონო ჩემო, ცელვა რომ დაიწყო, გამოკყვებოდა ვრცელ შარას, დაეშვებოდა ძირს და რაც კი შეხვდებოდა, ტყვიას უშენდა, თითო კაცზე ნაღობდა. კიდევ და კიდევ... სული ამოგვანდა.

უნდა გენახა, როგორ თავხედურად და ქედმაღლურად ჩაირა თაბი, გვეონება, ის კი არ ყოფილიყო ტყვე, არამედ — ჩვენ. — თქვენი დღეები დასვლილია. ფურერი და დუჩე სმოლენსკში არიან, 7 ნოემბერს პარადს მიიღებენ მოსკოვში, წითელ მოედანზეო... — ვინ იცის, მაშინ მართლა სად იყოფებოდნენ ჰიტლერი და მუსოლინი? მისი ნათქვამი კი გულს ნემსებივით ესობოდა.

რადაც ორი დღეა დარჩენილი ზეიმამდე. მართალია, აქ არ გეპარადება, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენებურად ვემზადებით, მთელი ძალები ფეხზე გეყავს დაყენებული, მტერი ვერავია და სად რა მახსი დავებას აპირებს, უცებ ვერ მიხვდები, ვფხიზლობთ, მოულოდნელი არაფერი გამოტყვერეს.

დღესასწაულისათვის კი თადარიგს მაინც ვიჭერთ: სასმელი, საჭმელი და განწყობილება ჯარში ისეთივე უნდა იყოს, როგორც ჩვეულებრივ ამ დროს არის ხოლმე.

არ გასულა ცოტა ხანი და კვლავ გაისმა ჰაერში მოქორის ზუსუნია, კვლავ გამოჩნდა გერმანელების თვითმფრინავი ჩვენს თავზე. ამჯერად მას ტყვია არ დაუშენია, „მშვიდობიანად“ გადავიფრინა — ფურცლები გადმოყარა. ათასობით ქალაქი აფარფატდა ჰაერში, ნელ-ნელა მოეფინა განლაგებას. თქ ეს ფურცლები... ზოგჯერ შხამიან ისარზე უფრო წამლავს ადამიანს. ჯარისკაცები თვითონ არ ეკარებიან, იციან, დუშმანი სასიკეთოს არას ეტყვის. მაინც მივიღეთ ზომები ხელში არავის ჩავარდნოდა. თუმცა ყველას სად მისწვდები! მერე, ხომ იცით, კაცი ცნობისმოყვარეა, და უნდა, თუ არა, ხელში თუ მოხვდა, ცალ თვალს მაინც გადაავლებს. ის წყველი ფურცლები ათასი თუთიყუშივით იმეორებდნენ იმას, რასაც ეს გერმანელი ტყვე მფრინავი: დაგვინებდით, თქვენი მდგომარეობა უიმედოა. მოსკოვი გარშემორტყმულია. მთავრობა გა-

იქცა დედაქალაქიდან. მალე დამთავრდება მოსკოვის გაწმენდა და 7 ნოემბერს პარადს ჰიტლერი მიიღებსო. — დასწყევლოს დმერთმა. რას დაგვჩხავიან ეს ოხრები!

ნამდვილ გააფთრებულ საბრძოლო იერიშებს გაუძეულით და ამ ქალაქის ნიაღვრის შემოტევას ვერ გაუძლებთ?

ისე კი, — ვფიქრობდი ჩემთვის, — ათასობით კაცია დივიზიაში, ყველა ძლიერი ნებისყოფისა და სიმტკიცისა როდია, ვინ იცის, ამ ფურცლებმა ვის შეაპარეს ჩაჩის ჭია, გაიგებ? კაცია, ადამიანია, ყველას ერთნაირად ვერ დაძრახავ.

მოლოდინსა და დაძაბულობაში გავიდა 7 ნოემბერი. ეტყობა ფაშისტებმა წინააღმდეგობის კარგი გაკვეთილი მიიღეს, რომ ბუნავში შეიყუჩუნენ და არ ინძრევიან.

ღამით ხმა დაირხა: მოსკოვში საზეიმო სადამო გამართულა, რადისტებს მოუსმენიათო. — მაინც რა არის ეს რადიო, წინ არაფერი დაუდგება, ომია თუ მშვიდობა, მაინც იკვლევს გზას.

მეორე დღით, უკვე 7 ნოემბერს, მეკავშირეები ისმეს დივიზიის შტაბში. მძიმედ დატვირთულები დაბრუნდნენ. „პრავდის“ ახალი ნომრები მოიტანეს. ან როდის მოასწრეს მოსკოვიდან ასე სწრაფად ვადმოსროლა. ჯერ პოლიტმუშაკებს დაურიგეს. წაკითხვას არ აცლიდნენ ერთმანეთს, ხელიდან სტაცებდნენ. პირველ გვერდზე საზეიმო სხდომის ანგარიში იყო დაბეჭდილი, მთავარსარდლის — სტალინის გამოსვლა.

უნდა გენახათ, ჯარისკაცები რა დღეში იყვნენ! ყველა რაღაც დიდმა, მძლავრმა გრძნობამ შეიბყრო, თითქოს ბავშვებად იქცნენ, სიხარულით ქუდებს ცაში ისროდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, — ვაშა! ვაშა! — გაიძახოდნენ. ფრონტისპირა რადიო უკვე მეტოხედ და მესუთედ ვადმოსცემდა მოსკოვის ამბებს, საზეიმო სხდომის ცნობის და ყოველი ინფორმაციის შემდეგ საბრძოლო სიმღერებს უკრავდა.

— რაო, გერმანელები მოსკოვში არიანო? ფეხი არ ჩაუვათ, — ისმოდა ყველგან.

მეორე დღეს კიდევ ჩამოიტანეს „პრავ-

დის“ საზეიმო ნომერი — 7 ნომბრის, წითელ მოედანზე სამხედრო პარადის ფოტოსურათით. ამან მთლად აღაფრთოვანა სიხარულით ხალხი.

გაზეთის ახალი ნომრის ხმამაღალი კითხვა რომ დავამთავრეთ, სანგრებს ჩამოვუარე, სიფრთხილეს თავი არ სტკივა-მეთქი. ერთ კუთხეში ვხედავ ჯარისკაცის ზურგს, კისერი ქურთუკის საყელოში ჩაურგავს, მარჯვნივ, ყურთან შაშხანის ხიშტი მოუჩანს, მიწის კედელთან მიყუჩულა. მივუახლოვდი, ლოცვასავით ბუტბუტი შემომესმა, რას ვხედავ, 40-45 წლის შუახნის კაცს ჩაუბღუჯავს გაზეთი და ხმამაღლა მარცვლავს.

— რას შერებდი, კისელიოვო?, — წამოხტა, ხელითვე დავსვი, — თქვენმა პოლიტხელმა არ წავიკითხათ? — როგორ არა, მაგრამ მე მინდა თვითონ...

იქიდან გამოვბრუნდი, ტრანშეებით მოვიდვიარ, ერთს, მგონი სოკოლოვი იყო გვარად, ის „პარადა“ გრძელ ჯოხზე წამოეცვა და დროშასავით გამართული მოჰქონდა.

— დასწი, ბიჭო, გერმანელმა სნაიპერმა არ შეგნიშნოს-მეთქი.

— მერე, რას იზამს, ამხანაგო პოლიტხელო, ეს განა ქაღალდია, ჯავშანია!

2.

—ახლა უკვე ჯერი ჩვენზე მოდგა, — განაცხადობს გოგი. (ასე ვეძახით მას სტუდენტობიდან). — შეტევა როგორი უნდა, ნახონ გერმანელებმა. თან ისეთი აღფრთოვანებული ვართ, ისეთი... ოღონდ გავვიშვან და ქვას-ქვაზე არ დავტოვებთ. რას ნიშნავს, ბიჭო, განწყობილება! რა ქნეს იმ გაზეთებმა! რისი თოვლი, რისი ყინვა. ცა ქუდად არ მიგვაჩნია, ბატონო ჩემო, და დედამიწა ქალამნად. რომ დავდივართ, კი არ დავდივართ, დავფრინავთ. ვიღას ახსოვს გერმანული ფურცლების ბაქიბუქი.

პოლიტმუშაკი ვიყავი და არ შეიძლება ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიმექცია. სწორედ მაშინ ვიგრძენ თვალნათლივ, რას ნიშნავდა განწყობილება — მორალური ფაქტორით, ჯარში რომ იტყ-

ვიან. — ახლა გოგი კი აღარ იჯდა, ნახამბრის ვიწვრდი და ვერ შეენიშნე, წამომდგარა, ეს, ჩვეულებრივ დინჯი და წამლერებული ხმით მოლაპარაკე კაცი, ფართო ნაბიჯით დააბოტებდა ვრცელ კაბინეტში, გეგონება ისევ იქ იყო... წელში მხედრულად გამართულიყო, ხმაში მეტი რიხი მისცემოდა. — ვუყურებდი და ვფიქრობდი, აი, როგორი იქნებოდა მაშინ, იქ, ფრონტზე.

ჰყვება და ჰყვება, როგორ გადავიდნენ შეტევაზე, ფლანგებიდან როგორ უვლიდნენ თხილამურებზე ამხედრებული ჩვენი ჯარისკაცები დიდ შარავნებზე ჩახერგილ მტრის უთვალავ ტექნიკას. მათი ტანკები და ჯავშნიანი მანქანები უეჭოობას ერთ ადგილზე მიეჯაჭვა, თოვლსა და ტალახს შეებოჭა. ჩვენი მეავტომატეთა დიდი ჯგუფები კი ყველგან თავისუფლად დასრიალებდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ მტერს.

— მოსალსკის მისადგომებს ვუტევეთ. მძიმედ მივიწვეთ წინ. მტერი ერთ გოჯა მიწას არა თმობს უბრძოლველად. და აი, პირისპირ შევხვდი დუშმანს. ვაი შენს გოგის! ავტომატმა არ მიმტყუნა? გაყინულიყო. გერმანელმა დამასწრო და ხიშტი მამგერა მარცხენა ცერში. სხვა რა გზა მქონდა, კონდახით ვეცი. სწორედ ამ დროს ალითმა დოროფეევმა მოგვისწრო, ავტომატის ჯერით წელში ორად გაწყვეტილი ფაშისტის სხეული უსულოდ დაენარცხა მიწას. ალითმამ და მე წინ წავიწვიეთ, სანგრებში ჩავტვით, მერე წამოვდექით, რამდენიმე ნაბიჯი გავიბრბინეთ და... ცეცხლი გაგვიხსნეს გერმანელებმა, მე ერთი ფეხით გავასწარი, დოროფეევს კი ტყვიის წვიმამ გადაუღობა გზა. აღარ ამდგარა. — გოგი დადუმდა. მერე ნელ-ნელა წამოვიდა მაგიდისაკენ, სავარძელში ჩაჯდა.

— იცი, რა ბიჭი დავკარგეთ? ისიც იურისტი იყო ჩვენსავით, იმასაც იმ წელიწადს ქონდა ყაზანის უნივერსიტეტი დამთავრებული და პოლიტხელად იყო ნაწილში. რა გიჭირს, ვეცყოდი სოლმე ხუმრობით, ლენინსა და შენ ერთი უნივერსიტეტის ერთი ფაკულტეტი გქონიათ დამთავრებული. — მამ, რა გგონიათ, — შეიფერებდა სოლმე

ალიოშა და მოპარსული ულვაშის ცარიელ ადგილზე მედიდურად გადაისვამდა ხელს. — როგორც კი თავისუფალ დროს მოვიხელთებდი, დავუძახებდი, დოროფეევ, მოდი დავიწყოთ-მეთქი. და იურიდიული კაზუსების გადაწყვეტით ვიმტვრევდით თავს. — ერთხანს იყურა გოგომ, მერე ჩურჩულით წართოქვა, — კაცმა სიცოცხლე მაჩუქა, მეკი ვერაფრით დავეხმარე, აბა, ეს არის საქმე. — გული მოსდიოდა თავის თავზე. — ალიოშა დოროფეევი რომ გამახსენდება, მაშინვე ჩვენი თანაკურსელი ბიჭები დამიდგებიან თვალწინ: აგქსენტი შეროზია, ვასო ხუჯაძე, ლეო ჟვანია, ვახტანგ ალხანაშვილი, ვახტანგ ჭუბაბრია, ილია დავარგულია. შვიდნი ვიყავით. ერთი ემელონით გავედით თბილისიდან. მოსკოვში ჩავიცვით პირველად ჯარისკაცის ფარაჯა. როგორ მეუხეშა! მერე კი ისე შევეჩვიე, რომ ვიხდიდი, მეგონა, ტიტველი დავრჩი-მეთქი, მრცხვენოდა. ჩავიცვით თუ არა, მაშინვე ფოტოგრაფისაკენ გავწიეთ. ის სურათი გადავიღეთ, იმ დღეს რომ გაჩვენე. ჯერ ისევ ჭყინტები ვიყავით, გამოუცდელიები, რა გვენახა ცხოვრებაში. ომმა რამდენი რამ გვასწავლა! დიდი სკოლა კია ეს ოხერი ომი.

— ჰო, რას ვამბობდი? გადავუხვიე მკონი.

— მოსალსკის ბრძოლებზე ყვებოდი.

— მოსალსკთან ათასობით გერმანელი დავაწვინეთ. რკინიგზის შპალელებით ეყარა ფაშისტების გაყინული გვამები ქალაქის მისადგომებთან. დიდი ზიანი მივაყენეთ, ხუთასამდე მარტო ტყვედ წამოვიყვანეთ. მანამდე კი ერთადერთ ტყვეზე მეტი არ მენახა. აი, ის პილოტი, დამწვარი თვითმფრინავიდან რომ ავიყვანეთ.

მერე იმაზე მოჰყვა, კალუგამდე რა ბრძოლები გადაიხადეს. სიკვდილის ველი უწოდეს თურმე სოფელ ტურინინოს, რომელიც კალუგას ისე აკრავს აღმოსავლეთით, როგორც წყნეთი — თბილისს. ჩვენი ჯარისკაცების გვამებით იყო მოფენილი ის ველი. დიდი მსხვერპლი შეიწირა ამ პატარა სოფელმა. სამი დღის გააფთრებული ბრძო-

ლების შემდეგ შუადღისას შესუდან უკაცრიელ და დანგრეულ კალუგაში. ფაშისტების მსეტობაზე ბევრი იწერებოდა იმ დროს გაზეთებში, მაგრამ გოგის თავის თვლით ჯერ არაფერი ჰქონდა ნანახი და პირველს აქ წააწყდა. კენტად მდგარ არყის ხეზე ოღნავ ირხეოდა პიონერის წითელი ხელსახვევით ჩამოკიდებული 10-12 წლის ბიჭის გვამი. ჯარისკაცებმა ფეხი შეანელეს, ქუდები მოიხადეს და ისე ჩაუარეს ნორჩ პატრიოტს, ფაშისტის უდანაშაულო მსხვერპლს.

ვინ იცის, ამ დროს ვის გულში რა ცეცხლი ტრიალებდა...

— ამოდენა ომი გამოვიარე, — ამბობდა იოსავა, — რამდენი მკვდარი და დასახირებული ვნახე, დაითვლის კაცი? მეც ბევრჯერ მწვევია მიქელ გაბრიელი და უკან გაბრუნებულა ხელცარიელი. ოსვენციმშიც ვიყავი, მაიაკენშიც, ჩვენმა მეზობელმა ნაწილებმა აიღეს და მივედით ამ სიკვდილის ბანაკების დასათვალისწინებლად. ვნახეთ მისი ღუმელები. ფერფლი. ფრჩხილებისა და თმების გორები, რაც დარჩენილიყო ათობითა და ასობით ათასი ადამიანისაგან. დმერთო, რა ნახა ჩემმა თვალებმა!

აი, ხომ ამდენი რამ ვნახე, მაგრამ ის პიონერი რომ გამახსენდება თავისი წითელი ყელსახვევით ჩამოკიდებული, მბურძკლავს, ჟრუანტელი მივლის ტანში. მაშინ ვგრძნობ სრულად მთელი ომის საშინელებას.

მას მერე 24 წელიწადი გავიდა და მაინც შეუხორცებელი წყლულივით კვლავ მტკივნეულია ეს. არა, ბატონებო, არა, ამოდ გგონიათ, რომ დრო ყველაფრის მკურნალია. პიტლერელთა ბოროტება პირშეუკრავი ჭრილობაა, ვერაფრით მოიშუშებ... რის ხანდაზმულობა, რა ხანდაზმულობა... — თითქოს ვიღაცას ედავებოდა ომის ვეტერანი, მართლმსაჯულების მსახური და კანონში ღრმად ჩახედული კაცი.

დიდი გამარჯვების აღსანიშნავად უმაღლესი მთავარსარდლის — სტალინის ბრძანებით ყოფილ 312-ე ქვეით დივიზიას, რომელშიც გოგი იოსავა იბრძოდა, 90-ე გვარ-

დიული ეწოდა და კალუკის სახელი შე-
ერქვა.

კალუკის შემდეგ სადგური ბაბინინო იქ-
ცა დიდი ბრძოლების ასპარეზად. ნაბრძანე-
ბი ჰქონდათ, რადაც უნდა დაჯდომოდან,
აედით. მტერი მტკაველ მიწას არ თმობდა.
ოთხ თუ ხუთ დღელამეს არ შეწყვეტილა
სისხლისღვრა.

— ვის მიწას ებლაუჭები და არ ეშვები,
შე ძაღლო და მამაძაღლო, — ვამბობდი გუ-
ნებაში, — რა დაგრჩენია, რას ექებ. მერე,
როცა ავიღეთ ბაბინინო, ქალაქში ძვედით,
სურსათით გატენილი უსარმაზარი საწყობ-
ბები და მძიმედ დატვირთული ეშვლონებით
გაჭედოილი სადგურის საზები ვნახეთ, მერე
კი მივხვდი, რა „დარჩენილათ“ და რატომ
ებლაუჭებოდნენ თვითეულ შენობასა და
თვითეულ ქუჩას. აქ ზოგჯერათ ყველაფრი-
სათვის თავი, რაც კი გაეზიდათ რუსეთი-
დან — სორბლის, ქერისა და ფქვილის
მთები იდგა. 25 თუ 30 ვაგონი მარტო
კვერცხით იყო სახვე.

სიხარული ათასგვარია, მაგრამ, რა გი-
თხრა, იცი, არაფერი შეედრება იმ სიხა-
რულს, როცა მტერს ამარცხებ და გამარჯვე-
ბული შედისარ ქალაქში. ეს რადაც დიდი
და განუმეორებელი გრძნობაა. ამას ისე,
ჩვეულებრივ კი არ განიცდი, არამედ მთელი
შენი ფსიქო-ფიზიკური არსებით. ამ დროს
სხეულის თვითეული უჯრედი, თვითეული
ნაწილაკი შეიმობს და შენ თითქოს ერთ
დიდ მოგიზიგზე სიხარულად ქცეულხარ.
ოო, იცი, ეს რა გრძნობაა! ეს სიკვდილის
დამარცხება და შენი გამარჯვებაა. შენ ცო-
ცხალი ხარ, მტერი — ძლეულია! და იმ
ხანებში რამდენჯერ განვიცადეთ ასეთი სი-
ხარული.

ავიღეთ ბაბინინო და შევჩერდით.

ამოტანა შესრულებულია. Окопаться,
обороняться! — მოვიდა ბრძანება და
ჩვენც ღაღდექით კალუკაში.

ასე დამთავრდა მძიმე და ძნელი ცხრა-
ას ორმოცდა ერთი წელი.

დაიწყო შესვენება, შევსება, პოლიტიკუ-

რი მეტადინეობა და საბრძოლო მომზა-
დება...

ერთი სიტყვით, ფრონტის ამ უბანზე ისე-
თი სიწყინარე ჩამოვარდა, როგორც ღრმა
ზურგში. თავი სიხარულში გვეგონა. თითქოს
ომი კი არა, თოფიც არ გავარდნილიყოს.
ეწმინდავთ და ვაპრიანებთ ყველაფერს.
ბზილ-ბზილი გაუღის იარაღს, თითბრის
ღილებს, ბალთებს, ორდენებს, ჯილდოების
ღენტებს.

ამ დროისათვის მეც მქონდა უკვე გასაკ-
რიანებელი — წითელი ვარაკვლავის ორ-
დენი. პირველი ორდენი კალუკისათვის
ბრძოლებში მივიღე. სულ დაპარსულები,
გაწყობულები და გაჯიგმულები დავდი-
ვართ, ბატონო ჩემო. დედამისის შვილია
და ვინმეს დიდი აკლდეს მასარაზე, შავ
დღეს დააყრიან.

მამ ასე, Окопаться, обороняться.

3.

— კარგად არ მახსოვს, თათბირი იყო,
თუ უმადლესი სასამართლოს პლენუმი, დამ-
თავრდა და მოსკოვიდან უკან ვბრუნდებო-
დი. დიდი დრო კი არ არის მას მერე გასუ-
ლი, ესლახანს იყო, რაც აქ, თავმჯდომარის
მოადგილედ ვარ. მატარებელი კურსკიდან
რომ დაიძრა, რკინიგზის მოშორებით ერთ
შენობაზე ვაგონიდან თვალი მოვკარ წარ-
წერას: სამედიცინო ინსტიტუტი. უცბად,
როგორღაც გული შემიფრთხილდა. გამახ-
სენდა, რომ სწორედ ამ შენობაში გავათიეთ
ღამე კურსკის ცნობილი ბრძოლების წინ.

მოსკოვის აღების გეგმა რომ ჩაეფუშათ,
გაზაფხულზე გერმანელები სამხრეთისაკენ
დაიძრნენ. დაიძრნენ, მაგრამ რას დაიძრ-
ნენ, მოდიოდა მექანიზებული არმადა, მო-
დიოდა და ყველაფერი თან მოქმონდა. ქვე-
მოთ ქ. ორჯონიკიძემდე ჩაადწიეს, ზევით —
ვოლგაზე გავიდნენ — სტალინგრადთან.
მძიმე დრო იყო. საქართველოზე ფიქრი
ტენის მიბურღავდა.

ჩვენი დივიზია მარტში მოიხსნა კალუ-
კიდან, წამოვიდა და კურსკსა და ბელგო-
როდს შორის ობოიანია, იქ გაჩერდა. ღრმად

ემელონირებული თავდაცვა გვეჭირა. ჩვენ მეათე ემელონში ვდგევართ. ერთხანს ასე ვიყავით, მერე აქედანაც მოგვსნეს და ბელგოროდთან პატარა ქალაქია ტამაროვკა — იქ ჩავიბარეთ დაცვის საზი. ასლა უკვე მეორე ემელონში ვართ.

— რამ დაგამახსოვრებინა ამდენი სახელები? — ვეკითხები გაოცებული.

— რას ამბობ კაცო, ბრძოლაგადახდილი ადგილებს რა დაგავიწყებს, შენს ცხოვრებასთან კი არა, სიცოცხლესთან არის დაკავშირებული და როგორღაც ანლოზღურად თუ მშობლიურადაც კი იქცევა ხოლმე, მით უმეტეს, ტამაროვკას რა დამავიწყებს, იქ გავხდი პოლკის პარტორგანიზაციის მდივანი. აი სწორედ მაშინ, გზად გავლისას, გვეძინა სამედიცინო ინსტიტუტში.

— იცი, ეს უკვე რა დროა? როცა ჯარში სამხრეები შემოვიდა და მეთაურების ნაცვლად ოფიცრებს გვეძახიან. პირველად თითქოს გვეხამუშა რევოლუციამდელი არმიის ეს ატრიბუტები, მაგრამ მალე ისე შევეჩვიეთ, გვეონება მისდღეში ასე ყოფილიყოს. ერთი შეხედვით არაფერი მომხდარა. თითქოს უბრალოდ სახელები შეიცვალა, ნამდვილად კი, ვერ წარმოიდგენ, ამ ამბებმა როგორ გაახალისეს, გამთაცოცხლეს არმიის ცხოვრება. მერე იმისთანა ოფიცრები გვეყავდა, არწივები იყვნენ, ხელით შევლს დაიჭერდნენ. სულ ნატყვიარი და ნომარი ხალხი იყო, კარგად პქონდათ ნაყნოსი თოფის წამლის სუნი. ვერაფრით გააკვირვებდით: ავის გემოც იცოდნენ, კარგისაც. ძნელი იყო უკეთესი დივიზიის მონახვა. — იოსავა მერე კურსკის რკალის სახელით ცნობილი ბატალიების დეტალურ ამბებზე გადავიდა, 1943 წელს რომ მოხდა.

ივლისის ხვატი მდგარა რუსეთის ველებზე. მიწას ალმური ასდიოდა, კვერცხი დაგედო, შეიწვებოდა. 20 რიცხვში, შუალამისას, მეორე ემელონის მებრძოლები ხედავენ, მოწინავე პოზიციებზე განლაგებული ნაწილები აყრილან, აუკიდიათ გუდანაბადი და ჩუმად უკან მოდიან. გამოღვიძებული მეომრები თვალებს იფშენეტდნენ

თურმე და ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა. დამეა, შუალამე, საგანგებო მდგომარეობა რომ არ იყოს, ამ დროს თავს ვინ აიტკივებს. მაგრამ, ვინ მიხვდება სარდლობის ჩანაფიქრს? დამთავრებულა ნაწილების ადგილმონაცვლება (ეს სულ რაღაც 3-4 საათში მომხდარა) და გათენებისას კიდევაც დაუქუხიათ გერმანელების ქვემეხებს. დაეწყით ჩვენი მოწინავე საზის საარტილერიო „დამუშავება“. ხანგრძლივი სიწყინარის შემდეგ კარგა ხანი იყო ასეთი ხმისა და ძალის გრვინვა აღარ გავგონათ. დიდ შეტევას მოასწავებდა. მთლად მოსპეს და ნაცარტუტად აქციეს წინა გამაგრებული საზი. მტერი დარწმუნებულია, რომ სიმაგრებთან ერთად ცოცხალი ძალაც გააცამტვერა. როგორც კი შეწყვეტილა ქვემეხების ხმა, წამი არ დაუყოვნებიათ, ისე მოხსნილა მეორე ემელონის თავდაცვა, რომელშიც გოგი იყო, და წინ, პირველზე გადაუნაცვლებია. ასეთი იყო ბრძანება. ეს მოხდა სულ რამდენიმე წუთში, ვიდრე ფაშისტები შეტევაზე გადმოსვლას მოასწრებდნენ. მტერი რომ არ მოელოდა, ისე დახვდა იქ თითქმის უვნებელი ნაწილები. გაჩაღდა ბრძოლა, მაგრამ რა ბრძოლა. ორივე მხრიდან დიდძალი ტექნიკა ყოფილა თავმოყრილი. მტერმა მაშინ პირველად გამოიყვანა სქელჯავშნიანი მანქანები — „ვეფხვები“ და „პანტერები“, მოაყარა და მოაყარა, მათზე დიდ იმედს ამყარებდა.

ერთი კვირა დადულდა ერთმანეთზე ყველაფერი. მერე კი გოგი დაიჭრა — ყუმბარის ნამსხვრევებმა ზურგი და მუხლი დაუზიანა. ბრძოლის ველიდან გაიყვანეს, პოსპიტალში იწვა, იქ გაიგო, ივლისის ბოლოსათვის მისი დივიზიიდან მარტო დროშა და ნომერილა დარჩენილიყო. ეს დივიზიის დამარცხებას როდი ნიშნავდა, პირიქით, ერთმა ხუთი თუ ათი დაწვინა, არც თვითონ მოუცვლია ფეხი ადგილიდან, არც მტერს გადმოადგემევიანა ნაბიჯი წინ, დროშა და ნომერი გადარჩა. ეს იმას ნიშნავს, რომ დროშა დიდების შარავანდედით შეიმოსა, დივიზია ცოცხალია, რომ ხვალ ძალებს

მოიკრებს და კვლავ ჩადგება მწყობრში. აი რას ნიშნავს ეს.

— შორს წაგვიყვანს ყველა ბრძოლის მოყოლა. — ამბობს იგი და მოკლედ ჩამოთვლის ქალაქებისა და ადგილების სახელებს, რომელთა გათავისუფლებაშიც მონაწილეობდა. — დნებარი გადავლახეთ, კიევი ავიღეთ, ლვოვთან ტომარაში მოქცეული მოწინააღმდეგის დაჯგუფება გავანადგურეთ, სასაზღვრო ქალაქ პერემიშლში შევედით და აქედან დაიწყეთ პოლონეთის მიწა-წყლის გაწმენდა. კრაკოვის აღება გავგიჭირდა. ცოტა... ძლიერ გაემარებინათ, კბილით ებღაუჭებოდნენ. რომ შევედით კი, მერე თვენახევარს ვიდევით. ლვოვს შემდეგ ჩვენი ქვეითი დივიზია მექანიზებულად იქცა. ახლა უკვე აღარ გვიჭირდა სიარული, სხვას რომ თავი დავანებო, მოისვენეს ფუნებმა, ტყავი აღარ გვძვრებოდა ქუსლებზე, ავტომანქანებით დავბრძანდებოდით, ბატონო ჩემო, და მეტი რაღა გვინდოდა...

და აი, ბერლინთან ვდგევართ. წარმოგიდგენია ჩვენი განწყობილება? ბერლინთან — გერმანელების დედაქალაქთან. სულ ცოტაც და... ქალაქს მარცხნიდან ვუტევთ უკრაინის პირველი ფრონტის სხვა ნაწილებთან ერთად. ვერც კი მოვასწარ ხეირიანათ ბერლინის გაცნობა (თუმცა რა იყო გასაცნობი და სანახავი, სულ ნანგრევებად იყო ქცეული), რომ 3 მაისს ბრძანება მოვიდა: ჩეხოსლოვაკიისაკენ!

რაიხსტაგის ნახვა კი მოვახერხე. მივედი, შევცქერი ტყვიებით დაცხრილულ შენობას და მარჯვენა ფეხს მაგრად ვაჭერ გადათხრილ ასფალტს. ქუსლს აქეთ-იქით ვატრიალებ და გუნებაში ვიმეორებ: ესეც შენ, ესეც შენ! ხომ შეეხო ჩემი ტერფი ბერლინის მიწას, ხომ მოვესწარ, რომ გამარჯვებული ვდგავარ რაიხსტაგთან. ვუცქერდი გუმბათის თავზე მოფრიალე წითელ დროშას და თავი სიზმარში მეგონა. ძნელია უტბად იგრძნო სრულად რაც მოხდა. ასე იცის დიდმა სიხარულმა, სხვათა შორის, დიდმა მწუხარებამაც ასე იცის, როდის, როდის გამოერგვევი და თანდათან, ნელნელა აღიქვამ ყველაფერს. ახლა თუ გინდ მოგვკდე, ჯაფრი

აღარ ჩამყვება მაგრამ... ბრძანება მრძანებთაა: ჩეხოსლოვაკიისაკენ!

4.

მაგარი გული კი გინდა კაცს, ომი დამთავრდეს და შენ ისევ ბრძოლებში გაგზავნიდნენ. აი, 9 მაისს აიღეს პარადა, გააარჯვების დღეც იქვე იზეიმეს, მაგრამ ომი მათთვის მაინც არ დამთავრებულა. გერმანელების ერთი დაჯგუფება არ დაემორჩილა თავის სარდლობას, არ დაყარა იარაღი, უარი თქვა კაპიტულაციასზე და გააფთრებით იბრძოდა პარადის დასავლეთით. სწორედ მათი მოსპობა ჰქონდათ დაავლებული გოგის დამის ამხანაგებს.

ყველგან შეწყდა თოფის ხმა, დადუმდნენ ქვემეხები, უჩვეულო სიწყნარე ჩამოვარდა ევროპაში და მხოლოდ აქ, კონტინენტის ამ პატარა ნაგლეჯზე კვლავ იღვრებოდა სისხლი.

— ოდესაში ვზივარ, — დაიწყო უცებ გოგომ, — გემს ველოდები საქართველოსკენ. სად არის გემი, ჯერ არ გახსნილა მიმოსვლა. ნავსადგურში საბჭოთა კავშირის გმირს გიორგი შენგელიას შევხვდი. — რამ გაგაეჩუა, ეს რა გზა აგირჩევია, სხვა ვერ მონახე? შენ იმ მეზღვაურივით არ მოგივიდეს, ოკეანეს რომ გადაურჩა და ლელემ დაახრჩო. შავი ზღვა ისევ ნალმებით არის სავსე, ჯერ პირველი ხომალდიც არ გასულა ბათუმისაკენ, ვინ იცის, რას გადაეყრები.

ჭკუაში დამიჯდა ნათქვამი.

ძლივს გადავრჩი სიკვდილს, ერთიც ვნახოთ და... რათა ბატონო, რისთვის, როცა არავის და არაფერს რგებს. სულ რამდენიმე დღის წინათ კინაღამ ერთმა ბრმა შემთხვევამ წერილი წამადებინა იმ საიქიოს და ახლა აქ... არასოდეს ისე არ უფრთხილდები ადამიანი თავს, როგორც ომის შემდეგ. ომში ვინ ფიქრობს გადარჩენასზე. — მე ვერაფერს მივმხდარვარ, რა ბრმა შემთხვევასზე მეუბნება, ვერც იმას, საიდან გაჩნდა გოგი უცბად ოდესაში.

— მოკლედ მინდოდა მომეჭრა, — თქვამან, როცა ჩემ სახეზე გაცოცხლა ამოიკითხა, — მაგრამ ჩანს არაფერი გამომივიდა, — და

საქართველო
საბჭოთა

მერე დაწვრილებით მოყვა, რაც გადახდა თავს, როგორ გადარჩა ბეწვზე.

პრადის ერთ პატარა სოფელში ჰქონიათ ბანაკი დაცემული. 12 მაისს შესანიშნავი ამინდი მდგარა, თოთო ბალახის სუნითა და ახლად ამწვანებული მიდამოს სილამაზით დამთვრალი ოთხი საბჭოთა მეომარი ლაღად მიაბიჯებდა ორდობეში — ოხუნჯობდნენ, ლაზღანდარობდნენ. ფრინველთა გალობა ატკობობდა სმენას, შორს ჭრიჭინობელა გაბმულად „მღეროდა“...

უცბად, სადღაც გავარდა. მძლავრმა ხმამ გააყრუა მიდამო. გოგის მეტი არაფერი ახსოვს, დანარჩენი მერე გაიგო ჰოსპიტალში, როცა თვალი გაახილა, თავი ვერ გაანძრია (ისე ქონდა გაბინდული, თითქოს თაბაშირში ჩაუსვიათო) და სასთუმალთან კაპიტანი ვალოდია მარკოვი შენიშნა.

ის მოუყვა: ბრმა ჭურვი გამსკდარა. საშა ზოლოტიცკი ადგილზევე გაუთავებია, გოგის ორი ნამსხვრევი მოხვედრია, ორივე — თავში. მაიორი მიხვილ დიმიტრიევი მუხლებში დაჭრილა. თვითონ მარკოვს კი ბეწვიც არ შერხვია, ისე გადარჩენილა.

— კიდევ კარგი, საიდანღაც ჩვენი ავტომანქანა გამოჩნდა, — უყვებოდა თურმე გოგის ვალოდია მარკოვი, — ტყვია-წამალი მიეტანა პოსტიებზე და უკან ბრუნდებოდა. შოფერი მომხმარა. მკვდარიც და დაჭრილებიც ზედ აგყარეთ და დავიძარით. შოფერს ვაჩქარებ, მინდა სანაწილში მივიყვანოთ, ჭრილობების შეხვევა ვერ მოვასწარი და სისხლი გდით. დახე, ბედის უკუღმართობას! საიდანღაც ახლა მტრის სნაიპერის ტყვიებმა არ გაიწვლეეს ზედიზედ? პირველმა დიმიტრიევი გააცივა, მეორე და მესამე — აცცდა. შენ უგონოდ ხარ, არაფერი გესმის, მეოთხემ კი მარცხენა ყური გაგიხვრიტა. ეს იყო და ეს... — უთხრა თურმე მარკოვმა.

და ყველაფერი ეს ხდება მას შემდეგ, რაც თითქოს ყველასთვის დამთავრდა ომი. ეს იყო სიკვდილის უკანასკნელი იერიში.

თავში ჭრილობების შესორცება უკეთ მიდიოდა, ყური არ იქნა და ვერ შესორცდა. გოგის გული მოსდიოდა. რა ღმერთი

მიწყრებათ, მაგრამ მოხუცი ქირურგი ამ შეიღებდა: თუ სიძედ დაგიწუნებენ, ჩემს გოგოს მოგათხოვებო.

ჰოსპიტალში ხმა დაირხა: გამარჯვებულთა ჯარების პარადია დანიშნული ბერლინში.

როგორ გინდა ამ ცდუნებას გადაურჩე. არა და, ჯერ ჭრილობები როდია მოშუშებული. „თეთრი თავით“ გაჩნდა ბერლინში, თავ-პირი ისევ დოღბანდებით აქვს გაკოჭილი. მონახა თავისი დივიზია (ბერლინის ბრძოლების მონაწილე რჩეული ნაწილები და შენაერთები მიეწვიათ ალღუმზე).

აღსრულდა! გამარჯვებული საბჭოთა ჯარების პარადი გაიმართა გერმანიის გულში.

ის ტრაბახა ფურცლები, ის ქედმაღალი და გოროზი ტყვე მფრინავი მოაგონდნენ გოგის მამინ. სამუდამოდ განუხორციელებელი დარჩა ფაშისტების ოცნება — გერმანელთა პარადი წითელ მოედანზე. ჩვენი ჯარები კი აი, ახლა სად დგანან.

... დაფდაფების მოწოდება: ისმინეთ, ისმინეთ! გლინკას საზეიმო მარში „ივანე სუსანიანიდან“. ქვემეხების სალუტისა და ჯარისკაცული ვაშას ერთობლივი განუწყვეტელი გრგვინვა ტალღებად გადადის მოზეიმეთა თავზე და სივრცეში იშლება. შემდეგ კი ერთმანეთს მოსდევენ მარშების ხმებზე მხედრულად გაჯგიმული, საპარადო ფორმამი გამოწყობილი მეომრები, უზარმაზარ ხაკისფერ მოძრავ კვადრატებად თუ ოთხკუთხედებად ქცეული დანაყოფები. მოტომექანიზებული ნაწილები. სატანკო და საარტილერიო ბატარიები...

მეორე დღეს დივიზიამ თითონ გადაიხადა ზეიმი. რომელიღაც პარკში არიან. თან სუფრაც გაშლილია. დივიზიის მთელი ოფიცერთა შემადგენლობა აქ არის. რა ღვინო, რა საჭმელი, რა სასმელი! დაიწყო სადღეგრძელოები. დივიზიის მეთაური — გენერალი ხელმძღვანელობს სუფრას. ზოგს ასაჩუქრებენ, ზოგს ორდენებზე ადგენენ. ჯერი იოსავაზე მიღწა.

— აბა რა ვთქვა, — ამბობს გენერალი, — ერთადერთი ქართველი ოფიცერია ჩვენს დივიზიაში. თმის თითქმის პირველი დღე-

ებიდან ჩაება ბრძოლებში და ბერლინამდე მოგყვა. მოდიო, ორი თვით გაფუშვით შინ, შეგებულებაში.

ამაზვედ ძვირფასი საჩუქრის წარმოდგენა მართლაც ძნელი იყო. ჯილდოები ისეც არ აკლდა — სამი ორდენი ჰქონდა, ოთხი მედალი.

30 ივნისს გამოვიდა ბერლინიდან. ვარშავაში რომ ჩავიდა, ურჩიეს, აქედან რუსეთში გასვლა სასიფათოა, გზები არ ვარგა, სჯობს უკან დაბრუნდე და იქიდან წახვიდე სხვა მარშრუტით. დაბრუნდა ბერლინში, იქიდან პრალაში ამოყო თავი, ქალაქის სამხედრო კომენდანტმა, ბუდაპეშტი-საკენ გაუშვა, მერე შინმომავალ ოთხ საბჭოთა მფრინავთან ერთად რუმინეთის ჯერ დედაქალაქში მოხვდა — ბუქარესტში, შემდეგ პლოეშტიში, მერე კი, როგორც იქნა, ჩააღწია ოდესას. ოდესიდან, აკი ვთქვით, საბჭოთა კავშირის გმირის გ. შენგელიას რჩევით, პირი იბრუნა და, ხარკოვში გაჩნდა, იქიდან ბაქოზე წამოვიდა. სუსტად თვის თავზე 30 ივლისს ჩამოაღწია თბილისს.

5.

— ფეხი რომ დავადგი თბილისში, — იკონებს გოგი, — მტრებენოდა, თორემ მინდოდა სადგურისათვის მეკოცნა, მიწისათვის მეკოცნა, ადამიანებს გადავხვეოდი... ხომ გესმის, როგორ ვიქნებოდი... ქალაქში ახლო ნაცნობი აღარავინ მეგულეობდა, არ ვიცოდი ვინ სად იყო წასული, ვისთან მივსულიყავ, ავდექი და პირდაპირ უნივერსიტეტისაკენ გავწიე, ვიფიქრე, იქიდან წავვდი და პირველად ისევ იქ მივალ-მეთქი. მივედი, მაგრამ, წარმოგიდგენია? ვერ შევვდი, ჯერ ერთი, გული ამომიჯდა, მივდექი გვერდით, ორიოდ კურცხალი მოვიწმინდე ჩუმად, რომ არავის შეენიშნა, მეორეც, ოფიცრის ფორმით ვარ, უხერხულია, რას იტყვიან-მეთქი და გამოვბრუნდი. გამოვბრუნდი და რას ვხედავ? კირტავა, ბორის კირტავა, რომელთანაც ერთად ვიჯექი აუდიტორიაში, რომელთანაც ერთად გავვდი პირველი ეშელონით თბილისიდან. ოთხი

წლის უნახავები ვეცით ერთმანეთს. ისიც ახალი დაბრუნებული იყო ომიდან. — წამო, ვასო ხუჯაძე გაჩვენო, — გამესარდა, ვასოც მაშინ იქ იყო სურათი რომ გადავიღეთ მოსკოვში. ახლა კი სამედიცინო ინსტიტუტის ძველი შენობის უკან იწვა, ჰოსპიტალში (ამჟამად იქ სამშობიარო სახლია), მარცხენა ფეხი აღარ ჰქონდა, მაგრამ განგრენა არ ასვენებდა, უკვე მერამდენედ უკეთებდნენ ოპერაციას.

ვასომ რომ დავგინახა, გადაირია ბიჭი სიხარულით... — გოგიმ შეისვენა, წყალი დაისხა და ცოტა მოსვა. მერე ერთხანს ასე იყო გარინდული, მე კი ვასო ხუჯაძე მიმაგონდა.

ვასო... ვასო... ერთი ბუნჩულა ბიჭი იყო სტუდენტობის დროს, უწყინარი, კეთილი, ცოცხალი და მოუსვენარი. მაინცდამაინც თავს ძალიან არ იწყუებდა ზედმეტი სწავლით. ზოგიერთივით არ იყო გაგვიებული ფრიადებზე ნადირობით. ყოველთვის კმაყოფილი იყო თავისი ბედით — სამიანი და ჯანმრთელობა... გარდა ამისა, ოჯახს ადრე მოეკიდა. ჯარში რომ მიდიოდა, ცოლი ფეხმძიმედ დატოვა. ვლადიმერის სამხედრო სასწავლებელში მიეღო დეპეშა: ვაჟი შეგვიძინაო. — ვინც კი იყვნენ იქ ქართველები, წასულიყვნენ ლუდსანაში და ისე დაელოცათ ვასოს ბიჭი (ახლა ის სამედიცინო ინსტიტუტის მესუთე კურსზეაო).

და აი, თანაკურსელების ერთ-ერთი ტრადიციული თავშეყრის დროს (ომის შემდეგ ხუთწელიწადში ერთხელ ვიკრიბებთ), მგონი 1961 წელს იყო, როცა „ინტურისტის“ რესტორნის მთავარი დარბაზი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული იურისტებით, სტუდენტობის დროინდელი ამხანაგებით აივსო (თუმცა მარტო ისინი როდი იყვნენ ცოლებითა და ქმრებით, ზოგს შვილებიც მოეყვანა, კირტავას კი, შვილიშვილიც ახლდა), როცა დიდი ხნის უნახავი მეგობრების ხილვითა და სიხარულით ისედაც გაბრუებულნი სწრაფად შევზარხოშდით, ომასიანმა სიმღერებმა და შეწყობილმა ტაშმა ცკკვის საღერდელი აგვიშალა, ხოლო ძლიერმა შეძახილებმა

რესტორნის ვეება მინები შეაზანზარა, ვი-
ლაცამ დაიძახა: ვასო დგება, ვასო. (ამ
დროს იგი ორჯონიკიძის რაიონის იუ-
რიდიული კონსულტაციის გამგე იყო).

ცნობისმოყვარეობით სავსე სახეები ყვე-
ლამ მოცეკვავეებისაკენ ვიბრუნეთ. ვასომ
შუა მოედნამდე ჯერ ყავარჯინით გაიციკვა,
მერე კი, როცა უფრო აზარტში შევიდა, ყა-
ვარჯენი სადღაც ისრიალა, ორივე ხელი ფა-
რთოდ გაშალა, მსრებში აიწურა, მკერდი
წინ წამოსწია, ცალ ფეხზე აიზიდა და ისე
დატრიალდა... დატრიალდა და ისეთი ცე-
ცხლი დაანთო, უკან მოიტოვა ფეხმართლე-
ბი. თავდავიწყებამდე ტრიალებდა და
ტრიალებდა, როგორც ბოროტზე ვამარჯ-
ვებული კეთილის ზვიმის სიმბოლო, რო-
გორც ისტორიის მრისხანე შეხსენება.

შინმოუსვლელები — მიშა ლარცულიანი
და მიხეილ ბიგვაგა, გერმანე სიხარულიძე
და ალექსანდრე ალხანაშვილი, სამა ჩაჩი-
ბაია და ვასტანგ ჭუბაბრია ვადღეგრძელოთ,
როგორც ცოცხლები.


ვინ იცის, იქნებ გოგისაც სწორედ ეს
სურათი დაუდგა თვალწინ და სწორედ
ამაზე ფიქრობდა ასლა.

— ჰოსპიტალმა, ვასოს ფეხმა, ვეშანი
მომგვარა. — თქვა მან, მერე ხელი ჩააქნ-
ია, — სადამოს დავაჯექ მატარებელს და
სოფლისაკენ მოვუსვი. დილით უკვე ხობში
ვიყავ. სადგურზე ბევრი ხალხი არ ირეო-
და. ერთი ეტლი იდგა, ცხენებს წინ ჩამო-
კიდებულტომრებში ჩაერგოთ თავი და ზან-
ტად შეექცეოდნენ თივას. მოშორებით ბი-
ჭები ლაზღანდარობდნენ. მეეტლე ჩრდი-
ლში მიმჯდარიყო მგზავრების მოლოდინ-
ში და შოლტის ტარით მიწაზე რაღაცეებს
საზავდა. მივედი, მივესალმე, ვკითხე, სოფ-
ელში თუ წამიყვანდა, იქვე ახლოს ვცხო-
ვრობ, ორ კილომეტრზე, როგორ არაო. წა-
მოიწია და უცბად... იმ ბიჭებიდან ერთი
დაბალი გამოვარდა, შეხტა კოფოზე, მო-
ზიდა თასმები, რაღაც ხმამაღლა შესძახა მე-
გრულად და ცხენები მოწყდნენ ადგილს,
ეტლი წამში გაუჩინარდა, უკან კი მტვრის
გრძელი შლიეფი მოიტოვა.

მეც და მეეტლემ სახტად დავრჩით.

მეზობლის ბიჭი ყოფილა, თურმე მიცნო
და მახარობლად გავარდნილა.

6986



შესავალი ომის ვიწროკანონით

8 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ მოაწყო ომის მონაწილე ვეტერანებთან შეხვედრა.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტმა ამბროსი მახარაძემ.

— ჩვენ წარსულს ვიგონებთ იმისათვის, რომ უფრო ღრმად გავიზიაროთ მისი გაკვეთილები. გამოვიტანოთ დასკვნები აწმყოსა და მომავლისათვის. ჩვენ ხალხს არ დაავიწყდება ომის მრისხანე დღეები, მისი გმირების ნათელი სახელები და სახეები. ისინი უკვდავყოფილნი არიან არა მარტო ბრინჯაოსა და გრანიტის ძეგლებით, არამედ თათბათა ცოცხალ გულშიც და დედამიწის ყველა პატიოსან ადამიანს, ყველას ვინც თვითონ განიცადა ომი და ვისაც მუდამ ახსოვს იგი, ყველას, ვინც იცის თურა ძვირად დაგვიჯდა გამარჯვება, ღრმად აქვს შეგნებული, რომ ფაშისმის წინააღმდეგ სისხლისმღვრელი ბრძოლის გმირთა საუკეთესო ძეგლი იქნება მტკიცე მშვიდობა და ხალხთა მეგობრობა, მთელი მშრომელი კაცობრიობის თავისუფლება და ბედნიერება.

ამს. ა. მახარაძე დამსწრეთ სთხოვს ფეხზე ადგომით პატივი სცენ ომში დაღუპულთა ხსოვნას.

ა. მახარაძე სიამაყის გრძნობით ლაპარაკობს ომის მონაწილეებზე, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატში მუშაობენ. სიამაყელომში გმირულად იბრძოდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. იოსავა, გმირი ქალაქის ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე იყო უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის წევრი ი. სუმბათაშვილი, სტალინგრადის დაცვაში მონაწილეობდა უმაღლესი სასამართლოს წევრი ო. გველესიანი. კავკასიის მისადგომებთან მტერს ერკინებოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე, უმაღლესი სასამართლოს წევრები: ვ. მუშკუდიანი, დ. გიორგაძე, ა. ფალავანდიშვილი, გ. ბლიაძე, შ. მახარაძე, ა. ლულუნიშვილი, დ. ბაღათურია, ნ. ბადაგაძე და სხვ...

შეხვედრაზე მოგონებით გამოვიდა ამს. ბ. იოსავა. პირველი ომის ნათლობა მივიღე სადგურ ორიონოში — იხსენებს გ. იოსავა. პირველად აქ დაგვბომ-

ბეს გერმანელებმა. გ. იოსავა იგონებს ბრძოლას მოსკოვისათვის, ჰყვება როგორ გადავიდნენ შეტევაზე როგორ უვლიდნენ გვერდებიდან დიდ მარაგზაზე ჩახერგილ მტრის უთვალავ ტექნიკას.


— მიძიმე მივიწვევთ წინ. მტერი ერთ გოჯს ართობს უბრძოლველად. პირისპირ შეხვედი გერმანელებს და აი საშინელება — იარაღი გაყინულიყო ჩემი. გერმანელმა ხიშტი გამიყარა მარცხენა ხელში. მე კონდახი მოვიმარჯვე, და სწორედ ამ დროს ალიოშა დოროფევემა ავტომატის ჯერით წელში გაწყვეტილი ფაშისტი დაანარცხა მიწას. სიკვდილს განომწყვიტა.

შემდეგ გამარჯვება კალუგაში, ბაზინოში. ტამაროვკის რაიონში და ასე ბერლინამდე.

მოგონებით გამოდის უმაღლესი სასამართლოს წევრი დ. ბაღათურია. ის კავკასიის მისადგომებთან იცავდა სამშობლოს. საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში კავკასიის დაცვა მარად დარჩება დიდი გმირული ეპოპეის ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცლად, ამბობს ის. მრავალი გმირი დაიბადა კავკასიის მაღალ მწვერვალებსა და უღელტეხილებში სამკვდრო-სასიცოცხლო დღეებში.

ფაშისტებმა დროებით წარმატებებიც კი მოიპოვეს. მათ ბილწი ფეხიც დააბიჯეს უწმიდეს ქართულ მიწას. ცეცხლის ალში გახვიეს ქლუხორის, მარუხის, სანჩარის გადასასვლელები. გერმანელები ცდილობდნენ ენგურისა და კოდორის სათავეებში დაშვებას. შემოიჭრნენ გვანდრასა და ფსესუში. ქართული დივიზია საბჭოთა არმიის სხვა შენაერთებთან ერთად მტერს ტამანის ნახევარკუნძულისა და ქერჩის სრუტისაკენ მიერეკებოდა, 1943 წლის 9 ოქტომბერს ფაშისტებისაგან გაიწმინდა ტამანის ნახევარკუნძული და მთელი ჩრდილოეთ კავკასია.

— ქერჩის ნახევარკუნძულზე ბრძოლებს მეტად მძაფრი ხასიათი ჰქონდა — იგონებს უმაღლესი სასამართლოს წევრი ვ. მუშაუდინი. საბჭოთა ჯარებს ხმელეთის ძალიან მცირე ნაწილი ეჭირა. ბრძოლა ერთი წუთითაც არ წყდებოდა... მტერი შეტევაზე გადმოდიოდა და ცდილობდა ჩვენი ჯარები უღვაში გადაეყარა. ყოველი მეტრი მიწისათვის იღვრებოდა ქართველთა სისხლი.



ძლიერი, სისხლისმღვრელი ბრძოლებით აღინიშნა 1944 წლის იანვარი, თებერვალი და მარტი. გერმანელების წინააღმდეგობა ძლიერი და შეუპოვარი იყო. მაგრამ საბოლოო ანგარიშში მტრის წინააღმდეგობა გაუტეხეთ და იმავე წლის 11 აპრილს ქერი და მრავალი დასახლებული პუნქტი გათავისუფლებული იქნა.

ლენინგრადის ბლოკადის მძიმე დღეებზე მოუთხრო დამსწრეთ გმირი ქალაქის დაცვის მონაწილემ ანხ. ი. სუმბათაშვილი. ი. სუმბათაშვილი ამბობს, რომ მასზე განსაკუთრებული ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ლენინგრადის ბაგეშვიების გმირობამ, მათ სიმამაცემ მშობლიური ქალაქის დაცვაში.

იქ—რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის ტრამალებში,

* * *

საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღინიშნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავი. საზეიმო განწყობილებით შეხვდნენ ამ თარიღს საქართველოს სსრ პრეზიუმის მუშაკებიც. დარბაზში შეიკრიბნენ ისინი, ვინც სიცოცხლის დაუზოგავად იცავდა მშობლიური ქვეყნის ღირსებას და დამოუკიდებლობას, ყოფილი ფრონტელები, რომლებიც ახლა სახელმწიფოსა და ხალხის კანონიერი ინტერესების დაცვას ემსახურებიან.

პიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ პრეზიუმის, დიდი სამამულო ომის მონაწილემ პ. მ. ბერძენიშვილმა.

ჩვენი გამარჯვება გერმანიის ფაშისმზე, — აღინიშნავს პ. ბერძენიშვილი, — ეს არის სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვება იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციულ, აგრესიულ ძალებზე. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხები ცდილობდნენ ღირსეული წვლილი შეეტანათ მტრის განადგურებაში. მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმი საბრძოლო გმირობისათვის აღაფრთოვანებდა სხვადასხვა ეროვნების მეომრებს. ჩვენი მრავალეროვანი არმია მასობრივი გმირობის არმია გახდა.

უკვდავია გმირობა რუსი ა. მატროსოვისა, უზბეკი ტ. ერჯიციტოვისა, ესტონელი ი. ლარისა, უკრაინელი ა. შევჩენოსი, მოლდაველი ი. სოლტისისა და ბევრი სხვა საბჭოთა მეომრისა.

მამაცურად იბრძოდნენ დიდ სამამულო ომში და გამარჯვებას შესწირეს თავი საქართველოს სსრ პრეზიუმის სამოქალაქო განყოფილების პროკურორმა ბენიამინ ვლადიმერის ძე ჩხაი-

ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ვრცელ მიწა-წყალზე გამარჯვებას ფარგლებს გარეთაც განისვენებენ ქვეყნის წინაშე სამუდამოდ ვალმობილი ადამიანები, ამბობს ი. სუმბათაშვილი. — ადამიანები, რომელთა შესახებ დღემდე არაფერი ვიცით. ბრძოლაში დაცემულები, შინ მოუსვლელები თვითუკალი ჩვენგანის გულში ცხოვრობს. ისინი უსახელონი არ არიან. ხალხის ვალია, მათი სახელის უკვდავება.

საზეიმო კრებაზე ომის ვეტერანებს გადაეცათ სახელმწიფო დაწესებულებების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საპატიო სიგელები, აგრეთვე ფასიანი საჩუქრები.

ძემ, კალინინის რაიონის პროკურორმა გედევან ლეონტიძის ძე კუტალაძემ, კიროვის რაიონის პროკურორმა ივანე გიორგის ძე გებანოიძემ და სხვ.

მათი ხსოვნის პატივსაცემად რესპუბლიკის პროკურატურის პარტიულმა ორგანიზაციამ მოაწყო სტენდი და ომში დაღუპულთა ოჯახებს მატერიალური დახმარება გაუწია.

სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანებმა ერთგულებამ სოციალისტური სამშობლოსადმი, მათმა საბრძოლო მეგობრობამ განსახიერება ჰპოვა პატრიოტულ მოძრაობაში.

სამამულო ომის წლებში პატრიოტული მოძრაობა უაღრესად ხალხური იყო. იგი შთაგონებული იყო პარტიის დიდი იდეებით, მისი პოლიტიკით. სახალხო შურისმგებელთა შორის იყვნენ ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხის შვილები — ქალები და ვაჟები. ერთ-ერთი მათგანი რესპუბლიკის პროკურატურის წარგზავნილი დავით ქორიძე იყო, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ პროფესიას.

დიდი სამამულო ომის ქარცეცხლს ვაჟაკურად შეერკინნენ ამჟამად საქართველოს სსრ პროკურატურაში მომუშავე ამხანაგები: საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ვ. პრავდინი, საქართველოს სსრ პროკურორის უფროსი თანამშემვე კადრების დარგში პ. შუშანი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი შ. ტანტურია, საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ზ. ბასიშვილი, არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების პროკურორი კ. კანდელაკი, სამოქალაქო განყოფილების უფროსი ვ. ასეიშვილი და სხვ.

სამამულო ომში დაღუპულ ქართველი იურისტების სიმამაცეზე ილაპარაკა თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე. ზედამხედველობის განყოფილების პროკურორმა ი. ყაველაშვილმა.

ჩემს წინაშეა, — აღნიშნავს ი. ყაველაშვილი, — ღირსიდან გაყვითლებული, ბევრის შიქმელი და მოგონებათა აღმძვრელი ფურცლები.

1948 წლის 29 იანვარს გაზეთი „პრადა“-ს მოწინავე წერდა: „უმაგალითო სიმამაცითა და გმირობით ქართველი ხალხის შვილებმა ფრონტზე ცხადვეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი... ასეთ ქართველ გმირთა შორის არიან პროკურატურის ყოფილი მუშაკებიც, რომლებმაც ფაშისტი ჟურნლების წინააღმდეგ ბრძოლებში თავი შესწირეს ზალხის, სამშობლოს მშვიდობიან ცხოვრებას, მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს.

სალამოზე მოგონებებით გამოვიდა რესპუბლიკის პროკურატურის სამოქალაქო განყოფილების პროკურორი, სამამულო ომის მონაწილე ს. ჯინჯიხაშვილი.

საბჭოთა აღამიანები — აღნიშნა მან, — დიდი პატრიოტული სიამაყის გრძნობით იმსჭვალეობან, როცა თვალს ავლებენ გმირულ წარსულს. ისტორიას

არ ახსოვს ისეთი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ისეთი მასობრივი გმირობა, სიმტკიცე და ორგანიზებულობა, როგორც გამოიჩინეს ჩვენმა ხალხმა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ომის საბჭოთა ვეტერანების სახელით შეხვედრის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა სამამულო ომის მონაწილე ქალი მ. მელიქიშვილი.

მაშინაც აი ასეთი გაზაფხული იდგა. ხეებზე კვირტები სკდებოდნენ... ჩვენ კი ვადამწყვეტი, სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლისათვის ვემზადებოდით. ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ გამარჯვების წუთები მთავრობებში იყო, რომ სიცოცხლისა და სიხარულის მცნედი მოფრენილი გაზაფხული დიდი ხნის ნანატრს აუხდენდა ხალხს.

ფიქრები სინამდვილედ იქცა და დღეს, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ვზეიმობთ ამ გამარჯვებას, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხების სიმამაცისა და ძლევამოსილების ურყევი დადასტურებაა.

ომის ვეტერანებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა ადგილკომის სახელით რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწემ ვ. ბობუაძემ.

მონღის ჩვენების შეფასების უზენაესი ორგანიზაციის საკითხის სასამართლო პრაქტიკაში

კ. ვაჩივილი

მოწმის ჩვენების შეფასება როგორც წინასწარ ისე სამსჯავრო გამოძიებაში თითქმის ყოველ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოებს. მოწმის ჩვენების შეფასება, რომელიც შინაგანი რწმენით ხდება, ბევრ საინტერესო საკითხს აყენებს სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობაში. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოწმის წარმოებული ჩვენების შეფასების საკითხს.

* * *

მოწმის წარმოებული ჩვენების შეფასება. მოწმის წარმოებული ჩვენება ხშირად სასამართლოს გამოკვლევის საგანი. ეს არის ჩვენება, რომელსაც მოწმე იძლევა არა მოვლენების უშუალოდ აღქმის საფუძველზე, არამედ როდესაც იგი ეყრდნობა სხვის მიერ უშუალოდ მოსმენილ ან დანახულს.

საქართველოს სსრ სსს კოდექსის 66-ე მუხლის მიხედვით „დამამტკიცებელ საბუთად არ ჩაითვლება მოწმის მიერ შეტყობინებული მონაცემები, თუ მას არ შეუძლია მიუთითოს, რომელი წყაროდან არის მისთვის ცნობილი ეს მონაცემები“.

დაახლოებით იმავე შინაარსისაა საქართველოს სსრ სსს კოდექსის 285-ე მუხლის II ნაწილი. კანონის ამ ორივე მუხლის მოთხოვნა გამომდინარეობს უშუალოდ პრინციპიდან. ამ მოთხოვნის მიზანშეწონილება იმაში მდგომარეობს, რომ განაჩენს საფუძვლად ვერ დაედება ისეთი მონაცემი, რომლის შემოწმება არ ხერხდება, ამრიგად, მოწმის წარმოებული ჩვენება დაიშვება მხოლოდ მაშინ, როცა მოწმეს შეუძლია და ასახელებს კიდევ იმ წყაროს, საიდანაც მან შეკრიბა აღნიშნული მონაცემები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პეტროვას საქმეზე აღნიშნავდა, რომ ჩვენება, რომელიც ემყარება შეუძომებელ ხმებს და რომლის წყარო დადგენილი არაა, არ შეიძლება წარმოადგენდეს დამამტკიცებელ საბუთს. პეტროვას ბრალი დაედო იმაში, რომ დანილოვას მიაყენა სხეულის დაზიანება, რომლისაგანაც ეს უკანასკნელი ვარდაიცვალა. განაჩენი ემყარებოდა ერთ-ერთი მოწმის ჩვენებას. ეს მოწმე ამტკიცებდა, რომ მან ვაიგონა პეტროვას მიერ დანილოვას მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ. საქმე წარმოებით შეწყდა.¹ ცხადია, რომ სასამართლო, რომელიც არსებითად იხილავდა აღნიშნულ საქმეს, არ უნდა დაეყრდნობოდა მოწმის მიერ გაგონილ ისეთ ხმებს, რომლის წყაროც მას არ დაუსახელებია.

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1943 წლის 27 იანვრის განჩინება პეტროვას საქმეზე „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1943, вып. V, стр. 20.



ცნობების მიღების წყაროს არსებობას კანონმდებელი იმიტომ თვლის აუცილებელ მოთხოვნად, რათა შემოწმდეს ამ წყაროს ობიექტურობა. ეს აზრი ნათლადაა გატარებული სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში ორსეკოვის საქმეზე: ბრალდება ვერ დაემყარება იმ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც არ წარმოადგენენ დანაშაულის თვითმხილველებს და რომლებმაც ცნობები მიაწოდეს მათთვის გაურკვეველი და შეუმოწმებელი ხმების საფუძველზე.¹

მოწმის წარმოებულ ჩვენების წყაროს დადგენისა და შემოწმების მოთხოვნა შემდეგი აუცილებლობითაა გამოწვეული. მოწმის წარმოებულ ჩვენების შეფასებისას ვათვალისწინებულა შემთხვევისა და ჩვენების მიმცემ მოწმეს შორის შუალედური რგოლის, შემთხვევის უშუალო აღმქმელის, არსებობის ფაქტი. სწორედ ეს გარემოება მნიშვნელოვანწილად აართლებს მოწმის წარმოებულ ჩვენების შეფასებას, ხდის მას გაცილებით უფრო რთულს.

მოწმის წარმოებულ ჩვენების სწორი შეფასება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს განკარგულებაში არის გარკვეული ცნობები პირველადი წყაროს და მისი მიმცემი პირის შესახებ.

მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ წყაროს შემოწმება არ მოგვცემს სასურველ შედეგს. იმისათვის რათა არ დარჩეს ეჭვები მოწმის წარმოებულ ჩვენების ობიექტურობაში, საჭიროა და აუცილებელი თვით წყაროში მითითებული ცნობების შემოწმებაც. უამისოდ სასამართლო შეცდომის საფრთხის წინაშე დადგებოდა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პრაქტიკა დგას იმ პოზიციაზე, რომ მოწმის წარმოებულ ჩვენების შეფასებისას გამორკვეული უნდა იქნას თვით ჩვენების, როგორც წყაროს ხასიათი. უმაღლესი სასამართლო აისბერგენოვისა და სხვების საქმეებზე განმარტავდა, რომ სასამართლომ დასკვნები სამართალში ძიებულთა მიერ მარტველულის გატაცების შესახებ დაამყარა იმ მოწმეთა ჩვენებებზე, რომლებიც თვით არ არიან პურის საწყობიდან გატაცების მხილველნი და ჩვენებებს იძლეოდნენ სხვა პირების ნათქვამის საფუძველზე... დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები იმდენად გაურკვეველია, რომ თავისთავად ასეთი ჩვენებები არ შეიძლება წარმოადგენდეს სამართალში მიცემულთა ბრალეულობის საკმარის საფუძველს².

გარდა იმისა, რომ მოწმის წარმოებულ ჩვენება კონკრეტულ, გაურკვეველ ხასიათს უნდა ატარებდეს, აუცილებელია რათა იგი არ იყოს აგრეთვე ამჟამად წინააღმდეგობრივი, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ბრალდებულთან ამ მოწმის მტრული დამოკიდებულებისა.³

მოწმის წარმოებულ ჩვენების შეფასებასთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო თავის პრაქტიკაში ყურადღებას აქცევს იმ პირვანდე-

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1939 წლის 10 ივლისის განჩინება ორსეკოვის საქმეზე. Сборник постановлений Пленума и определенных коллегий Верховного Суда Союза ССР (второе полугодие 1939 г.), Юридат, М. 1941, стр. 94.

² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1954 წ. 22 ივლისის განჩინება აისბერგენოვისა და სხვათა საქმეზე. „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1944, вып. VII, стр. 25.

³ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1939 წლის 28 აპრილის დადგენილება ანტიპოვის საქმეზე. Сборник постановлений Пленума Верховного Суда Союза ССР (1938 г., и первое полугодие 1939 г.) Юридат, М. 1940, стр. 25.

ლი მოწმის ჩვენების შეფასებასაც, რომლის მეშვეობითაც (ე. ი. რომლის გამოცხადებით ან დანახულზე დაყრდნობით) იძლევა მოწმე წარმოებულ ჩვენებას.

მაგალითად, მეინიოვიჩის საქმეზე, რომელსაც ბრალად ედებოდა სპეკულაცია, განაჩენი ემყარებოდა ისეთი მოწმიეების ჩვენებებს, რომლებიც მიცემულ იყო მოწმე დრანიშნიკოვას ჩვენებების საფუძველზე. ამ უკანასკნელის ჩვენებები კი უეიდურესად წინააღმდეგობრივი იყო. გარდა ამისა, დადგენილი იყო, რომ მეინიოვიჩი და დრანიშნიკოვა ცხოვრობდნენ ერთ ბინაში, მათ შორის არანორმალური დამოკიდებულება იყო, რაც წარმოიშვა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე. საქმე წარმოებით იქნა შეწყვეტილი.¹

ამრიგად, მოწმის წარმოებული ჩვენების შეფასების დროს გარკვეული მნიშვნელობა აქვს როგორც ამ ჩვენების ისე პირვანდელი ჩვენების გაანალიზებას. ამ გზით ხდება, ერთის მხრივ, წარმოებული ჩვენების შემოწმება პირვანდელის მეშვეობით, ზოლო მეორეს მხრივ მოწმდება თვით პირვანდელი ჩვენების ხასიათიც. მაგალითად, ბოიარინოვის საქმეზე, რომელსაც ბრალად ედებოდა სახელმწიფო თანხების მითვისება, ბრალდება ემყარებოდა მოწმე პოდგორნაიას ჩვენებას, რომელიც ჩვენებას იძლეოდა ეფრემოვას მონაყოლის საფუძველზე. შოლარე ეფრემოვას ჩვენებით დადგინდა, რომ მან ბრალდებულ ბოიარინოვის შეგავლენით პირველად განაცხადა, რომ ფული გადაუხადა უშუალოდ მუშებს. სწორედ ეს ფაქტი, ეფრემოვასაგან გაგონილი, დაადასტურა მოწმე პოდგორნაიამ. ამ პერიოდში აღნიშნული ვერსიის დასადასტურებლად ეფრემოვამ უთხრა მოწმე პოდგორნაიას, რომ ფული მან გადასცა მუშებს და არა ბოიარინოვს. ეფრემოვამ შეცვალა ჩვენებები ამ საკითხში და მოწმე პოდგორნაიამაც აჩვენა, რომ ეფრემოვა მას ეუბნებოდა ფულის ბოიარინოვისათვის მიცემის შესახებ. შემდგომში ეფრემოვამ აჩვენა, რომ ბოიარინოვმა მას მესამე პირის მეშვეობით შეუთვალა, რათა გამოძიებისათვის ეჩვენებინა ფულის მუშებისათვის მიცემის შესახებ. ამის გამო მან გამოძიებას არასწორი ჩვენებები მისცა, შემდეგ შეწუხდა და ყველაფერში გამოუტყდა თავის ქმარს, რომელმაც ურჩია მიეცა სწორი ჩვენება. იგი ასე მოიქცა აღნიშნული გარემოება დაადასტურა ეფრემოვას მეუღლემ. ეფრემოვას და ბოიარინოვას დაპირისპირებებისას უკანასკნელმა დაადასტურა, რომ ეფრემოვამ ფული მას გადასცა. ის გარემოება, რომ ბოიარინოვის შეგავლენით ეფრემოვამ გამოძიებას მისცა ჯერ არასწორი, ხოლო შემდეგ კი ობიექტური ჩვენება, დაადასტურა მეორე მოწმემ დროზდოვამ, რომელსაც ეფრემოვა გამოუტყდა ყველაფერში.² აღნიშნული საქმე უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკიდან იმაზე მეტყველებს, რომ წარმოებული და პირვანდელი ჩვენებების ერთმანეთთან შეჯერებისას წარმოებული ჩვენებების მეშვეობით ხდება პირვანდელი ჩვენებების ობიექტურობის შემოწმება. ამ შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ მოწმეთა (პოდგორნაიას, ეფრემოვის და დროზდოვას) წარმოებული ჩვენებები ობიექტურია, ისინი ძირითადად სწორად გადმოსცემენ პირ-

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 1 ოქტომბრის დადგენილება მეინიოვიჩის საქმეზე. „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1955, № 1, стр. 1—2.

² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება ბოიარინოვის საქმეზე. „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1950 г., № 12, стр. 2—4, იხ. აგრეთვე პლენუმის 1957 წლის 10 სექტემბრის დადგენილება გავრილოვის საქმეზე. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1957, № 6, стр. 20—21.

ვანდელ ჩვენებებს და სხვა ფაქტიურ მასალებთან ერთად საშუალებას იძლევიან ვიმსჯელოთ თუ რა ნაწილში უნდა ვენდოთ მოწმეთა პირვანდელ ჩვენებებს, როგორც ობიექტურ ჩვენებებს.

ზოგიერთ შემთხვევაში მოწმის წარმოებული ჩვენება არაობიექტურია ამ მოწმის მიერ საქმის შედეგით დაინტერესებულობის გამო. პარშუკოვს და ესეკეშევს ბრალი ედებოდათ იმაში, რომ სცემეს გრეჩიშკინი და პარხომენკო. სამართალში მიცემულმა პარშუკოვმა აღნიშნა, რომ იმიტომ სცემა გრეჩიშკინი; რომ უკანასკნელი მოელაპარაკა პარხომენკოს და მათ საჯაროდ დასწამეს ცილი მას და ესეკეშევს ორი წყვილი ხელთათმანის საამქროდან გატაცებაში. დაზარალებულმა გრეჩიშკინმა აჩვენა, რომ მან ორი წყვილი ხელთათმანის გატაცების შესახებ პარხომენკოსაგან გაიგონა. საქმეში არის მონაცემები იმის შესახებ, რომ პარშუკოვისა და ესეკეშევის ბრალდება ხელთათმანების გატაცების შესახებ უსაფუძვლო იყო. მოწმე ნეფედოვმა სასამართლოს უჩვენა, რომ გრეჩიშკინი და პარხომენკო აგულიანებდნენ მას დაედასტურებინა აღნიშნული გარემოება გატაცების შესახებ, მაგრამ იგი არ დათანხმდა, რადგან ამას სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. საერთოდ საამქროდან გატაცების ფაქტი დადგენილი არ ყოფილა¹.

გადმოცემული საქმის ანალიზს იმ დასკვნამდე მიყვევართ, რომ არის შემთხვევები, როცა ერთის შეხედვით თითქოს სახეზეა მოწმის წარმოებული ჩვენება, რომელიც ემყარება პირვანდელ ჩვენებას, მაგრამ სინამდვილეში კი როგორც პირვანდელი, ისე ეგრეთწოდებული წარმოებული ჩვენება შეთხზულია ცილისმწამებლური განზრახვით. ამ ჩვენებების ობიექტურობის გასარკვევად სასამართლო ძირითადად უნდა დაემყაროს საქმის სხვა ფაქტიურ მასალებს. სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როცა მოწმე განზრახ ან უნებლიეთ აყალიბებს პირვანდელ ჩვენებას², ანდა როცა მოწმე თავის თავს ასახელებს ამა თუ იმ გარემოების თვითმხილველად, მაგრამ სინამდვილეში მან ყველაფერი გაიგო სხვისი მონაყოლის მეშვეობით. ეს უკანასკნელი გარემოება გამოწვეულია გარკვეული დაინტერესებულობით, საქმის შედეგით. ასეთი მოწმის ჩვენებებში მოცემული ცნობების სარწმუნოების დასადგენად საჭიროა ამ ცნობების გულდასმით შემოწმება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო თავის პრაქტიკაში გარკვეულ ყურადღებას უთმობს მოწმის ან დაზარალებულის ჩვენების შეფასების საკითხს, რომელიც მიცემულია გარდაცვალების წინ. არაქელიანი ცნობილი იქნა დამნაშავედ იმაში, რომ მან სიმონიანთან და ასატრიანთან ერთად ჩაიდინა ხულიგნობა და მოქალაქე მინასიანს მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა, რომლისაგანაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. ბრალდება ემყარებოდა დაზარალებული მინასიანის მშობლების ჩვენებებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ დაზარალებულმა ჯერ კიდევ საავადმყოფოში ყოფნისას სიკვდილის წინ თქვა, რომ მას დანა დაარტყა არაქელიანმა. მინასიანის მშობლებმა აჩვენეს, რომ დაზარალებულმა არაქელიანი დაასახელა გამომძიებელ გრიგორიანის თანდასწრებით. ამ საქმეზე და-

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 2 ივლისის დადგენილება პარშუკოვის და ესეკეშევის საქმეზე. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1963, № 6, стр. 35—36.

² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 11 სექტემბრის დადგენილება ასილოვას საქმეზე. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1957, № 6, стр. 18.



კითხულმა გრიგორიანმა არ დაადასტურა აღნიშნული ჩვენებები. ამასთან ერთად მინასიანის მშობლების ჩვენებები ყოველმხრივ და კრიტიკულად არ შეძენა, მთელი რიგი არსებითი გარემოებებისა არ იქნა გამოკვლეული. არ იქნა აგრეთვე ახსნილი არსებითი წინააღმდეგობა მინასიანის მშობლებისა და გრიგორიანის ჩვენებებს შორის, არ მოხდა მათ შორის დაპირისპირება, არ ყოფილა დაკითხული დაზარალებულ მინასიანის მკურნალი ექიმი ლუსინ-ძიანი და არ იქნა გამოკვლეული შეეძლო თუ არა დაზარალებულს ჯანმრთელობის მდგომარეობით სწორი პასუხები გაეცა მისთვის დასმულ კითხვებზე.

გარდა ამისა მოწმე ჩატალიანმა აჩვენა, რომ მინასიანს დანა დაარტყა იმ ახალგაზრდამ, რომელსაც კისრიდან სისხლი სდიოდა. საქმიდან ჩანს, რომ არაქელიანი კისერში არ ყოფილა დაჭრილი. არასწორად ჩატარდა არაქელიანის ამოცნობა, საქმიდან არ ჩანს თუ რა განმასხვავებელი ნიშნებით იქნა ამოცნობილი არაქელიანი. არაქელიანმა განაცხადა, რომ დანა ჰქონდა არა მას, არამედ სამართალში მიცემულ სიმონიანს, რომელმაც დაჭრა მინასიანი. შემთხვევის ადგილზე სისხლიანი დანა არ აღმოჩენილა, თუმცა არაქელიანი ბოლომდე იქ დარჩა, სიმონიანი კი გაიქცა. საქმე გაიგზავნა ხელახალი გამოძიებისათვის პროკურატურაში.¹


მოწმის ან დაზარალებულის მიერ სიკვდილის წინ მიცემული ჩვენების შეფასების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ წინასწარ გამოძიებას ადარა აქვს შესაძლებლობა ხელმეორედ დაკითხოს, ხოლო სასამართლოს არ შეუძლია საერთოდ დაკითხოს ასეთი პიროვნება. ამდენად სასამართლოს მთლიანად ესპობა საშუალება უშუალოდ შეამოწმოს აღნიშნული ჩვენება და ძირითადად ეყრდნობა იმ ერთ დაკითხვის ოქმს, რომელიც მის გაწკარგულებაშია.

ამრიგად, მოწმის წარმოებულ ჩვენებების შეფასება უნდა წარიმართოს მის პირვანდელ ჩვენებასთან დაპირისპირების გზით, რაც საშუალებას იძლევა გარკვეულად შემოწმდეს მათში მოცემული ცნობების სარწმუნობა. გარდა ამისა, ორივე ჩვენება უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, ხომ არ არის მათში ან მათ შორის რაიმე წინააღმდეგობა, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში აიხსნას ეს წინააღმდეგობა. ჩვენებები უნდა შეფასდეს იმის მიხედვითაც თუ რამდენად დამაჯერებელი, კონკრეტული და გარკვეულია ისინი და ამის მიხედვით გამოითქვას აზრი მათი ობიექტურობის შესახებ. ყოველი გარემოება ან ცნობა უნდა შემოწმდეს და შეჯერდეს საქმის სხვა ფაქტიურ მასალებთან. არც ერთი წარმოებული ჩვენება თავისთავად არ იძლევა საფუძველს გაკეთდეს რაიმე ნაჩქარევი დასკვნა რომელიმე ფაქტის არსებობის შესახებ.

მოწმის წინააღმდეგობრივი ჩვენებების შეფასება.

ერთი და იგივე მოწმე ხშირად რამდენიმე ჩვენებას იძლევა. წინასწარ გამოძიებაზე მოწმე ზოგჯერ არაერთხელ იკითხება. იმისათვის, რათა სწორი შეფასება მიეცეს მოწმის ჩვენებას, სასამართლო მოვალეა ერთმანეთს შეადაროს მოწმის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას მიცემული ჩვენებები. მოწმის

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის 1 აპრილის განჩინება არაქელიანის საქმეზე: „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1961, № 4, стр. 19—20; იხ. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1951 წლის 23 მაისის განჩინება ზელენკოვისა და საუჩკოვის საქმეზე. „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1951, № 7, стр. 22—23.



მიერ მოკვლევისათვის ან წინასწარ გამოძიებაზე მიცემული ჩვენებების გამოქვეყნება ხდება იმ შემთხვევაშიც, როცა არსებობს წინააღმდეგობა სხვადასხვა ადგილას მიცემულ ჩვენებებს შორის (საქართველოს სსრ სსსკ 288-ე მუხ).

ცხადია, რომ გამამტყუნებელი განაჩენის დამყარება აშკარად წინააღმდეგობრივ ჩვენებებზე უმართებლო იქნება. ასეთ შემთხვევებში სასამართლომ უნდა დაადგინოს წინააღმდეგობათა მიზეზი მოცემულ ჩვენებებში და გამოიტანოს გარკვეული დასკვნა ამა თუ იმ ჩვენების სარწმუნობის თუ უვარგისობის შესახებ. მოწმის ჩვენების ობიექტურობის განსაზღვრისას მისი შემოწმების ერთ-ერთ მეთოდს მათი წინააღმდეგობების შემთხვევაში წარმოადგენს სხვადასხვა დროს მიცემული ჩვენებების ერთმანეთთან დაპირისპირება. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო იმ თვალსაზრისზე დგას, რომ ბრალდება ვერ დაემყარება მოწმის წინააღმდეგობრივ ჩვენებებს თუ ისინი უარყოფილი არიან ობიექტური დამამტკიცებელი საბუთებით.¹ რასაკვირველია, არარსებითმა განსხვავებამ მოწმის ჩვენებებს შორის არ შეიძლება ხელი შეუშალოს მის გამოყენებას ბრალდების დასაბუთებისას.² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში ნათქვამია, რომ დაზარალებულის ჩვენებებში წინააღმდეგობების არსებობა თავისთავად არ წარმოადგენს ისეთ გარემოებას, რომელიც უდავოდ უარყოფს ბრალდების ვერსიას, თუ იგი გამაგრებულია სხვა არსებითი დამამტკიცებელი საბუთებით.³

რასაკვირველია, ყოველივე ზემოაღნიშნული არ ნიშნავს, რომ ერთნაირი ან თითქმის ერთნაირი ჩვენებები ყოველთვის ჩვენების ობიექტურობასა და მოწმის კეთილსინდისიერების მაჩვენებელია. ზოგჯერ ჩვენებების ყველა დეტალში დამთხვევამ შეიძლება ეჭვიც კი დაბადოს, რომ ადგილი აქვს ჩვენებების დაზეპირებას, ხელოვნურ ნიველირებას. ბუნებრივია, რომ მოწმე განმეორებითი დაკითხვისას აზუსტებს თავის აღრინდელ ჩვენებას, ამდიდრებს და ავსებს მას ზეხსიერებაში ახლად აღდგენილი დეტალებით.

მოწმის ჩვენებებში არსებულ წინააღმდეგობათა აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო მოვალეა გამოიკვლიოს წინააღმდეგობათა მიზეზი⁴. ჩვენებების შეცვლის მიზეზი შეიძლება გამოწვეული იყოს გარკვეული გარემოებით, როგორცაა, მაგალითად, მუქარა ბრალდებულისა და მისი ახლობლების მხრივ, ან ამ უკანასკნელთა მიერ რაიმეს დაპირება. თუ ასეთი ფაქტი დგინდება, ეს ნიშნავს,

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1958 წლის 12 აპრილის განჩინება გუსეინოვის საქმეზე. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1958, № 4, стр. 40;

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 17 ნოემბრის დადგენილება დანილოვის და სლივკოვის საქმეზე. „Судебная практика Верховного Суда СССР 1951, № 2, стр. 4.

² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1952 წლის 30 ივლისის განჩინება პოკოვიჩის საქმეზე. „Судбаная практика Верховного Суда СССР“, 1952, № 10, стр. 16.

³ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 19 ივნისის დადგენილება შჩერბაკოვას საქმეზე. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1957, № 6, стр. 13.

⁴ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1955 წლის 24 ნოემბრის განჩინება ვოტიაკოვის საქმეზე. „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1955, № 1, стр. 17; სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის 1 აპრილის განჩინება არაქელიანის საქმეზე. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1961, № 4, стр. 19.

რომ ახსნა მოეძებნა მოწმის ჩვენების შეცვლას, გაირკვევა თუ რომელი ჩვენება არაობიექტური. სასამართლო და წინასწარი გამოძიება აღნიშნულ ფაქტებს აფასებენ სხვა დამამტკიცებელ საბუთებთან კავშირში, ამოწმებენ მას საქმის სხვა მასალებთან შეჯერების საშუალებით. უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის ერთ-ერთი განჩინების ძირითად დებულებაში ნათქვამია, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ვერ დაემყარება მოწმეთა წინააღმდეგობრივ ჩვენებებს, თუ ისინი არ დასტურდებიან სხვა ობიექტური მონაცემებით.¹

არის შემთხვევა, როცა ერთი მოწმის სხვადასხვა ჩვენებებს შორის წინააღმდეგობაა, ხოლო სასამართლოს ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტისას ხელაღებით, დასაბუთების გარეშე მოჰყავს ერთ-ერთი ჩვენება. ერთი ჩვენების საღმი ასეთი ნდობა, ხოლო სხვა დროს მიცემული ჩვენების უკუგდება დამგობილია სასამართლო პრაქტიკით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო მრავალგზის მიუთითებს, რომ სასამართლომ უნდა მოიყვანოს სათანადო მოტივები თუ რატომ მიიღო გარკვეული დამამტკიცებელი საბუთი და უკუაგდო მეორე.²

უკეთეს ჩვენების შეცვლის მიზეზი ბრალდებულის მიმართ შეცოდების, შებრალების გრძობაა, გამომძიებელმა, მოსამართლემ მოწმეს უნდა განუმარტოს რომ ჩვენების შეცვლით იგი ხელყოფს მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებს. იმ შემთხვევაში თუ მოწმეს ეშინია მუქარის რეალურად განხორციელების და როცა მუქარა თავისი ობიექტური ნიშნებით გამომძიებელს, მოსამართლეს რეალური, ნამდვილად მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აღუძრავს ეჭვს, ამ უკანასკნელთა მიერ უნდა იქნას მიღებული ქმედითი ზომები მოწმის ხელშეუხებლობის დაცვისათვის ყოველგვარი მოსალოდნელი ხელყოფისაგან. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 199-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმ პირთა მიმართ, რომელნიც იმუქრებიან სიკვდილით, ძალადობის გამოყენებით, ან ქონებრივი ზიანის მიყენებით.

დაინტერესებული მოწმის ჩვენებების შეფასება. საბჭოთა პროცესუალური კანონმდებლობა არ იცნობს მოწმის აცილების ინსტიტუტს საქმის შედეგით მოწმის დაინტერესებულობის ან ბრალდებულთან ნათესაური ან მატერიალური დამოკიდებულების მოტივით. ასეთ მოწმეთა ჩვენებები დაიშვება განსაზღვრულად, მხოლოდ ისინი გულდასმით და კრიტიკულად უნდა იქნენ შესწავლილი და შემოწმებული.

ეგრეთწოდებული „დაინტერესებული მოწმის“ ცნება ფართოა და ხშირად მისი საზღვრების დადგენა ძნელდება. მოწმეთა ამ კატეგორიასთან ახლო დგას ისეთი მოწმის ჩვენებაც, რომელიც უშუალოდ სრულიად არ არის დაინტერესებული იმით, თუ როგორ გადაწყდება საქმე, მაგრამ შიშის მოტივით ან ბრალდებულის და მისი ახლობელთა თხოვნით იძლევა არასწორ ჩვენებებს. „დაინტე-

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1955 წლის 23 მარტის განჩინება დოვეიკისის საქმეზე—„Судебная практика Верховного Суда СССР“, 1955, № 4, стр. 15.

² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 28 ივლისის სახელმძღვანელო მითითება სასამართლო განაჩენის შესახებ. „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1950, № 9, стр. 4; იხ. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1962 წლის 27 იანვრის განჩინება ასოიანის საქმეზე. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1962, № 2, стр. 33.

რესებულ მოწმეთა“ ცნება გარკვეულად მოიცავს დაზარალებულის ცნებას. რადგანაც დაზარალებული თავისი პროცესუალური მდგომარეობის გამო ხშირ შემთხვევაში შეიძლება დაინტერესებული იყოს საქმის შედეგით. როგორც „საფუძვლები“, ისე მოკავშირე რესპუბლიკათა საპროცესო კოდექსები მყარად დგანან იმ თვალსაზრისზე, რომ დაზარალებულის ჩვენება წარმოადგენს დამამტკიცებელი საბუთების დამოუკიდებელ წყაროს.¹ მართლაც, დაზარალებული თავისი იურიდიული ბუნებით არსებითად განსხვავდება მოწმისაგან. ამასთან ერთად, არის მთელი რიგი ისეთი გარემოებები, რომლებიც გარკვეულ დაღს ასვამენ დაზარალებულის ჩვენების შეფასების პროცესს და განაპირობებენ მის თავისებურებას (დაზარალებულის უფლება გაეცნოს წინასწარი გამოძიების მასალებს, შესწერბოდეს სასამართლო გამოძიებას). მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კანონი დაზარალებულის ჩვენებას ცალკე წყაროდ მიიჩნევს, ეს ჩვენებები მაინც შესწავლის ღირსია მოწმის ჩვენებების კვლევისას, რადგანაც დაზარალებულის ჩვენებების შეფასების მდიდარი პრაქტიკა ბევრ საინტერესო და საგულისხმო მასალას იძლევა მოწმის ჩვენებების შეფასების ხერხების და საშუალებების დასადგენად.

მოწმის დაინტერესებულობა, მისი დამოკიდებულება ბრალდებულთან, დაზარალებულთან, საქმის შედეგისადმი სრულიად არ არის იმის მაჩვენებელი, რომ მისი ჩვენება უსათუოდ არაობიექტურია. სასამართლოს და წინასწარი გამოძიების პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მოწმე და დაზარალებული, მიუხედავად ასეთი სუბიექტური განწყობილებისა სასამართლოს მაინც აძლევენ ობიექტურ ჩვენებას და ეხმარებიან წინასწარ გამოძიებას და სასამართლოს ქეშმარიტების დადგენაში.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა ბევრ საინტერესო დებულებებს და პრაქტიკულ რჩევებს იძლევა აღნიშნული საკითხის ირგვლივ. პლენუმის დადგენილებაში და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებებში არაერთგზის აღნიშნულია, რომ იმ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქმის შედეგით, განსაკუთრებით კრიტიკულად შესწავლა ესაჭიროებათ.²

ამ პრაქტიკულად მეტად სასარგებლო და მნიშვნელოვან დებულებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მეორე მნიშვნელოვანი დებულება, რომლის მიხედვით დაინტერესებული მოწმის ჩვენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განაჩენს და საერთოდ ბრალდებას უკეთუ იგი დასტურდება სხვა ობიექტური

¹ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საბჭოთა პროცესუალისტი არასწორ თვალსაზრისზე დგას და დაზარალებულის ჩვენებას მოწმის ჩვენების წარსახვოდ მიიჩნევს: В. М. Савицкий и И. И. Потеружа, Потерпевший в советском уголовном процессе. Госкниздат, М., 1963, в. 169, Л. Д. Кокорев, Потерпевший от преступления в советском уголовном процессе, Воронеж, 1964, стр. 23.

² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 17 ივნისის დადგენილება ბოლშაკოვის საქმეზე. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1960, № 5, стр. 11; სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1962 წლის 27 იანვრის დადგენილება ასოიანის საქმეზე. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1962, № 2, стр. 35.

მასალებით.¹ ნიკორას ბრალდება ქრთამის აღებაში ემყარებოდა დაინტერესებული მოწმეების ჩვენებებს. დადგენილ იქნა, რომ ნიკორა კომუნალური ბანკის ინსპექტორად მუშაობისას კეთილსინდისიერად ეკიდებოდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას და ეწეოდა შეუზღუებელ ბრძოლას სახელმწიფო სახსრების მოტყუების გზით მიღების წინააღმდეგ. ამ ნიადაგზე ბანკის ზოგიერთ კლიენტებს აღეძრათ ნიკორას თავიდან მოცილების სურვილი. ერთ-ერთმა მათგანმა, დაინტერესებულმა მოწმემ პონომარენკომ აჩვენა, რომ მან ნიკორას ქრთამი მისცა 1948 წლის 8 აგვისტოს. სხვა დაინტერესებულ მოწმეთა ჩვენებების შეფასების შედეგად კოლეგიამ საქმე წარმოებით მოსპო.²

უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკიდან მოტანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ დაინტერესებულ მოწმეთა ჩვენებების ხელაღებით ნდობა საფრთხილოა და იმისათვის, რომ გარანტირებულ იქნას ჭეშმარიტების დადგენა მოცემულ საქმეზე, დაინტერესებული მოწმის ჩვენება დადასტურებას უნდა პოულობდეს საქმის სხვა ფაქტიური მონაცემებით.

უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა კიდევ უფრო საგულისხმო დებულებას იძლევა დაინტერესებულ მოწმის შეფასების საკითხზე: მოწმეთა ჩვენებები არ შეიძლება უკუგდებული იქნან მხოლოდ იმის გამო, რომ მოწმეები იმყოფებიან ნათესაურ კავშირში მსჯავრდებულთან.³ მოწმის ნათესაური ან მტრული დამოკიდებულება ბრალდებულთან ან დაზარალებულთან ყოველთვის არ წარმოადგენს არაობიექტური ჩვენების მიცემის მიზეზს. ხშირად ხდება, რომ მოწმე ივიწყებს ამ პირადული ხასიათის მოტივებს და სრული მოქალაქეობრივი შეგნებით სასამართლოს ან წინასწარ გამოძიებას აძლევს ობიექტურ ჩვენებებს. საფუძველს ასეთი დაინტერესებული მოწმის ჩვენებისადმი უნდობლობისათვის უნდა წარმოადგენდეს ან ჩვენების ხასიათი ანდა შეუსაბამობა საქმის სხვა ფაქტიურ მასალებთან.

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1949 წლის 30 აპრილის დადგენილება გლიზაროვის საქმეზე. „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1949, № 8, стр. 26.

² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1951 წლის 28 აპრილის განჩინება ნიკორას საქმეზე. „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1951, № 7, стр. 15.

³ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1951 წლის 10 თქტომბრის განჩინება სტეპანოვის და კალიშევის საქმეზე. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1952, № 2, стр. 25.

გაჩივების და აღიზისგაცხივი აქვის გათიღობის საკითხები

ა. სოლოვა

გაჩივების ბათილობის რეჟიმი, ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ქონების უსაფუძვლო შეძენისა ან შენახვისაგან წარმოშობილ ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობა, სახელმეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა, სავინდიკაციო და პეტიტორული სარჩელებით საკუთრების დაცვა, წარმოადგენენ სამოქალაქო სამართლებრივ სანქციებს. ეს სანქციები სამართალდამრღვევ პირის წინააღმდეგ არის მიმართული და დაზარალებულის ქონებრივი მინუსის აღდგენის ან ასეთის დადგომის საშუალებების აცილების საქმეს ემსახურება. ამდენად ზემო ჩამოთვლილი სანქციები პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისა ანუ რესტიტუციისათვის არის გათვალისწინებული.

მაგრამ რესტიტუცია არ ხორციელდება ყოველთვის ერთგვარი მოცულობით. მაგალითად, რესტიტუციის ერთი სახეა, სხვის უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვნა ანუ წმინდა საწივით სამართლებრივი სარჩელით მესაკუთრისათვის ქონების (ნივთის) დაბრუნება. ასეთი სარჩელის საფუძველზე მესაკუთრე არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან მიიღებს თავის ნივთს და შემოსავალს მფლობელობის მთელი პერიოდისათვის, კეთილსინდისიერი მფლობელიდან კი მიიღებს ქონებას და შემოსავალს იმ პერიოდისათვის, როდესაც მფლობელმა გაიგო ან უნდა გაეგო მისი მფლობელობის არამართლზომიერება ან როდესაც მიიღო შეტყობინება მის მიმართ სარჩელის აღძვრის შესახებ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 141-ე მუხლი).

მაგრამ, თუ გამოსათხოვი ნივთი დაზიანებულია, შეუძლია თუ არა მესაკუთრეს მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება ანუ ფასთა სხვაობა გაანგარიშებული ნივთის მფლობელზე გადაცემის და დაბრუნების მომენტის მიხედვით? ამის შესაძლებლობა გამორიცხულია, ვინაიდან სავინდიკაციო სარჩელის მოცულობაში არ შედის ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა. იგი მიმართულია მხოლოდ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის დაბრუნებისაკენ.

ზარალის ანაზღაურება გულისხმობს როგორც ინდივიდუალური ისე გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ქონების დაბრუნებას და ყოველგვარი ზარალის ანაზღაურებას ნაცდური გამორჩენის ჩათვლით (213, 470 მუხლები).

ქონების უსაფუძვლოდ შეძენა ან უსაფუძვლო შენახვისაგან დანაზოგის მიღება, რასაც სიმოკლისათვის უსაფუძვლო გამდიდრებას ვუწოდებთ, შემდეგში, უსაფუძვლოდ გამდიდრებულს აკისრებს ვალდებულებას დაუბრუნოს დაზარალებულს ფულადგამოსახულებაში ან ნატურით ის, რაც მან მიიღო მაძიებლის ქონებრივი მინუსის ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში, ქონების შემძენი პირი პასიური პიროვნებაა. მას თვით არაფერი ჩაუდენია იმისათვის, რომ სხვის ხარჯზე გამდიდრებულიყო. მაგალითად, თანამემკვიდრე, რომლის ქონება გაუმჯობესდა მეორე თანამემკვიდრის ხარჯით ვალდებულია დაუბრუნოს უკანასკნელს ქონების გაუმჯობესების ხარჯი თუმცა მას არაფერი ჩაუდენია მის წინააღმდეგ. მხარეთა შორის ასეთი სახის ვალდებულებითი ურთიერთობა წარმოიშობა მარტო-ოდენ მაშინ, როდესაც ისინი არ არიან სახელმეკრულებო ურთიერთობაში ან

როდესაც არც ერთ მათგანს არ აქვს ჩადენილი დელიქტი მეორე მხარის წინააღმდეგ.

ასეთი სარჩელი სუბსიდიარული ხასიათისაა, ე. ი. შეიძლება წარდგენილი იქნას მაშინ, როდესაც არ არსებობს შესაძლებლობა სხვა სახის სარჩელის წარდგენის გზით დაკმაყოფილების მიღებისათვის. ამის გამო უსაფუძვლო გამდიდრებას პირობითად თუ ვუწოდებთ სამართალდარღვევას.

დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს იმ პირისაგან ვინც მის ხარჯზე გამდიდრდა მხოლოდ თავისი ქონების მიწუსი, გამომანგარიშებელი რეალური ხარჯების კვალობაზე.

ამ მხრივ ასეთი მოთხოვნა არსებითად განსხვავდება ზარალის ანაზღაურების მოთხოვნისაგან, რომელშიაც შედის ყოველგვარი სახის ზარალი, მათ შორის ნაცდური გამორჩენაც, ე. ი. მოსალოდნელი სამეურნეო-კომერციული გამორჩენა.

გარიგების ბათილობის დამახასიათებელია უკუქცევითი ძალის მხარეთა მიერ ურთიერთ მიგებების (предоставлений) გაქარწყლება¹.

გარიგების ბათილობის რეტროაქტიულობა ხშირად ისეთივე ეფექტს იძლევა, როგორც მსჯავრმოსხდილი პირის რეაბილიტაცია, რომელიც იურიდიული პრეზუმპციის თანახმად თითქოს პასუხისმგებლობაში არ ყოფილა მიცემული მიუხედავად პატიმრობის პერიოდში გადატანილი მრავალი განცდისა და უბედურებისა. ვარაუდი, გარიგება თითქოს არ დადებულა, აწყდება მრავალ წინააღმდეგობას. ამის გამო გარიგების ბათილობის რეჟიმიდან ახდენენ მრავალ გამონაკლისს.

გარიგების ბათილობის რეჟიმი შეიძლება გაგებული იქნას სავინდიკაციო სარჩელთან დაპირისპირების პირობებში. როგორც ცნობილია ასეთი სარჩელი შეიძლება წარედგინოს ყველა პირს, ნივთის რომელი შემძენიც არ უნდა იყოს იგი, პირველი, მეორე თუ შემდეგი რაგის, თუ ამასთანავე ნივთი წაერთვა, დაეკარგა ან გავიდა მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნების გარეშე. (მუხლი 148). ფორმულა, რომლის მიხედვით ვინდიკაციას ექვემდებარება მესაკუთრის ნების გარეშე გასული ნივთი, არ არის სრულყოფილი. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში განმტკიცებული შესხედულების მიხედვით, მესაკუთრის ნების გარეშე ნივთის გასვლას ადგილი არა აქვს იმ შემთხვევაში თუ ნივთი გასხვისებულია იმ პირის მიერ, რომელიც მას ფლობდა მესაკუთრესთან დადებული იჯარის, მიბარების, გირავნობის ხელშეკრულებით. ნივთის წართმევის და დაკარგვის გვერდით, ვინდიკაციის საფუძვლად, მესაკუთრის ნების გარეშე, ნივთის გასვლის აღიარება, ნორმაში ალბათ მოცემულია იმისათვის, რომ ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ მესაკუთრის ნების გარეშე ნივთის გასვლა უნდა მოხდეს ანალოგიურად იმისა, როგორც ეს ხდება ნივთის დაკარგვის ან წართმევის დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წინადადება „მესაკუთრის ნების გარეშე“ შთანთქმავდა ვინდიკაციის სხვა სახეებს, როგორიცაა ნივთის დაკარგვა ან წართმევა და მათი დასახელება საჭირო არ იქნებოდა.

მაგრამ იბადება კითხვა, როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთი

¹ ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში არ არის რუსული предоставление-ს ადეკვატური ტერმინი. ამ ტერმინის სინონიმად ხმარობდნენ შესრულებულს. მაგრამ предоставление ე. ი. ის რაც მხარეს ევალება მეორეს სასარგებლოდ შეიძლება არ იყოს შესრულებული ან იყოს ნაწილობრივ შესრულებული. იგი აგრეთვე არ ემთხვევა ვალდებულებას, რომელიც არ გულისხმობს ნივთობრივ სუბსტანციას, მიგებება ჩვენის ფიქრით უკეთ გამოხატავს ამ მოვლენის შინაარსს. (იხ. ნ. ჩუბინიშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 280).



გასხვისებულია წარმომადგენლის მიერ უფლებამოსილების გადაჭარბებით? ასეთი გარიგების ბათილობა ხომ ეჭვს არ იწვევს? (მუხლი 62). ამ გამონაკლის ბზარი შეაქვს ამჟამად მიღებულ ვინდიკაციის სისტემაში.

ამგვარად, ეგრეთ წოდებული მოძრავი ქონების მიმართ ჩვენ შემდეგი ალტერნატიული გადაწყვეტილება შეიძლება მივიღოთ: წარმომადგენლობის გადაჭარბებით ნივთის გასხვისება ყოველთვის ბათილია ან ნივთის გადაცემა სპობს წარმომადგენლობის მანკიერებას და ნივთი მესამე პირს რჩება. წარმომადგენლობის შესახებ ნორმები ამჟამად შეტანილია სამოქ. სამ. კოდექსის ზოგად ნაწილში და ისეთი კერძო ინსტიტუტები, როგორცაა იჯარა, კომისია, მინდობილობა, მიბარება წარმოადგენენ წარმომადგენლობის ნაირსახეობას ან გულისხმობენ მას.

იგივე საკითხი უფრო რთულია შენობების მიმართ. შენობის დაკარგვა ან წართმევა შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ შენობის გადაფორმება სხვა პირზე მესაკუთრის ნების გარეშე. მაგალითად, შენობის გასხვისება წარმომადგენლის, ან საერთო საკუთრების მონაწილე პირის მიერ, ან შენობის კონფისკაცია, ან მისი დატოვება ზარალის ანაზღაურების ანგარიშში ან სხვა მხრივ რეგისტრირება შენობისა არა უფლებამოსილი პირის სახელზე. თუ სხვა სახის ქონებაზე გადაცემა საკუთრების ტიტულს წარმოშობს ვიდრე საწინააღმდეგო არ იქნება დამტკიცებული, შენობაზე საკუთრების შექმნისათვის საჭიროა აგრეთვე რეგისტრაცია კომუნალურ ორგანოში შექმნის სახელზე.

მესაკუთრის ნებასა და შენობაზე რეგისტრაციის ფაქტის თანაფარდობაში უნდა გავარჩიოთ ორი მხარე: პირველი, როდესაც შენობა რეგისტრირებულია სხვა პირზე და ეს გარემოება ცნობილია მესაკუთრისათვის, მეორე — როდესაც იგივე ფაქტი არ არის ცნობილი მესაკუთრისათვის, ითვლება თუ არა შენობის გასხვისება მართლზომიერ აქტად მარტოდენ იმის გამო რომ შენობა აღრიცხულია გამსხვისებლის სახელზე. ამაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ.¹

შენობის რეგისტრაცია წარმოებს მხოლოდ უფლების დამდგენი დოკუმენტების მიხედვით. გამონაკლის შემთხვევაში შენობა ფაქტიურ მფლობელზე აღრიცხება არაპირდაპირი დოკუმენტების და აღმასკომის სათანადო გადაწყვეტილების საფუძველზე². იმ პირისაგან, რომლის სახელზე შენობა აღრიცხულია უფლების დამდგენი დოკუმენტების გარეშე, შენობის გამოთხოვნა ყოველთვის შეიძლება, ვინაიდან შენობის რეგისტრაციას არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. რეგისტრაცია არ წარმოადგენს საკუთრების დამოუკიდებელ ტიტულს, როგორც ეს გერმანიის სამოქალაქო სამართლის დებულებითაა დადგენილი, სადაც ხელშეკრულების ბათილობა არ იწვევს უძრავი ქონებაზე საკუთრების ავტომატურად გაქარწყლებას, თუ არ დამტკიცდება უძრავი ქონების საადგილმამულო დავთარში ჩანაწერის მანკიერება. ჩვენი კანონმდებლობით შენობის რეგისტრაცია ფუნქციონალურ კავშირშია საკუთრების უფლებასთან. ვისაც არა აქვს უფლება შენობაზე იგი ვერ შეიძენს მას მარტოდენ რეგისტრაციის ფაქტით.

¹ საქართველოს სსრ სასოტარო დებულების 35 მუხლი, და „Советская юстиция“ № 22, გვ. 31.

² იხ. შენობების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქცია დამტკიცებული საქართველოს სსრ კომუნალური სამინისტროს მიერ 1964 წ. 30 ივლისს.

შენობის რეგისტრაცია მიეკუთვნება ადმინისტრაციული მმართველობის სფეროს. ამის გამო არასწორად მოხდენილი ჩანაწერი ვერ შექმნის უფლებრივ მდგომარეობას. იგი არარაა თავიდანვე. მაგრამ, ხომ არ უქმდება ამით სარჩელის ხანდაზმულობა შენობების მიმართ? პარადოქსი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სასარჩელო ხანდაზმულობას არა აქვს კავშირი ამ საკითხთან არა მარტო იმის გამო, რომ ამ უფლებრივი სისტემის მიხედვით, რომელიც არ იცნობს საკუთრების შექმნას კეთილსინდისიერი მფლობელობის საფუძველზე, შეუძლებელია გამაქარწყლებელი ხანდაზმულობის არსებობა შენობების მიმართ.

ამყამად მიღებული ფორმულა — სარჩელის ხანდაზმულობა შენობებზე იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მესაკუთრისათვის ცნობილი გახდა მისი უფლების დარღვევა ან ფორმულა, რომლის ძალით ხანდაზმულობის დენა იწყება უფლების დარღვევის მომენტიდან ობიექტური მნიშვნელობით ვერ პასუხობს ყველა კითხვებს ამ სფეროში და უფლების დარღვევის მომენტს ხელოვნურად უკავშირებს ხანდაზმულობის იდეას¹. საქმე იმაშია, რომ უფლების დარღვევა ცნობილი უნდა გახდეს მესაკუთრისათვის რეგისტრაციის ორგანოს საშუალებით.

ჩვენში ტექნიკენტარიზაციის ბიუროები აღმასკომის ისეთივე განყოფილებებია, როგორც სხვა განყოფილება. აქ ჩანაწერის გაკეთება ხდება სამსახურებრივი საჭიროებისათვის სამოქალაქო სამართლის თეორიის მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლად².

მესაკუთრე არ არის უზრუნველყოფილი იმით, რომ მისთვის მისაწვდომი გახდეს ცნობა უფლების დარღვევის შესახებ. მაგრამ ერთ შემთხვევაში მესაკუთრის ნებას გადაწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მესაკუთრისათვის რაიმე გარემოების გამო ცნობილი გახდა მისი საკუთრების უფლების დარღვევა და იგი განურჩევლობას იჩენს ასეთი ხელყოფისადმი. ასეთ ვითარებაში მფლობელი, მესაკუთრე ხდება არა იმის გამო, რომ მის მიმართ გაშვებულია ხანდაზმულობის ვადა, არამედ იმის გამო, რომ მესაკუთრემ დუმილით უპასუხა უფლების დარღვევას სასარჩელო ვადის განმავლობაში, რომელიც მხოლოდ პირობითი და მოხერხებული ვადაა დუმილის გარკვეული დროთი გამოცდისათვის. მაგრამ თუ დამტკიცდება, რომ ამ ვადის პერიოდშიც მესაკუთრე თუმცა არასათანადოდ, მაგრამ მაინც არ ურიგდებოდა უფლების დარღვევას — მან არ უნდა დაკარგოს უფლება შენობაზე.

შეიძლება შეიქნას ისეთი შთაბეჭდილება თითქოს მოყვანილი შეხედულება ხანდაზმულობის თეორიის გამოყენების შედეგად მიღწეული შედეგის ანალოგიურია. ორივე თვალსაზრისით, მფლობელი საკუთრების უფლებას

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა 1954 წ. № 2, გვ. 38 .იხ. ამის საწინააღმდეგო პრაქტიკა პ. ნიკიტუკის სტატიაში საბჭოთა იუსტიცია 1962 წ. № 15-16 გვ. 42. ამ უკანასკნელის მიხედვით სარჩელის ხანდაზმულობის დენა იწყება ობიექტურად უფლების დარღვევის მომენტიდან.

² იხ. ა. ხოჭოლავა, საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლების საზღვრები, საბჭოთა სამართალი, 1963 წ. № 4, გვ. 45.

ამ სტატიაში სხვა საკითხთა შორის დასმული იყო საკითხი ინვენტარიზაციის ბიუროების რეორგანიზაციის შესახებ. სტატიაში მოყვანილი მოსაზრება თვითნებურად აგებული შენობების რეგისტრაციის შესახებ შენობების აგების წლების მიხედვით გაზიარებულ იქნა საქართველოს სსრ სამინისტროს მიერ. იხ. 1964 წ. 30 ივლისის დამტკიცებული ინსტრუქცია.

იქნეს შენობაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. მაგრამ განსხვავება მათ შორის მეტად თვალსაჩინოა.

ამჟამად გაბატონებული ხანდაზმულობის თეორია, გარდა იმისა, რომ ვერ პასუხობს კითხვაზე თუ რომელ გარემოებასთან უნდა იქნეს დაკავშირებული ხანდაზმულობის დენა, აგრეთვე ვერ ასაბუთებს არაუფლებამოსილი პირის მიერ საკუთრების შეძენის საფუძველს, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩანაწერის ფუნქციონალურ დამოკიდებულებას შენობაზე ნამდვილი უფლებისაგან და შეძენით ხანდაზმულობის უარყოფას ჩვენი კანონმდებლობით.


ეს თეორია სავსებით დამაკმაყოფილებელია სხვა სახის ქონების მიმართ. ასეთ ქონებაზე საკუთრების საფუძველი გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, რომელსაც უდავო ხასიათი ეძლევა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

შენობების მიმართ კი ხანდაზმულობის თეორია უხეშად წყვეტს პრობლემას, შედეგის სათანადოდ დაუსაბუთებლად. იმისათვის, რომ დასაბუთებულა იქნეს არაუფლებამოსილი პირის მიერ შენობაზე საკუთრების შეძენის შესაძლებლობა, საჭიროა ფაქიზი და ზუსტი იურიდიული კონსტრუქციის დამუშავება იმ წინააღმდეგობების დასაძლევად, რასაც თავს გვახვევს ხანდაზმულობის თეორია. მართლაც, რა განსხვავებაა ჩვეულებრივი გარაგების დადების წინადადებასა და არაუფლებამოსილი პირის მიერ შენობის მიჩემებას შორის, რომელსაც მესაკუთრემ დუმილის სახით გამოხატული თანხმობით უპასუხა სასარჩელო ხანდაზმულობის პერიოდში? არავითარი. და თუ არაუფლებამოსილი პირის მოქმედებამ მესაკუთრის რეაქცია გამოიწვია, იგი არასოდეს არ კარგავს უფლებას შენობაზე, რადგან საკუთრება დაფუძნებულია კანონიერ უფლებამონაცვლობაზე და არა შენობის რეგისტრაციის ფაქტზე, რომელიც უფლების ერთი აუცილებელი ინგრედიენტია, მაგრამ არა მისი გამაპირობებელი გარემოება.

რაკი ქონების გამოთხოვნის საშუალებები სხვადასხვაგვარია, გარკვეული უნდა იქნეს თუ რა პირობებში და ვის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ეს საშუალებები.

საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ თითქოს ზემოდსახელებულ საშუალებათა შორის განსხვავება მხოლოდ მოთხოვნათა მოცულობაშია. სინამდვილეში მათი წარდგენისათვის საჭიროა სხვადასხვა პირობები, რომელთა განსაზღვრა ხშირად მეტად ძნელია გამოცდილი სპეციალისტისათვისაც კი. უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე სარჩელის სუბსიდიარულობის შესახებ ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. ნაკლებ რთულია სახელმწიკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნისათვის საჭირო პირობების გარკვევა.

დიდ სირთულეს შეიცავს ზიანის მიყენებით, გარაგების ბათილობის საბაბით, სარჩელებისა და წმინდა სავინდიკაციო სარჩელის წარდგენის პირობების განსაზღვრა. სანიეთო-სამართლებრივი სავინდიკაციო სარჩელის წარდგენა შეიძლება კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მფლობელის მიმართ, რომელი რიგის შემძენიც არ უნდა იყოს იგი. შეიძლება თუ არა ასეთივე სარჩელის წარდგენა გარაგების ბათილობის საბაბით მესამე პირის მიმართ? ამ კითხვასთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოება: ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსში ბათილობის პირობების განსაზღვრასთან ერთად მოცემულია რესტიტუციის მოცულობაც, რომელიც არ ემთხ-



ვევა იმ მოცულობას, რომელიც თან სდევს წმინდა¹ სავინდიკაციო სარჩელს დაკმაყოფილებას. თუ ბათილობის რეჟიმს გავავრცელებთ მესამე პირზე და მისგან გამოვითხოვთ ქონებას, დაზარალებული დაკმაყოფილებულ უნდა იქნას იმ მოცულობით, როგორც ეს გათვალისწინებულია სპეციალურ ნორმაში. მაგალითად, თუ დავუშვებთ, რომ არასრულწლოვანის მიერ დადებული ხელშეკრულება ბათილია მესამე პირის მიმართაც, მაშინ მესამე პირმა უნდა დაუბრუნოს დაზარალებულს ის, რაც მან გარიგებით შეიძინა.

მაგრამ ვინ უნდა აუნაზღაუროს დაზარალებულს ქონების დაკარგვასთან ან ქონების დაზიანებასთან დაკავშირებული ზარალი, რომელზედაც პასუხისმგებელია არასრულწლოვანთან გარიგების დამდები პირი თუ მან იცოდა, რომ გარიგებას იგი სდებდა არასრულწლოვანთან (მ. 51).

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პასუხისმგებლობას ვერ დავაკისრებთ მესამე პირს, ვინაიდან მას ხელშეკრულება არ დაუდვია არასრულწლოვანთან. მაშასადამე 51-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული სანქცია უნდა დაეკისროს ქონების შემძენს, ხოლო ნივთის დაბრუნება კი მესამე პირს. ეს უკვე აორბებს მოთხოვნას და რიგ უზერხულობას ქმნის. მაგრამ, მესამე პირი სავინდიკაციო სარჩელის პირისპირ პასუხისმგებელია აგრეთვე ყოველგვარი შემოსავლისათვის (მ. 151), ხოლო გარიგების ბათილობის საბაბით დაზარალებული ვერ მოითხოვს შემოსავალს მესამე პირისაგან. დაზარალებული იძულებული ხდება გარიგებას ბათილობიდან გამომდინარე სარჩელი შეცვალოს წმინდა სავინდიკაციო სარჩელით. მაგრამ ამას შეიძლება გადაეღობოს შემდეგი დაბრკოლება: გამოსათხოვი ქონება შეიძლება არ იყოს განსაზღვრული ინდივიდუალური ნიშნით ან ქონება გადასული იქნეს მესამე პირზე საზღაურით. ასეთ შემთხვევებში სავინდიკაციო სარჩელით ქონების გამოთხოვნა შეუძლებელია (მ. 151). გამოთხოვნის სუბიექტებშიაც შეიძლება იყოს განსხვავება. ამ საკითხთან დაკავშირებით მოკლედ უნდა განვიხილოთ გარიგების აბსოლუტური და შეფარდებითი ბათილობა ორგვარი მნიშვნელობით: ა) აბსოლუტურ ბათილ გარიგებად ითვლება გარიგება, რომლის ბათილობის მოთხოვნა შეუძლია ყველა პირს; ბ) მეორე მნიშვნელობით აბსოლუტურად ბათილია გარიგება, როდესაც ბათილობა ვრცელდება მესამე პირების მიმართაც; გ) შეფარდებით ბათილ გარიგებად ითვლება ისეთი გარიგება, რომლის შეცილება შეუძლიათ მოითხოვონ დაინტერესებულ პირებმა; დ) მეორე მნიშვნელობით შეფარდებით ბათილ გარიგებად ითვლება გარიგება, რომელიც ბათილია გარიგების მონაწილე პირებისათვის, მაგრამ ეს ბათილობა არ ვრცელდება მესამე პირზე. (ბათილ გარიგებამ შეიძლება მოსპოს მხარეთა შორის სანივთო-სამართლებრივი ურთიერთობა, მაგრამ ძალაში დატოვოს ვალდებულებები). წინასწარ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენი კანონმდებლობა იცნობს გარიგების ბათილობის სახეებს, გარდა აბსოლუტური ბათილობისა მეორე მნიშვნელობით.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში, 15 წლამდე მიუღწეველი პირის მიერ

¹ სიტყვა წმინდა სავინდიკაციო სარჩელს ჩვენ სიმოკლისათვის ვხმარობთ სანივთო-სამართლებრივ სავინდიკაციო სარჩელის სინონიმად.

დადებული გარიგების ბათილობა შეუძლია მოათხოვოს ყოველმა პირმა ეს პირდაპირ გამომდინარეობს 51-ე მუხლის 52-ე მუხლთან შედარებიდან.¹

ამ მნიშვნელობით აბსოლუტურ ბათილობას ექვემდებარება არაქმედუნარიანი პირის მიერ დადებული გარიგება.

შედარებით ბათილი გარიგების დროსაც, მოთხოვნის სუბიექტები საკმარისად მრავალია, ხშირად ეს წრე არ ამოიწურება მართლოდენ დაზარალებულების ან დაინტერესებული პირებით.

სულ სხვაგვარად განისაზღვრება სავინდიკაციო მოთხოვნას სუბიექტი. აქ მოთხოვნა არ გამომდინარეობს აქტის ბათილობიდან, რომელიც ყველა პირობებში არარაა. მიუხედავად ამისა, ასეთი გარიგებიდან რესტიტუციის მოთხოვნა არ შეიძლება წარდგენილ იქნას მესამე პირის მიმართ. მესამე პირმა ქონება შეიძინა ვალდებულების აქტით მოძრავ ქონებაზე ან შენობის თავის სახელზე რეგისტრაციის გზით, რაზედაც მესაკუთრემ დუმით უპასუხა.

სავინდიკაციო სარჩელის წარდგენისას შეიძლება აგრეთვე დადგეს საკითხი ამა თუ იმ აქტის ბათილობის შესახებ, მაგრამ სარჩელის საფუძველს ბათილობა არ წარმოადგენს. ამის გამო სავინდიკაციო მოთხოვნის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ მესაკუთრე ან მესაკუთრის რწმუნებით ქონების მფლობელი.

ამ მიმოხილვიდან, რომლის განგრძობა ცალკეულ გარიგებების ბათილობის მაგალითზე უფრო ვრცლად შეიძლება, ჩანს, რომ ბათილობის საბაზით რესტიტუციის მოთხოვნა არ შეიძლება წარდგენილი იქნეს მესამე პირების მიმართ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 148-ე და 151-ე მუხლების შედარებიდან აშკარა ხდება აგრეთვე ის გარემოება, რომ წმინდა სავინდიკაციო სარჩელის წარდგენა შეიძლება მხოლოდ მესამე პირის და არა უშუალო შემძენის მიმართ.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც გვსურს უშუალო შემძენის პასუხისმგებლობა სავინდიკაციო მოთხოვნით ან მესამე პირის პასუხისმგებლობა ბათილობის საბაზით? ამაზე ახალი კოდექსი არ პასუხობს და ამ მხრივ შედარებით უარესი პოზიცია აქვს არჩეული ვიდრე 1922 წლის კოდექსს, რომელიც გულისხმობდა როგორც ქონების პირველი შემძენის პასუხისმგებლობას სავინდიკაციო სარჩელით (მ. 59). ასევე მესამე პირის პასუხისმგებლობას (მ. 60). ამავე დროს 1922 წლის კოდექსს გარიგების ბათილობა დაცილებული ჰქონდა რესტიტუციისაგან.

განსაკუთრებით ენერგიულ დაცვას ანიჭებს დაზარალებულს ზიანით მიყენებული ვნების ანაზღაურება, მაგრამ მის პრაქტიკულ გამოყენებას ართულებს ის გარემოება, რომ სარჩელი ზარალის ანაზღაურების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნას მხოლოდ ბრალეული მხარის წინააღმდეგ. თუმცა ორ შემთხვევაში ბრალეულობა როგორც წინაპირობა სარჩელის წარდგენისათვის არ არის აუცილებელი. პირველი შემთხვევა ეხება მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებულ ვნებას, ხოლო მეორე თანამდებობის პირის მოქმედებით ვნე-

¹ გარიგება არარსებულ ნივთზე აბსოლუტურად ბათილია ყველა პირის მიმართ. მაგრამ ჩვენი კოდექსი ბათილობას იხილავს იმ სტადიიდან, როდესაც გარიგება მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებულია. ამის გამო არარსებულ ნივთზე გარიგების დადების შემთხვევა არ არყვეს ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აბსოლუტურად ბათილ გარიგებას მესამე პირების მიმართ ჩვენი კოდექსი არ იცნობს.

ბის მიყენებას მოქალაქისათვის, ადმინისტრაციული მმართველობის სფეროში, რასაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ, როდესაც შევეხებით ადმინისტრაციული აქტის და ადმინისტრაციული მოქმედების ბათილობის საკითხს. ზიანის მიყენებით ზარალის ანაზღაურება უახლოვდება სახელშეკრულებო დარღვევიდან გამომდინარე პასუხისმგებლობას. ორივე შემთხვევაში საჭიროა სამართალდამრღვევი პარის ბრალეულობა.

განსხვავება იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში სარჩელის წარმდგენმა უნდა ამტკიცოს მეორე მხარის ბრალი, მეორე შემთხვევაში ვალდებულების დამრღვევმა თავისი არაბრალეულობა¹.

გარიგების ბათილობა ზიანის მიყენებით წარმოშობილ პასუხისმგებლობისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს საკონფესკაციო სანქციებს ე. ი. სახელმწიფოს შემოსავალში მხარეების გარკვეული მიგებების ჩარიცხვას. ამ მხრავ ახალი კოდექსი სიახლეს შეიცავს, რომლის გაგებას გარეშე ჩვენ არ გვექნება სრული წარმოდგენა ბათილობის თეორიაზე მიღებული ახალი კანონმდებლობით. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სამოქ. სამ. კოდ. 48-ე მუხლი ბათილად თვლის კანონის მოთხოვნათა შესაბამის გარიგებას ბათილობის კონკრეტულ საფუძველზე მიუთითებლად. ასეთი ზოგადი ფორმულა შთანთქავს ბათილობის ყველა საბაბს, რომელიც ცალ-ცალკეა მიითითებული კოდექსში.

ამ მხრავ ეს ნორმა შესაძლებლობას აძლევს მოსამართლეს სუბიექტური მოქმედებისათვის, მაგრამ ეს ნორმა სწორედ ამის გამოა დასაფასებელი, რადგან კანონმდებლობა ვერ გაითვალისწინებს ბათილი გარიგებების ყველა შემადგენლობებს. გარიგების კანონის მოთხოვნასთან შეუსაბამობა იწვევს გარიგების ბათილობას არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება სპეციალურ კანონს, არამედ მაშინაც კი თუ გარიგება ფორმალურად კანონს პირდაპირ არ არღვევს, მაგრამ ეწინააღმდეგება მის აზრს და მიზანს. აქ ჩვენ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მეხუთე მუხლში მოყვანილი მსჯელობის მოდულირებულ სახესთან გვაქვს საქმე. როგორც ცნობილია აღნიშნული მუხლის ძალით, არ შეიძლება დაცულ იქნას ის უფლება, რომელიც ხორციელდება მისი დანიშნულების საწინააღმდეგოდ.

ამ დებულებას, როგორც შემდეგში დავინახავთ დიდი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული აქტის ბათილობის რეჟიმის გარკვევისათვის.

ანალოგიურად გარიგებისა, ადმინისტრაციული აქტიც ბათილად უხდა იქნას აღიარებული, თუ იგი სცილდება კანონის მოთხოვნას; არა აქვს გონიერი საფუძველი და კანონის შესაბამისი აზრი, თუნდაც იგი გამოცემული იყოს უფლებამოსილების ფარგლებში, ამ მხრავ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 48-ე მუხლი ეხება როგორც გარიგებას, ისე ადმინისტრაციულ აქტს.

დასახელებული ნორმის ამგვარად გაგება საშუალებას გვაძლევს გვაუქმოთ ფორმალურად სწორი, მაგრამ შინაარსით. მიუღებელი და ხშირად ცინიკური გარიგება. მაგალითად, მესაკუთრის მეორე დადებული გარიგება ქონების სხვა პირზე გაჩუქების შესახებ, მაშინ, როდესაც მას დაფარული არა აქვს ალიმენტის დავალიანება, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი მიუხედავად იმისა,

¹ თავისთავად ცხადია, რომ დასახელებულ ინსტიტუტებში სხვა მხრივაც არსებობს განსხვავება: მაგალითად, სახელშეკრულებო ურთიერთობაში პასუხისმგებლობის მოცულობა შეიძლება ნებისმიერად განისაზღვროს მხარეების მიერ (მ. 220). ზიანის მიყენებისას პასუხისმგებლობა განსაზღვრულია კანონით.

რომ თავისთავად ნაჩუქრობის ხელშეკრულება გასაკიცხ მოვლენას არ წარმოადგენს.

ასეთივე ზოგადი ხასიათისაა 49-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოსა და საზოგადოების წინააღმდეგ დადებული გარიგების ბათილობას. განსხვავებით წინათ მოქმედი კოდექსის 30-ე მუხლისა, რომელიც სახელმწიფოს საზიანო გარიგების დადების შემთხვევაში მხარეს აკისრებდა ბიუჯეტის სასარგებლოდ მიღებულ მიგებებას, ახალი კოდექსი მხარეს აკისრებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში თუ მას ჰქონდა ასეთი გარიგების დადების განზრახვა. ამ მხრივ ახალი კანონმდებლობა ზღუდავს იმ პირთა წრეს, ვინც პასუხი უნდა აგოს, ვინაიდან არა ყველა შემთხვევაში იღება ასეთი გარიგება განზრახ.

მაგრამ ამასთანავე ახალმა კანონმდებლობამ გააძლიერა პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინააღმდეგ დადებული გარიგებებისათვის.

თუ წინათ კანონსაწინააღმდეგო გარიგების დამდებ პირს ჩამოერთმეოდა სახელმწიფოს სასარგებლოდ გარიგებიდან მიღებული, ამჟამად სახელმწიფოს და საზოგადოების წინააღმდეგ განზრახ გარიგების დამდებ პირს ეკისრება მიღებულის და მისაღები მისაგებებელის სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდა (მ. 49).

ამ ნორმის ზოგიერთი შეუსაბამობა შესანიშნავად დაგვანახა ვ. კ. რაიხერმა¹.

სახელმწიფოს წინააღმდეგ განზრახ დადებული ყველა გარიგებათა შემადგენლობების დასახლება თითქმის შეუძლებელია. მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში მაინც გვხვდება ასეთ გარიგებათა ტიპური შემთხვევები, ასეთებია:

- 1) ნასყიდობის ხელშეკრულებაში სახლის ღირებულების შემცირება სახბაჟის ნაკლებ ოდენობით გადახდის მიზნით;
- 2) ბინების გაცვლა თანხის დამატებით;
- 3) მესაკუთრის მიერ ბინის გადაცემა „საგამცლელოს“ მიღების პირობით;
- 4) იზოლირებული ოთახის გადაცემა სხვა პირზე ანგარებით (საფუძვლების 59-ე მუხლი).

5) მოქალაქეებზე ისეთი სამუშაოების დავალება რაც შესრულებული უხდა იქნეს სოციალისტური ორგანიზაციების მიერ.

6) შენობების გასხვისება, რომლის ქვეშ იმალება მიწის ყიდვა-გაყიდვან აკრძალული გარიგებები შენობების სარგებლობის ნაწილში (მაგ. ასაღებ შენობებში მაცხოვრებელ სულთა გაზრდა, გასხვისება, გაცვლა და სხვა).

ჩვენის აზრით, გარიგება ბინით სარგებლობის შესახებ საგამცლელოს გადახდის პირობით საფუძვლების მე-4 — მუხლის თანახმად კანონიერად უნდა ჩაითვალოს თუ იგი აკმაყოფილებს ხელშეკრულების დადებისათვის საჭირო სხვა პირობებს.

ამგვარად, ამ გარიგების გამოკლებით ყველა ზემოთ აღნიშნული გარიგებები წარმოადგენენ სამართალდარღვევას, რომლებიც ისეებიან სამოქალაქო სამართლებრივი წესით.

¹ В. К. Райхер, «Конфискационные последствия сделок, противных интересам Социалистического государства и общества», журнал Правоведение 1965 г. № 1, стр. 61—68.

თავისი ბუნებით აღნიშნული სამართალდარღვევები არ განსხვავდებიან სისხლის სამართლის დანაშაულისაგან. ის გარემოება, რომ აქ სასჯელი საკონფისკაციო სანქციის სახითაა მოცემული არაფერს არ ცვლის. ბოლოს და ბოლოს სასჯელის განცდა სუბიექტურია და შეიძლება პირმა უფრო მძიმედ განიცადოს საკონფისკაციო სანქცია ვიდრე ვთქვათ, ჯარიმა, იძულებითი მუშაობა, ზოგიერთ შემთხვევაში პატიმრობაც კი.

ამით ჩვენ არ გვინდა უარყოთ საკონფისკაციო სანქციების საჭიროება სამოქალაქო სამართლის კოდექსში. ჩვენ მხოლოდ იმ შეხედულებისა ვართ, რომ ასეთი სანქციები გათვალისწინებულ იქნეს სამოქალაქო სამართლის კოდექსის სპეციალურ ნაწილში.

მხედველობაში მისაღებია აგრეთვე შემდეგი გარემოება: იმ შემთხვევაში, როდესაც სანქციები უნდა გადახდეს სახელმწიფოს წინააღმდეგ გარიგების განზრახ დამდეგ პირს, რომელმაც უკვე მიიღო აღსრულება კეთილსინდისიერ მხარისაგან და თვითონაც ნაწილობრივ შეასრულა კარიგება, მოთხოვნის სუბიექტების სხვადასხვა პირები აღმოჩნდებიან: დაზარებულის მიმართ — მოთხოვნის სუბიექტი იქნება სახელმწიფო იმ ნაწილში, რომელიც მიღებული აქვს დაზარალებულს კანონსაწინააღმდეგო გარიგების განზრახ დამდეგ პირისაგან, ხოლო ამ უკანასკნელის მიმართ მოთხოვნის სუბიექტი იქნება დაზარალებული მასზე გადაცემული ქონების ნაწილში.

იმის გამო, რომ მოთხოვნები დასახელებულ პირებს ასეთ ვითარებაში წარედგინება ცალ-ცალკე და სხვადასხვა დროს, მოსალოდნელია დაზარალებულის მდგომარეობის გაუარესება. მას შეიძლება ჩამოერთვას სახელმწიფოს სასარგებლოდ ნაწილობრივი კომპენსაცია მიღებული სამართალდამრღვევი პირისაგან ისე, რომ მან არ მიიღოს ამ უკანასკნელისაგან სათანადო მიგებება.

სამოქალაქო სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სახელმწიფო პასუხისმგებლობას თანამდებობის პირის მიერ არასწორი მოქმედებით მიყენებულ ზიანისათვის (მ. 461).

ეს ნორმა მოქცეულია ზიანის მიყენებით წარმოშობილ ვალდებულებათა თავში, მაგრამ ფაქტიურად და იურიდიულად გულისხმობს ადმინისტრაციული აქტის ბათილობას. ყოვლად შეუძლებელია დაწესებულებისათვის ზარალის დაკისრება წინასწარ ვიდრე არ იქნება დადგენილი თანამდებობის პირის გამოცემულ აქტის ან მოქმედების უსწორობა, რაც იგივე ბათილობას ნიშნავს. ვინაიდან თანამდებობის პირის მოქმედება უქმდება უკუქცევითი ძალით. ეს უფრო თვალსაჩინო გახდება აღნიშნული ნორმის, წინათ მოქმედი კოდექსის 407-ე მუხლთან შედარებიდან. 407-ე მუხლი დაუშვებლად თვლიდა დაწესებულების პასუხისმგებლობას, ვიდრე თანამდებობის პირის მოქმედების უსწორობა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დამოუკიდებლად, არ იქნებოდა დადგენილი სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით.

ახალმა კოდექსმა გააუმჯობესა ეს ინსტიტუტი. ამჟამად, აქტის უსწორობა ასეთი აქტიდან გამოწვეულ ზიანის მოთხოვნასთან ერთად განიხილება სასარჩელო წესით.

ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული აქტის ან მოქმედების ზათილად გამოცხადება მხოლოდ ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ წარდგენილ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეიძლება, მიუთითებს იმაზე, რომ ეს ინსტიტუტი არაპირდაპირ და გაუბედავად არის შეტანილი კო-

დექსში¹. ადმინისტრაციულ სფეროში მიყენებული ზიანის ანაზღაურებასა და კანონის მოთხოვნათა შეუსაბამობის საბაზით გარიგების ბათილობას შორის სრული ანალოგია არსებობს: ორივე შემთხვევაში დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს გასაბათილებელი აქტის შეუსაბამობა კანონთან ან კანონის აზრთან, თუ ასეთი აქტი ტექნიკურ-იურიდიული მნიშვნელობით საყვედურს არ იმსახურებს.

საჭიროა თუ არა ადმინისტრაციული აქტის ან მოქმედების ბათილად აღიარებისათვის თანამდებობის პირის ბრალეულობის დამტკიცება. როგორც ეს მოითხოვება ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართალდარღვევი პირის მიმართ წარდგენის შემთხვევებში? ამაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ². ადმინისტრაციული აქტის კანონთან ან კანონის აზრთან შეუსაბამობა ობიექტური ნიშნებით განისაზღვრება ისევე როგორც გარიგების ბათილობის შემთხვევაში, რომელიც ზოგიერთ გამონაკლისის გარდა არ გულისხმობს სამართალდარღვევი პირის ბრალეულობას ან არაკეთილსინდისიერებას.

რაკი აქტის ბათილობისათვის, თანამდებობის პირის ბრალეულობის,

1 ჩვენ არ შეგვხვებოდა საკითხს იმის შესახებ თუ რა მოცულობით და როგორ განხორციელდება ადმინისტრაციული აქტის ბათილობა პრაქტიკაში. ჩვენთვის აქ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ასეთი შესაძლებლობა მოცემულია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაში. სამოქალაქო სამართლის კოდ. 7 მუხლი ითვალისწინებს, ბუღდვის ორგანოების მიერ გავრცელებულ პიროვნების ღირსების დამამცირებელ უსაფუძვლო ცნობების სასამართლო წესით უარყოფას. თუმცა საქართველოს სსრ-ში ასეთი სარჩელი ჯერ წარდგენილი არ ყოფილა. მაგრამ ასეთი სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა მაინც არსებობს. ნორმა, რომელიც აღიარებს ამა თუ იმ სუბიექტურ უფლებას, ფსიქოლოგიურად განაწყოებს მოქალაქეებს გამოიჩინონ ინიციატივა მინიჭებული უფლების დაცვისათვის.

2 ვ. აბესაძე ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობად სამართალდარღვევი პირის ბრალეულობას სთვლის (საბჭოთა სამართალი, 1965 წ. № 2, გვ. 29). ამის გამო მას უმართებულად მიაჩნია ჩემს მიერ 1957 წელს გამოთქმული აზრი ამ საკითხზე.

3. აბესაძეს შეხედულება მისაღებია თუ საკითხი დგას სამართალდარღვევი პირის დისციპლინარულ პასუხისმგებლობაზე ისეთი დარღვევებისათვის, რომელიც არ მოითხოვს ადმინისტრაციისაგან ეგრედ წოდებულ „პირდაპირ მოქმედებას“. (მაგალითად, ფსიქიური ავადმყოფის, მთვარის ოზოლაციის, უწყესრიგობის აღკვეთას, მოძრაობის წესების აღდგენას და სხვა). სხვა სახის დარღვევების დროს, სადაც „პირდაპირი მოქმედება“ საჭირო არაა, მართლაც სწორი იქნებოდა სამართალდარღვევი პირის ბრალეულობის გათვალისწინება. ეს კი მოითხოვს დისციპლინარული პასუხისმგებლობის და მოქალაქეთა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობის ინსტიტუტების რეორგანიზაციას, რომლებიც ზოგიერთი გამონაკლისის გარდა ობიექტურ შერაცხადობის პოზიციაზე დგანან. მაგრამ ადმინისტრაციულ რეჟიმის დარღვევის ყველა შემთხვევაში, განურჩევლად იმისა პასუხი უნდა აგოს პირმა თუ არა, ჩვენ საქმე გვაქვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან, რომელიც ობიექტურ ფაქტს წარმოადგენს.

ამით განირჩევა ადმინისტრაციული დარღვევა სისხლის სამართლის დანაშაულისაგან, რომელიც არ არსებობს თუ მანვე შედგენს გამომწვევი პირი ბრალეულად არ მოქმედებდა. ასევე, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, შეიძლება ხელშეკრულებით დაეკისროს პირს, ბრალის გარეშე და ხშირად სამართალდარღვევის გარეშეც. (მაგ. უსაფუძვლო გამდიდრება). სწორედ ეს განსხვავებები იყო აღნიშნული ჩვენს მიერ 1957 წ. (იხ. ა. ხოჭოლავა, მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა სასამართლოში). რას გვაძლევს ასეთი წარმოდგენა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე? იმას, რომ მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს ადმინისტრაციისაგან დარღვეული ინტერესის აღდგენა, მიუხედავად იმისა, ბრალეულად თუ უბრალოდ მოქმედებდა მისი უფლების დამარღვევი თანამდებობის პირი. თუ ამ კრიტერიუმს დავცილდებით, ისობა საფუძველი ადმინისტრაციული აქტების გასაჩივრებისა და გზა ეხსნება ადმინისტრაციის თვითნებობას. სწორედ ეს გარემოება გამოიჩინა მხედველობიდან წერილის ავტორს.

მტკიცება დაზარალებულს არ მოეთხოვება, მოსარჩელე არ არის ვალდებული მიუთითოს სასარჩელო განცხადებაში სამართალდამრღვევ თანამდებობის პირზე, თუ ამ უკანასკნელის მოქმედება გამოვლინებულია ადმინისტრაციულ ან საგეგმო აქტში, ან ისეთ ფიზიკურ მოქმედებასა და უმოქმედობაში, რომელთა არსებობის ფაქტი ეჭვს არ იწვევს და მიეწერება მხოლოდ გარკვეული დაწესებულების თანამდებობის პირს.

წერილობითი ფორმით გამოცემული აქტის სიზწორის თუ უსწორობის საკითხის განხილვა შედარებით ადვილია, ვინაიდან შესაძლებელია ამ აქტის შედარება კანონთან, დადგენილებასთან და მისი უახლოესი წყაროს გამორკვევა. მაგრამ ეს არ ითქმის საგეგმო აქტზე ანუ საგეგმო ციფრებზე, რომლებიც სახალიო მეურნეობის გეგმის განშტოებას წარმოადგენენ გარკვეულ სფეროებში და გარკვეულ საწარმოების მიმართ¹.

პროექტზე მოსახლეობის შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ.

ხასიათისაა 80—90 პროცენტამდე, მაშინ, როდესაც სხვა ხასიათის იურიდიული აქტები (თუ არ ჩავთვლით მუშაკების მიღება-დათხოვნის ბრძანებებს) შეადგენს, მხოლოდ 10—20 პროცენტს. სახეზეა ისეთი ტენდენცია, როდესაც ციფრებში გამოხატული აქტები საბოლოოდ შეცვლიან სხვა სახის აქტებს. მაგალითად, მოქალაქისაგან შენობის ჩამორთმევა უნდა ხდებოდეს წინადადებებში, მოცემული აქტის საშუალებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სახლის ოდენობა, მესაკუთრის ოჯახის სულადობა, მიწის ნაკვეთის ფართობი, სახლის ღირებულება რომელი და რა დროს დამტკიცებული გეგმის მიხედვით ხდება სახლის ჩამორთმევა². ასეთი აქტის გამოცემისათვის საჭიროა საფუძვლის მოყვანა, ფაქტებზე მითითება, ეს კი შესაძლებელია საკითხის ყოველმხრივი შესწავლის, განსაკუთრებით უფლებრივი თვალსაზრისით და განაშენიანების პროექტზე მოსახლეობის შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ.

ასეთ ვითარებაში ნაკლებ სავარაუდოა ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა. ამჟამად კი მესაკუთრისაგან სახლის ჩამორთმევა წარმოებს მენაშენეზე მისი მიწის ნაკვეთის გამოყოფის საშუალებით, ასეთი ღონისძიების აუცილებლობისათვის საჭირო საფუძველზე მითითების გარეშე.

ეს ჩვეულებრივი საგეგმო აქტია, რომლის დამუშავების დროს დასახულ ღონისძიების სარგებლობას და მიზანშეწონილებას დომინირებული მნიშვნელობა ეძლევა. საგეგმო აქტის დამუშავების დროს, სამართლებრივი შეფასება ხშირად უმნიშვნელო და მეორე ხარისხოვანი მსჯელობის შთაბეჭდილებას სტოვებს, განსახორციელებელი ღონისძიებებისა ან შესაქმნელი ღირებულებებისა.

¹ ა. ხოჭოლავა. დაგეგმვა და სამოქალაქო ბრუნვა. საბჭოთა სამართალი, 1965 წ. № 1, გვ. 43.

² ქალაქის განაშენიანების გეგმები მრავალგვარია: პერსპექტიული გეგმა, მშენებლობის პირველი რიგის დეტალური გეგმა, მიმდინარე გეგმა. მოქალაქეებისათვის სავალდებულო თავის დროზე და საჯაროდ გამოქვეყნებული მიმდინარე გეგმები. (იხ. ა. ხოჭოლავა, საბჭოთა სამართალი, 1964 წ. № 4, გვ. 42).

ბების პერსპექტივის თვალსაზრისით. მაგრამ ასეთი ასპექტი აუცილებელია როგორც იმისა, რომ არ გადაიდგას ნაჩქარევი ნაბიჯი და რომ განსახორციელებელი პროგრამა მოქცეული იქნას ლეგალურობის საზღვრებში. ამ მხრივ, იგი აწონასწორებს ან უკეთ ვთქვათ აბრკოლებს სარგებლობის და მიზანშეწონილობის იდეის ბატონობას, იდეისა, რომელიც წარმოადგენს და მომხიბვლელ პერსპექტივას სახავეს ადამიანთა წინაშე.

მაგრამ ეს არ მიუთითებს იურიდიული ასპექტის კონსერვატიულობაზე. იგი თავისი დებულების გონიერად განმარტების გზით, საკუთარი განვითარების კანონზომიერების უარყოფის გარეშე არამც თუ ეგუება პროგრესით გამოწვეულ დინამიზს, არამედ კალაპოტს უქმნის ამ მდინარეებს, რათა წალეკილი არ იქნეს ახალი შენობის აგებისათვის აუცილებელი და არსებული მასალა.

სხვა ადმინისტრაციული აქტებიდან განსხვავებით საგეგმო აქტის გამოცემა იურიდიული კრიტერიუმის გამოყენების გარეშე ხდება. ამითაა გამოწვეული ის შემჩნეული ფაქტები, რომ ადმინისტრაციულ პრაქტიკაში, ასეთი სახის აქტები საბოლოოდ ცვლიან ყველა სხვა აქტებს.

იმის აუცილებლობამ კი, რომ ეს აქტები გარკვეულ წესს ემორჩილებოდეს, გამოიწვია საკონტროლო ორგანოების გახშირება.

ზოგიერთი ადმინისტრაციული აქტები ამოღებულია სამოქალაქო კახობდებლობის ზემოქმედებისაგან და მასასადამე, მათი გასაჩივრება სასარჩელო წესით არც შეიძლება¹.

ამავე დროს აღიარებულია საგეგმო აქტების სავალდებულობა სოციალისტური ორგანიზაციებისათვის და არა მოქალაქეებისათვის².

სინამდვილეში კი ასეთი აქტები სხვა ადმინისტრაციულ აქტებთან ერთად, ითვალისწინებენ მრავალი მიმართულებით განშტოებულ მოქალაქეების საჯარო მომსახურების ფორმებს, რომლებიც საბოლოოდ კონცენტრირებული და უნივერსალური ადმინისტრაციული რეჟიმის სახით გვევლინება. ამ რეჟიმის ფუნქციონირებისაგან მთლიანად დამოკიდებულია მოქალაქის მდგომარეობა.

იურიდიული პირებისათვის დაგეგმვის აქტის სავალდებულობის იდეა, მისი კრიტიკულად გადამოწმების გარეშე, ანუ უკეთ რომ ვთქვათ დაგეგმვის აქტის უცოდველობის იდეა, რომლითაც ხელმძღვანელობებს არბიტრაჟის ორგანოები დავების განხილვის დროს, უკვე ეჭვის ქვეშ არის დაყენებული³.

1 ასეთ აქტებს ეკუთვნის სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-2 მუხლის მე-4 ნაწილში და 93-ე მუხლის 1-2 ნაწილში ჩამოთვლილი აქტები.

2 საფუძვლების მე-4 მუხლის მე-4 აბზაცი.

3 გამოითქვა აზრი, რომ მოქალაქეების ანალოგიურად სოციალისტურ ორგანიზაციებსაც შეუძლიათ ჩაიდინონ სამართალდარღვევა ძველი ვადანაშთების ზეგავლენით (იხ. И. С. Самошченко «Понятие правонарушения по советскому законодательству», Москва 1963 г., стр. 23). პრობლემა, იურიდიული პირის მატერიალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის და ამასთან დაკავშირებით არბიტრაჟის ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ განხილულია ჩვენს სტატიაში „პროდუქციის მიწოდების გეგმების შეუსრულებლობისათვის ორგანიზაციების და მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის შესახებ“. (საბჭოთა სამართალი, 1958 წ. № 3, გვ. 36-41).

ამჟამად ხშირად გაისმის ხმა არბიტრაჟის ორგანოების მუშაობის არასრულყოფილებაზე. (იხ. III. Рчеулишвили «Известия» 1965 г. № 135, Ф. Рабинович, Известия 1965 г. 25 июля).

გასაჩივრების სიძნელეს ქმნის არა მარტო საგეგმო აქტები, არამედ ნებისმიერ წინადადებებში გამოხატული სხვა აქტებიც, რომლებიც საგეგმო აქტებს ეყრდნობიან, ან ისეთ განკარგულებებს და დადგენილებებს, რომლის საფუძველი, აქტებს შორის თანაფარდობის დამოკიდებულების დაუზუსტებლობის გამო ძნელად დასადგენია¹.

ამის გამო ამჟამად, შეუძლებელია გამომუშავებული იქნეს აქტის გასაჩივრების ტიპური საფუძვლები, პროცედურის თავისებურება და ადმინისტრაციული აქტის სხვადასხვა სახის ბათილობის სახეები (ბათილობა უკუქცევითი ძალით, ბათილობა მომავალი დროისათვის და სხვა ფორმები).

ყველა ამ საკითხების სწორად გადაჭრა მომავლის საქმეა და დამოკიდებულია სასამართლო ორგანოების გაბედულ მუშაობაზე და გამოცდილების დაგროვებაზე ამ სფეროში. სინამდვილესთან უფრო ახლოს იქნება ისეთი ალტერნატივის წარმოდგენა, რომ ადმინისტრაციული აქტის ბათილობის რეჟიმმა ვერ ჰპოვოს განხორციელება სასარჩელო წესით და იგი ფაქტიურად საკონტროლო ადმინისტრაციულ ორგანოების მსჯელობის ფარგლებს ვერ გასცილდეს. ამის გამო შეიძლება უმჯობესი ყოფილიყო ამ ინსტიტუტის განხორციელების საქმე შუალედი საშუალებით წარმართულიყო და ადმინისტრაციულ იუსტიციას მინდობოდა, რომელიც საჯარობის პრინციპის დაცვით, მზარეთა და მათი წარმომადგენლების მონაწილეობით განიხილავდა დაინტერესებულ პირთა სარჩელებს აქტის ბათილობისა და ბათილობიდან გამომდინარე შედეგების შესახებ.

მომავალში, ადმინისტრაციული რეგლამენტაციის უსაზღვრო გაფართოების პერსპექტივა აწუხებს დასავლეთის ისეთ პროგრესულ მოღვაწესაც, როგორცაა ბერტრან რასელი. აი რას ამბობს იგი მომავალზე, ინგლისელი პუბლიცისტის არნოლდ კეტლის გადმოცემით:

„ბერტრან რასელის შეხედულებით მომავალ ქვეყანაში გაბატონებული იქნება რეგლამენტაცია და უსულგულობა. მის მიერ დახატული სურათი გვაგონებს ოლდსომ ზაკლის, ან თითქმის ორუელის მიერ წარმოდგენილი, გენეტიკის გამგებლობაში მყოფ ქვეყანას, რომელიც მორჩილებაში ყავს ბიუროკრატებს და სწავლულ ელიტას, ქვეყანას, რომელშიაც ადგილი არა აქვს პირად თავისუფლებას და სადაც შეუძლებელია პირადი ინდივიდუალობის გამოვლინება, გულკე-

¹ გამოითქვა აზრი იმ დადგენილებების უმართებულობაზე, რომლებიც უკრძალავენ კომპეტენტობის წევრებს რესპუბლიკის გარეშე თავისი ღვინის და ხილის გატანას (Г. Топоров «В обход полномочий», Известия 1964 г. 2 февраля). ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას ჩვენში. ცუდად გაგებულ „პრესტიჟზე“ მითითებით უკრძალავენ მწარმოებლებს რესპუბლიკის გარეშე პროდუქციის გაყიდვას, ავიწყდებოდა რა ის გარემოება, რომ ეს აბრკოლებს ჩვენი მწარმოებლის კეთილდღეობის ამადლებას, რაც ასე აუცილებელია ნამდვილი და არა ცრუ პრესტიჟის შენარჩუნებისათვის.

თილობა, შეწყნარებული დამოკიდებულება სხვებისადმი, ტალანტის ბრწყინვალეობა, გატაცება აზრის თავისუფლებისადმი საბედისწეროდ, დაკარგავს აზრს და მნიშვნელობას“¹.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი პესიმისტური დასკვნის გამოტანისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს.

მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მეორე უკიდურესობაში ჩავვარდეთ და არ გავითვალისწინოთ უნივერსალური რეგლამენტაციის საშიშროება. ერთ-ერთ, მართალია მოკრძალებულ საშუალებას, ამ საშიშროების თავიდან აცილების საქმეში ადმინისტრაციული აქტის ბათილობის იურიდიული თეორია წარმოადგენს.

¹ Арнольд Кеттл. „Английская интеллигенция и марксизм“, иностранная литература 1965 г. № 3, стр. 230.

იკასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედობის მიზეზები

ც. შარია,

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა
სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი

არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედობის მიზეზების გამოკვლევისა და დადგენის პრობლემა წარმოადგენს საერთოდ დანაშაულის ლიკვიდაციისა და, კერძოდ, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს.

როგორც პარტიის ახალ პროგრამაშია აღნიშნული, ახალი ადამიანის ფორმირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას. საბჭოთა ახალგაზრდობა ყოველ ნაბიჯზე ავლენს საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობის ღრმა გაგებას, თავდადებათ შრომობს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

მაგრამ, როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიუთითებს, ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობით მუშაობაში, რომლის შედეგია ზოგიერთი ბავშვისა და მოზარდის შეუფერებელი ქცევა. მცირეწლოვანთა დანაშაულის რიცხვი დიდია მთელ რიგ რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში.

არასრულწლოვანთა დანაშაულისა და უმეტადად სრული ლიკვიდაცია წარმოადგენს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ ამოცანას, რომლის წარმატებით გადაწყვეტა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციული ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და, რაც მთავარია, სკოლისა და ოჯახის ძალების გაერთიანებას მოითხოვს.

მოზარდთა დანაშაულის ლიკვიდაციის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული საერთოდ დანაშაულის აღმოფხვრასთან, ვინაიდან ბავშვების დანაშაული ძირითადად უფროსთა დანაშაულიდან მომდინარეობს.

არასრულწლოვანი დამნაშავენი მოკლებულნი არიან რა დროულ პედაგოგიურ დახმარებას, საბოლოოდ უფროს დამნაშავეთა რიგებს ავსებენ. საპატიმროში იშვიათად შეხვდებით სრულწლოვან დამნაშავეს ან რეციდივისტს, რომელთაც დანაშაული უფროს ასაკში ჰქონდეთ ჩადენილი, დამნაშავეთა დიდ ნაწილს პირველი დანაშაული ჩადენილი აქვს და სასჯელი მოხდილი ჯერ კიდევ ახალგაზრდობის პერიოდში. დამნაშავეებზე დაკვირვება და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ადასტურებს, რომ პირველი დანაშაული მოზარდისათვის უკვალოდ არ რჩება.

არასრულწლოვანთა დანაშაულის მიზეზები განსაკუთრებულ კვლევას მოითხოვს, რადგან ჩვენში ამ მახინჯი მოვლენისათვის სოციალური პირობები არ არსებობს. კომუნისტური პარტია, სოციალისტური სახელმწიფო პიროვნების ყოველმხრივი განვითარების, მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის სრულ პირობებს ჰქმნის.

ექსპლოატატორულ საზოგადოებაში საუკუნეების მანძილზე კერძო მესაკუთრული ინსტინქტი ისე ძლიერია, რომ იგი კულტად არის გადაქცეული. ეს ინსტინქტი იმდენად გამძლეა, რომ იგი სხვადასხვა ფორმით არა მარტო ჩამორ-



ჩენილ და გაუნათლებელ, არამედ ინტელიგენტ და მოწინავე ადამიანთა შორისაც იჩენს თავს. ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ დიდ ზიანს აყენებს წარსულის ისეთი სამარცხვინო გადმონაშთები, როგორიცაა: ანგარება, გაუძაძლრობა, შურისძიება, ქალისადმი პატრიარქალურ-ბურჟუაზიული დამოკიდებულება, თავშეუკავებლობა, ხულიგნობა და თავაშვებულობა, ყველაფერი ეს ხშირად განსხადგრავს საერთოდ ადამიანების, და კერძოდ, არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ ქცევას.

ქველის გადმონაშთი სიცოცხლის უნარიანობას ინარჩუნებს მაშინ, როცა ადამიანი ბავშვობიდანვე არ არის მიჩვეული შრომას, არა აქვს გამოქმუშავებული მოვალეობის გრძნობა; როცა მასზე იდეური გავლენა ცხოვრების და გარემო პირობებით არ არის განმტკიცებული.

დანაშაულის მიზეზის ცოდნა საკმარისი არ არის. საჭიროა ამ ზოგადი მიზეზის კონკრეტულ გამოვლინებათა დადგენა.

გამოდის რა მოზარდის ასაკობრივ თავისებურებათაგან და, საერთოდ არასრულწლოვანის პიროვნებიდან, საბჭოთა კანონი მოზრდილისა და მოზარდის სისხლის სამართლის სასჯელის ზომებს მკვეთრად ანსხვავებს. როგორია საერთოდ მოზარდის ფსიქოლოგიური თავისებურებანი, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანთა დანაშაული?

ყველაზე რთული ასაკია 13—16 წელი, როცა ადამიანის ხასიათი ყალიბდება. ამ ასაკში მოზარდის განვითარების ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას წარმოადგენს „მეს“ მალალი შეფასება, სურვილი გამოირჩეოდეს ამხანაგებსა და უფროსებში. ამ მოთხოვნილებას მოზარდი ვერც ოჯახში იკმაყოფილებს და ვერც სკოლაში. იგი გარეთ ნახულობს საამისო საშუალებებს, რომლებსაც ზოგჯერ მოზარდი ანტისაზოგადოებრივ ქცევამდე მიჰყავს.

მოზარდებთან „მეს“ წამოჩენილების სწრაფვის ისეთ უარყოფით გამოვლინებებს ვხვდებით, როგორიცაა ყალბად გაგებული სიმამაცე და ჰეროიკა, უჩვეულო ტანსაცმელი, განსაკუთრებული ქცევა და ყარგონი. მოზარდის ასაკობრივი თავისებურებების ეს უარყოფითი გამოვლენა ხშირად იწვევს ხულიგნობას, დისციპლინის დარღვევას და ზოგჯერ მძიმე დანაშაულსაც. სკოლასა და საზოგადოებრივ ადგილებში, ამ ასაკის მოზარდის ერთ-ერთ ნათლად გამოკვეთილ თავისებურებას შეადგენდა უფროსების გაკრიტიკება, საყვარელი გმირების იდეალიზაცია, თავისუფლების, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, სურვილი ჰგავდეს საყვარელ გმირს.

აღნიშნული ასაკობრივი თავისებურების გონივრული გამოყენებით შეიძლება მივალწიოთ იმას, რომ ბავშვი აღიზარდოს კომუნისტური სულისკვეთებით, აღმოიფხვრას მის ხასიათში ფეხმოკიდებული უარყოფითი თვისებები. თუ ამ თავისებურებათა განვითარება არასწორი გზით წარიმართა, მათ შეუძლიათ მოზარდი მძიმე დანაშაულამდე მიიყვანოს.

მოზარდის დანაშაული უფროსის დანაშაულისაგან პირველ რიგში იმით განსხვავდება, რომ იგი წინასწარ მოფიქრებული ქცევა არ არის. იგი შედეგია გარემოს გავლენისა, რომელიც დანაშაულს უსწრებდა წინ. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

1963 წლის ნოემბერში ქ. სოხუმში მე-8 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლემ (დაბადებულმა 1946 წ.) ვ. ზ. დანით დაჭრა იმავე სკოლის არასრულწლოვანი. აქ საქმე გვაქვს განსაკუთრებით საშიშ, მძიმე დანაშაულთან.


განვიხილოთ რა გარემოებაში მოხდა დანაშაული და როგორია დამნაშავეს პიროვნება. ზ. კარგი ოჯახიდანაა. მამასისი ინჟინერია, დედა — მოსამსახურე, ოჯახი ეკონომიურად უზრუნველყოფილია, თვითონ ზ-ს სკოლაში იცხოვრებენ როგორც დისციპლინიან, კარგ მოსწავლეს და ამხანაგს. როგორ ჩაიღინა ასეთ-მა კარგმა მოზარდმა მძიმე დანაშაული? ირკვევა შემდეგი: 20 ნოემბერს ზ-ს სკოლის დერეფანში შეხვდა თავისი უმცროსი ატირებული და შეურაცხყოფილი ამხანაგი ზურაბი. ზ. შეეკითხა ზურაბს თუ რა იყო ამისი მიზეზი. ზურაბმა აუხსნა ზ.-ს, რომ გ. ე.-ვი შეეკამათა მას სკოლების გუნდებს შორის მომავალი ფეხბურთის მატჩის გამო. კამათისას ე.-მ. უცნაურად სიტყვებით გალანძღა იგი და სცემა კიდევ. ზ. მაშინვე წავიდა ე-სთან უმცროსი ამხანაგის ინტერესების დასაცავად, ე-მ კამათისას უშვერად გალანძღა ზ-ც და ზურაბსაც დაემუქრა. მაშინ სახელოსნოს დაზვიდან აღებული დანით ზ-მ მძიმედ დაჭრა ე-ვი.

როგორც ვხედავთ, ამხანაგის ინტერესების დაცვის სურვილმა ზ. მძიმე დანაშაულამდე მიიყვანა. ცხადია, ზ-ს დანაშაულებრივი ქცევა არამც თუ წინათ ჰქონდა მოფიქრებული, არამედ დანაშაულის ჩადენამდე ხუთი წუთით ადრეც კი მას არ ჰქონია ამის განზრახვა. მაგრამ ხერვიულობის, სიფიცხისა და იმის გამო, რომ თავისი ქცევის შედეგის აღქმის უნარი არ ჰქონდა, მოზარდმა ჩაიღინა მძიმე დანაშაული, რომლის ძირითად მოტივსაც მეგობრობისა და ამხანაგობის კეთილშობილი გრძნობა წარმოადგენდა.

ზ-მ სასამართლოში თავი დამნაშავედ სცნო და არც უცდია დანაშაულის შერბილება. სასამართლომ დამნაშავეს სამი წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა და კომკავშირის ორგანიზაციამ სთხოვა სასამართლოს დაებრუნებინათ ზ. სკოლის კოლექტივისათვის, რომელიც მის ხელახალ აღზრდის საქმეს ჩაუდგებოდა სათავეში. სასამართლომ გაითვალისწინა არასრულწლოვანის პიროვნება, საქმის სხვა დანარჩენი გარემოება და ზ-ს სამი წლის პირობითი სასჯელი მიუსაჯა. იგი კვლავ სკოლას დაუბრუნდა.

არასრულწლოვანთა დანაშაულის ხასიათის ანალიზისას ზოგჯერ საქმე გვაქვს ქცევის ფსიქოლოგიურ თავისებურებათა მთელ კომპლექსთან. მოზარდი შეიძლება მიიზიდოს თვითონ დანაშაულს გარეგანმა ვითარებამ — საიდუმლოებამ, გულადობამ, ყალბმა რომანტიკამ, „ძლიერი მეთაურისადმი“ თავყვანისცემამ, სურვილმა დაუმტკიცოს თავის თავს, რომ იგი უკვე „დიდია“ და სხვ. საილუსტრაციოდ შემდეგ მაგალითს მოვიტანთ.

არასრულწლოვანი ს. (დაბადებული 1946 წ.), ქ. ქუთაისის მცხოვრებია. მამა აბრეშუმკომბინატის ბრიგადირია, დედა — საავადმყოფოს ექთანი. ოჯახი მატერიალურად უზრუნველყოფილია. თვითონ კომკავშირელი იყო, სწავლობდა საღამოს სკოლაში და იმავე კომბინატში მუშაობდა, სადაც მამამისი. პირველად ს. მცირეწლოვანის გაუპატიურების გამო შრომა გასწორებით კოლონიაში მოხვდა. საქმიდან ირკვევა, რომ ფაქტი მოხდა, მაგრამ ძალადობას ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, მოზარდს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მშობლებმა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს და ს. სამი თვის შემდეგ ქუთაისში დაბრუნდა. ის უფრო მეტად ჩაიკეტა და გაბოროტდა. კოლონიიდან ჩამოსვლიდან სამი დღის შემდეგ ს-მ თავისი სამი ამხანაგი დაიყოლია, რათა პირველივე შემხვედრი დაეჭირათ და გაეძარცვათ. მოზარდები დათვრნენ ქალაქის კლუბის სასაუზმეში, შემდეგ ქუჩაში



დაიჭირეს მოქ. გოქსაძე, დანით დაემუქრნენ. 7 მანეთი და „კამის“ ათი წაართვეს.

როგორც ვხედავთ, მოზარდები სრულიად უმიზეზოდ (ისინი მატერიალურ სიღიწროვეს არ განიცდიდნენ) ჯგუფურად, შეიარაღებულნი დაესხნენ თავს მოქალაქეს. რა მოტივები ამოქმედებდათ ბავშვებს? პირველ რიგში „გამოცდილი, წინამძღოლისადმი“ თაყვანისცემა, მეორე — სახიფათო და საინტერესო „საქმე“ წამოწყებული იგივე წინამძღოლის მიერ.

არასრულწლოვანის დანაშაულის მოტივში ვლინდება მოზარდის ქცევის სათვის დამახასიათებელი ზოგადი თავისებურებანი: ავანტიურიზმი, ავტორიტეტის უპატივცემლობა, თავშეუკავებლობა და სხვ. გარდა ამისა, არასრულწლოვანის დანაშაულის მოტივი ასახავს ოჯახში, სკოლასა თუ წარმოებაში აღზრდის ნაკლოვანებებს.

მოვიტანთ შემდეგ მაგალითს:

არასრულწლოვანი ზ. (დაბადებული 1947). თელავის რაიონის სოფ. ხაფარეულის მკვიდრი, მე-7 კლასის მოსწავლე იყო. ვაჟის მშობლები სოფ. ხაფარეულის კოლმეურნეები ცხოვრობდნენ ერთად, მატერიალურ სიღიწროვეს არ განიცდიდნენ. 1963 წლის 6 სექტემბერს ზ-მ ჯიბის დანით ზურგში მსუბუქი ჭრილობა მიიყენა ამავე სკოლის მასწავლებელს გ-ს.

როგორც თვითონ აღიარა, მოზარდის დანაშაულის მოტივი ის იყო, რომ მასწავლებელი გ. თითქოს გადამტერებული იყო მასზე, ხშირად ნიშნებს აკლებდა და ა. შ. ეჭვს გარეშეა, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული იყო. ჩვეულებრივ, ბავშვები თავიანთ სიმპათიასა თუ ანტიპათიას ადვილად ავლენენ. მასწავლებლისა და მოსწავლის ეს ურთიერთობა იცოდნენ ზ-ს მშობლებმა, ამხანაგებმა და მასწავლებლებმაც, რომლებიც ცხადია, ასეთ მძიმე შედეგს ვერ წარმოიდგენდნენ.

არასრულწლოვანთა დანაშაულის მიზეზების გარკვევის მიზნით ჩვენს მიერ გაანალიზებულ იქნა მოზარდთა სასამართლო საქმეები, რომლებიც რესპუბლიკის ბავშვთა შრომა-გასწორებით კოლონიებში იხდიდნენ სასჯელს. გაანალიზებულ იქნა 26 ანკეტა, შედეგნილი იმ მოზარდთა ბოროტმოქმედების მიზეზის გამოკვლევისათვის, რომლებიც სასჯელს კოლონიაში მეორედ ჩადენილი დანაშაულის გამო იხდიდნენ. ანკეტა შევსებულ იქნა დამხაშავე მოზარდებთან საუბრისა და მათი პირადი საქმის გაცნობის შედეგად. საჭიროების შემთხვევაში ვიყენებდით მასალებს, რომლებიც ოპერატიულ მუშაკთან იმყოფებოდა.

ზემოდასახელებულ სასამართლო საქმეების ანალიზით გამოირკვა შემდეგი: 26 მოზარდ დამნაშავეთაგან მხოლოდ ერთს არ ჰყავს არც მამა და არც დედა. ყველა დანარჩენი დანაშაულის ჩადენის მომენტში ოჯახში ცხოვრობდა.

სტატისტიკური ცნობების ანალიზიდან ჩანს, რომ არასრულწლოვან დამნაშავეთა ძალზე მცირე ნაწილია ისეთი, რომელიც არც სწავლობს, არც მუშაობს და არც ოჯახში ცხოვრობს, ე. ი. უპატრონოა. მოზარდთა დიდი უმრავლესობა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, ოჯახში ცხოვრობს. ნიშნავს ეს იმას, რომ ისინი სწორი აღზრდით და ზრუნვით არიან გარემოცულნი?

26 დამნაშავისაგან ოცდახუთს, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში ოჯახში ცხოვრობდა, ასეთი პირობები ჰქონდა: 8 ბავშვს ჰყავს დედაც და მამაც, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ორს მამა არ ჰყავს, სამს — დედა, ოთხს

მართხელა დედა ჰყავს, ექვსის მშობლები გაყრილი არიან; ორის მშობლები ხელახლდა დაქორწინდნენ.

ამრიგად, 26-დან მხოლოდ რვა ბავშვის დედ-მამა ცხოვრობს ერთად. დანარჩენ 18-ს ნორმალური ოჯახური პირობები არ გააჩნიათ. ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს არანორმალური ოჯახური პირობები.

მოზარდთა დანაშაულის მიზეზების გამოკვლევისას, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს ბავშვის ოჯახური მდგომარეობა. ეს ბუნებრივიცაა. პირველ აღზრდას ბავშვი ოჯახში იღებს. ოჯახური აღზრდა წარუშლელ კვალს ტოვებს ბავშვის პიროვნებაზე და ხშირად მთელ მის შემდგომ გახვითარებას განსაზღვრავს. ამიტომ, ბავშვის აღზრდა მშობლების პირად საქმეს კი არ შეადგენს, არამედ მათ მოქალაქეობრივ მოვალეობას.

მშობლების უმრავლესობა ჩვენს ქვეყანაში დადებით გავლენას ახდენს თავიანთ შვილებზე, ზრდის მათ ჩვენი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, თვის, რომ ბავშვის აღზრდა მშობლების ყველაზე მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო მოვალეობას შეადგენს. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი მშობლები, რომლებიც არაერთარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ და თავიანთ შვილებს სისტემატური კონტროლისა და მეთვალყურეობის გარეშე ტოვებენ. ხოლო ოჯახის კონტროლს მოკლებული ბავშვები ადვილად ექცევიან უცხო გავლენის ქვეშ და ზოგჯერ სისხლის სამართლის დანაშაულსაც ჩადიან. ფ. ე. ძერჟინსკი წერდა: „ბავშვების დანაშაული ან დამსახურება უმრავლეს შემთხვევაში მათი მშობლების კისერსა და სინდისზეა“¹.

ხშირად მოზარდის დანაშაულის მიზეზს შეადგენს უმეთვალყურეობა ოჯახში, სადაც ერთ-ერთი მშობელი არ იმყოფება. ბავშვისათვის განსაკუთრებით მძიოვია, როცა ოჯახში მამა არ არის. ასეთ ოჯახში დედა აუცილებლად მუშაობს და არ შეუძლია ბავშვს საკმარისი ყურადღება მიაქციოს. ნაერთოდ, ოჯახის დადებითი როლი ბავშვზე, განსაკუთრებით ვაჟზე, იმ ოჯახში იგრძნობა სადაც დედაც არის და მამაც, იქ, სადაც მამა ომშია დაღუპული, მოზარდი განიცდის იმას, რომ მას არ ჰყავს ისეთი უფროსი მეგობარი და აღზრდელი, რომელსაც წარმოადგენს მამა. როცა მშობლები გაყრილნი არიან, მოზარდი გარკვეულად ტრავმირებულია იმის გამო, რომ იგი დედამ (თუ მამამ) მიატოვა. ასეთი ტრავმის გამო ხშირად მოზარდი თავის თავში იკეტება, ბოროტდება, ხოლო შემდეგ დანაშაულსაც სჩადის. მოვიტანთ შემდეგ მაგალითს:

არასრულწლოვანმა ქ-მ. (დაბადებულმა 1951 წ.) ქარელის რაიონის სოფ. ქარელის მცხოვრებმა ორი კლასის დამთავრების შემდეგ თვითნებურად მიატოვა სკოლა, ხეტიალი და ქურდობა დაიწყო. 1962 წელს ქურდობის გამო თერთმეტი წლის ბავშვი გაიგზავნა ბავშვთა კოლონიაში.

ბავშვის მშობლები გაყრილი იყვნენ. დედა გათხოვდა, მამამაც ცოლი შეირთო. კოლონიიდან დაბრუნების შემდეგ ბიჭი არც დედასთან წავიდა საცხოვრებლად და არც მამასთან, ცხოვრება დაიწყო ბებიასთან. 1964 წელს 14 წლის ბიჭი ვაგონებში ხეტიალისა და ქურდობის გამო კვლავ დაიჭირეს. თავისი დანაშაულის მიზეზს თვითონ ბიჭი ასეთნაირად ხსნის: „დედამაც მიატოვა და მამამაც. თვითონ კარგად მოეწყვნენ. მე კი ბებიას მიმავლეს. ჯობდა, რომ როცა

¹ ფ. ე. ძერჟინსკი, დღიური და წერილები, მოსკოვი, 1956 წ., გვ. 106.

სულ პატარა ვიყავი, ვიღაცა უცხო სთვის მივეგდე. ის მაინც ხომ არ მეცოდნებოდა, რომ მშობლები მყავს“.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ქ-ს მშობლები არიან უშუალოდამნაშავენი იმაში, რომ მათი შვილი ქურდი და რეციდივისტი გახდა, ამ ბავშვის მშობლებმა არა მარტო თავიანთი შვილის, არამედ საზოგადოების წინაშეც დაივიწყეს თავიანთი მოვალეობა. მშობლებმა მაშინაც კი არ მიიღეს ზომები იმისათვის, რომ შვილი სწორ გზაზე დაეყენებინათ, როცა ბავშვმა ზიანი მიაყენა საზოგადოებას. მათ დაივიწყეს, რომ ბავშვების აღზრდა საზოგადოებრივი საქმეა.

ჩვენ უკვე შევეხეთ ბავშვებზე ოჯახის უარყოფით გავლენას, როდესაც დედამა ერთად არ ცხოვრობენ. მაგრამ ხშირია, როცა ის ბავშვებიც ჩადიან დანაშაულს, რომლებიც დედ-მამასთან ცხოვრობენ. მშობლების შეცდომები ბავშვის აღზრდაში სხვადასხვა ხასიათისაა. საბჭოთა პედაგოგიკის კლასიკოსი ა. ს. მაკარენკო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლის პირად მაგალითს. ოჯახში არასწორი აღზრდა ხშირად დაკავშირებულია მშობლების ამორალურ ქცევასთან. ბავშვის ქცევასა და შეგნებაზე არ შეიძლება თავისებური გავლენა არ მოახდინოს იმან, რომ მისი მშობელი მექრთამე, ეგოისტი, ლოთი ან გარყვნილია. მშობლებისადმი სიყვარულის გამო ბავშვს უჭირს სწორად შეაფასოს მათი ამორალური ქცევა. ქცევის ასეთი ნორმა ბავშვისათვის ზოგჯერ მისაბამი ხდება. მაგრამ ხდება ისიც, რომ მშობლები, რომლებიც საზოგადოების სასარგებლო წევრები არიან და მეგობრული ოჯახიც აქვთ, არასწორი პედაგოგიური მიდგომის გამო მხედველობიდან უშვებენ აღზრდის მთავარ მხარეს — შვილების საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისათვის მომზადებას.

ზოგიერთ მატერიალურად უზრუნველყოფილ ოჯახში ბავშვს უმუშავედება არასწორი დამოკიდებულება შრომისა და ფულისადმი. უსაქმური მოზარდები ზრუნვითა და საჩუქრებით განებივრებულნი, დარწმუნებულნი იმაში, რომ მათ პასუხს არავენ მოსთხოვს, დანაშაულის გზას ადგებიან.

ასეთი აღზრდის ნაყოფის მაგალითს წარმოადგენს შემდეგი შემთხვევა: 13 წლის ნ. კ. დაბადებული ქ. თბილისში, ცხოვრობდა მშობლებთან ერთად მატერიალურად უზრუნველყოფილ ოჯახში. V კლასის მოსწავლე იყო, როცა სქესობრივი კავშირი დაიჭირა სხვადასხვა პირებთან. დაავადდა ვენერიული სნეულებით, რაც შემდეგ რამდენიმე თავის ამხანაგს გადასდო, ეს ბავშვის სრულ უპასუხისმგებლობასა და ამორალურობაზე მეტყველებს.

მოვიტანოთ სხვა მაგალითი. არასრულწლოვანი რ. (დაბადებული 1946 წ.), ქ. თბილისის მკვიდრი მცხოვრებია. მამა გარაჟის უფროსია. დედა-ექთანია, დამთავრა ცხრა კლასი, 1963 წელს ძარცვისა და მკვლელობის გამო 10 წელი მიუსაჯეს. ნაცვლად იმისა, რომ კოლონიაში, სადაც ის მოათავსეს, სწავლა გაეგრძელებინა, შრომითი კვალიფიკაცია მიეღო და სამაგალითო ქცევით დროზე ადრე განთავისუფლება დაემსახურებინა, 1964 წელს ჯგუფური გაქცევა მოაწყო და მკვლელებზე ძალა იხმარა. განმეორებითი დანაშაულის მიზეზების გამოკითხვისას, მან უპასუხა, რომ უკანონოდაა დასჯილი.

მოზარდის ქცევა, რომელმაც მკვლელობა ჩადინა, ჯგუფური გაქცევა მოაწყო და თავს მაინც დამნაშავედ არ ცნობს, მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მას არა აქვს არავითარი პასუხისმგებლობის გრძობა საზოგადოების წინაშე.

ქურდობას უმრავლეს შემთხვევაში მოზარდები ჩადიან უმეტესად უსრულყოფილ-

ბის, ან არასწორი აღზრდის გამო, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში მატერიალური სიციფროვის მიზეზით.

განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ მახინჯ მოვლენას, როგორცაა მოზარდის სქესობრივი დანაშაული. მოვეტანთ ერთ-ერთ მაგალითს. არასრულწლოვანი კ. (დაბადებული 1946 წ.), ქ. რუსთავის მკვიდრი, ცხოვრობდა დედ-მამასთან. 1963 წ. ჩაიდინა ჯგუფური დანაშაული, ძალადობა იხმარა და ქალი გააუბატიურა, ხოლო გამოძიებისას ისევ ჩაიდინა მძიმე დანაშაული. საქმეებში არ არის ცნობა იმაზე, რომ მას აქვს რაიმე ფსიქიკური დაავადება, რითაც შეიძლებოდა ამ დანაშაულის მიზეზის ახსნა. დაკითხვისას მოზარდი დანაშაულის ფაქტს სავსებით უარყოფს. მამასადამე, თავის დანაშაულს იმდენად სამარცხვინოდ თვლის, რომ მისი აღიარება არ შეუძლია.

ანალოგიური დანაშაულის და, საერთოდ, ახალგაზრდობის ერთი ნაწილის მორალური აღვირახსნილობის მიზეზს წარმოადგენს სქესობრივი აღზრდის სრული იგნორირება როგორც ოჯახში, ისე სკოლაში. ეს საკითხი საბჭოთა პედაგოგიკაში სრულიად დაუშვამვებელია.

ა. ს. მაკარენკო მოზარდის სწორ სქესობრივ აღზრდას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ჩვენს პედაგოგიკაში დაშვებულა ასეთი პრაქტიკა; როცა ბავშვს სქესობრივ საკითხებზე არავითარ პასუხს არ აძლევენ, ან უპასუხებენ, რომ ამისი ცოდნა მათთვის ჯერ ადრეა, ბავშვებში ავადმყოფურ ცნობისმოყვარეობას იწვევს. ისინი უკვე კითხვებით მიმართავენ „მცოდნე“, ახ თავაშვებულ, მორალურად გახრწნილ ადამიანებს და საკმაოდ ცუდ ინფორმაციასაც იღებენ. ეს ყოველად დაუშვებელი მოვლენაა. მშობლებმა და პედაგოგებმა ბავშვებს შესატყვის ფორმაში უნდა აუხსნან სქესობრივი ურთიერთობის ჭეშმარიტება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოზარდთა დანაშაულის ერთ-ერთ მიზეზს შეადგენს ოჯახში აუცილებელი კონტროლის უქონლობა. მაგრამ არა ნაკლებ დიდია სკოლის როლი მოზარდი თაობის აღზრდაში. ჩვენ აქ შევეხეთ 14—17 წლის მოზარდთა დანაშაულებრივ ქმედობას, ამდენად მათი პიროვნების დამახასიათებელ მაჩვენებლებს წარმოადგენს ბავშვების დამოკიდებულება სკოლასთან, რასაც მათი განათლების დონე განსაზღვრავს. ჩვენს მიერ შესწავლილი 25 მოზარდ დამნაშავეთაგან 14-ი 4 კლასამდე განათლებისა იყო, ოთხი 5 კლასამდე, სამი—6 კლასის განათლებით, ერთი IX კლასში სწავლობდა, ხოლო ერთ მოზარდს საერთოდ სკოლაში არ უსწავლია. ამრიგად, მოზარდ დამნაშავეთა დიდ უმრავლესობას ოთხი კლასის და უფრო დაბალი განათლება ჰქონდა, ხოლო 4 კლასზე მეტი სულ რამდენიმეს.

ყოველივე ეს მეტყველებს მათი მორალური, პოლიტიკური განვითარებასა და აღზრდის დაბალ დონეზე. სკოლა ჩვენს საზოგადოებაში უდიდეს როლს თამაშობს ახალგაზრდა თაობის კომუნისტურ აღზრდაში. სამწუხაროდ ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ არსებობს ნაკლოვანებანი, რომლებიც ცალკეულ მოზარდთა ქცევაზე უარყოფითად მოქმედებენ. ყველაზე დიდი ნაკლია სკოლის სუსტი კავშირი ოჯახთან და მშობლებისადმი არასაკმარისი დახმარება. იმ ოჯახებში, სადაც მამამ ოჯახი დატოვა ან გარდაიცვალა, ხოლო ბავშვს ზრდის დედა, რომელიც მუშაობს, ბავშვები თითქმის უმეთვალყუროდ, უკონტროლოდ რჩებიან, უკონტროლოდ რჩებიან ბავშვები მრავალშვილიან ოჯახებშიც, სადაც მშობლებს დაბალი ხელფასი აქვთ. ასეთი ბავშვები სკოლის განსაკუთრებულ ყურად-



დღეებსა და პედაგოგების ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვენ. სინამდვილეში კი ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა სკოლა და პედაგოგები არ ითვალისწინებენ მოზარდის ამ განსაკუთრებულ პირობებს და მას საკმარისად არ ეხმარებიან.

მოვიტანთ შემდეგ მაგალითებს:

მცირეწლოვანმა ო-მ (დაბადებულმა 1946 წ.), ქ. თბილისის მცხოვრებმა 5 კლასი დაამთავრა. სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ იგი სკოლიდან გარიცხა იმის გამო, რომ სხვა მოსწავლეები ქურდობისა და ხულიგნობაში ჩაითრია. ბიჭს ჰყავს მშობლები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ. მამა მუშაა, დედა — დამლაგებელი, ოჯახში სადაც 8 ბავშვია და მატერიალურ სიღარიბეშია. ბიჭს განიცდიან, ბავშვს არ აქვს სისტემატური კონტროლი და სწორი აღზრდის პირობები. პირველი დანაშაული ჩაიდინა სკოლიდან გარიცხვის შემდეგ, გაქურდა მალაზია, სასადილო და საფოსტო კიოსკი, კოლონიიდან გამოსვლის 5 თვის შემდეგ მალაზია და რადიოლაბორატორია გაქურდა. ამაში დანაშაული მიუძღვის სკოლასაც. პედსაბჭომ გარიცხა ისეთი ბავშვი, რომელიც მოკლებული იყო ოჯახის ყურადღებასა და კონტროლს და იგი ყოველგვარი პედაგოგიური ზემოქმედების გარეშე დატოვა.

კიდევ ერთი დამახასიათებელი მაგალითი:

ღ-ვი დაბადებულია ქ. თბილისში. დედაც ჰყავს და მამაც, მაგრამ ისინი გაყრილი არიან. ბავშვმა ოთხი კლასი დაამთავრა. ხულიგნობისათვის 1961 წელს გაირიცხა 29-ე სკოლიდან.

1963 წლის იანვარში იგი გაასამართლეს ბინის გაქურდვისათვის. განთავისუფლების შემდეგ არსად არ მუშაობდა, ცხოვრობდა დედასთან. 1964 წელს ხელახლა გაასამართლეს მოქალაქე ქ-სა და შ-ზე თავდასხმისათვის, ოჯახში მას ასეთი მდგომარეობა ჰქონდა: მშობლები გაყრილები არიან. დედა მუშაობს ქარხანაში, შუათანა ძმა პატიმარია, უფროსი — ავადმყოფი. მძიმე მატერიალურ პირობებთან ერთად ასეთი ოჯახური მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ხელს უშლიდა მოზარდის სწორად აღზრდის საქმეს. მოსწავლის ასეთი მდგომარეობა პედაგოგიკისათვის ცნობილი იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებლად მიიჩნიეს მისი სკოლიდან გარიცხვა ე. ი. ფაქტიურად მისი დატოვება ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე. 1961 წელს ბიჭი სკოლიდან გაირიცხა, 1963 წელს ჩაიდინა პირველი დანაშაული, ხოლო 1964 წელს უკვე ქურდ-რეციდივისტად იქცა.

სკოლის ხელმძღვანელები და პედაგოგები, როცა მათ საყვედურობენ ძნელად აღსაზრდელ ბავშვებისადმი უყურადღებობას, ჩვეულებრივ თავს იმით იმართლებენ, რომ ერთ მოზარდს შეუძლია ცუდი გავლენა მოახდინოს მთელი სკოლის კოლექტივზე. ამით თავის მართლება ნიშნავს საკუთარი პედაგოგიური სისუსტის აღიარებას.

რამდენად სუსტად უნდა იყოს დაყენებული აღმზრდელი მუშაობა სკოლაში, რომ მოსწავლეებებს, იმის ნაცვლად რომ ძნელად აღსაზრდელი მოზარდი მოაქციონ კოლექტივის გავლენის ქვეშ, ეშინიათ საპირისპირო მოქმედებისა — მოსწავლის ცუდი გავლენისა მთელ კოლექტივზე.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სწორედ ასეთი მოზარდები საჭიროებენ სკოლისა და პედაგოგიური კოლექტივის, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციის განსაკუთრებულ ყურადღებას.

მოზარდების მორალურ მერყეობას, რომელიც მათი მძიმე ოჯახური პი-

რობებითაა გამოწვეული, მიჰყავს ისინი რეციდივისტების, ლოთების, ქუჩაღების წრეში. მოკლებულნი არიან რა მშობელთა მზრუნველობასა და ჯანსაღი კოლექტივის ზეგავლენას, ისინი ცდილობენ ამით მაინც დაიკმაყოფილონ მუგობრობისა და კოლექტივისადმი სიყვარულის მოთხოვნილება.

არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი მოქმედების ერთ-ერთი მიზეზია, რომ მოზარდთა საცხოვრებელ ადგილზე ორგანიზებული არ არის კულტურული გონიერი გართობა. თავისი ასაკობრივი თავისებურებების გამო მკვირცხლ და ცნობისმოყვარე ახალგაზრდებს არსად არა აქვთ საშუალება შესაფერისად გაატარონ მეცადინეობიდან და სამუშაოდან დარჩენილი თავისუფალი დრო, რაც იწვევს ბავშვების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, ჯგუფურ ხულიგნობას, ცხოვრებისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო და მიუღებელ გართობას. აქ თავს იჩენს სკოლის გარეშე აღმზრდელობითი ნაკლოვანებები, არასაკმარისი რაოდენობა, საბავშვო კლუბებისა და სახელოსნოების, სპორტული დაწესებულებების, წრეებისა და სხვ.

ბევრი შეცდომებია დაშვებული სანახაობითი დაწესებულებების მუშაობაში. ცუდ გავლენას ახდენს მოზარდებზე შეუფერხებელი და ზოგჯერ მავნე ფილმების ნახვა.

ასეთია ძირითადად არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ ქმედობათა მიზეზები.

შევეცადეთ რა შეგვესწავლა მოზარდთა დანაშაულის მიზეზები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს ბოროტმოქმედების გამომწვევი ისეთი მიზეზები, რომელთა აღმოფხრა არ შეიძლებოდეს.

როგორც ირკვევა, არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი მოქმედების ყველაზე მეტად დამახასიათებელი მიზეზებია: არასწორი აღზრდა ზოგიერთ ოჯახში, ცალკეულ სკოლებში და ფაბრიკა-ქარხნებში აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებანი, მოზარდის შრომითი საქმიანობის ორგანიზაციის მოუწყობილობა, უფროსების ცუდი ქცევის უარყოფითი გავლენა, მოსწავლეთა კულტურული დასვენების სუსტი ორგანიზაცია და სხვა.

სსრ კავშირში უხსოვარი არბიტრაჟების გადაწყვეტილებათა ხმოვნისა და აღსრულების საკითხისათვის

დ. აგბინი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 63-ე მუხლი ითვალისწინებს სსრ კავშირში სხვა სახელმწიფოთა არბიტრაჟების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილების აღსრულებას უცხო სახელმწიფოებთან იმ შეთანხმებების ან საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, რომელთა მონაწილეც არის სსრ კავშირი. „საფუძვლებით“ დადგენილია სამი წლის ვადა, რომლის განმავლობაშიც უცხოეთის არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიძლება წარდგენილ იქნას იძულებით აღსრულებისათვის. ეს ვადა იანგარიშება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

„საფუძვლების“ შესაბამისად შემუშავებული მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები ამ საკითხზე არავითარ სხვა დადგენილებებს არ შეიცავენ.

სსრ კავშირი მონაწილეა კონვენციისა — „უცხოეთის არბიტრაჟების გადაწყვეტილებათა ცნობისა და სისრულეში მოყვანის შესახებ“¹, რაც მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციის მიერ ნიუ-იორკში 1958 წლის 10 ივნისს.

არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა (მუდმივმოქმედი სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებათა)² ცნობისა და აღსრულების წესები გვხვდება უმთავრესად სავაჭრო ხელშეკრულებებში, რომლებიც დადებულია სსრ კავშირის მიერ რიგ სახელმწიფოებთან, კერძოდ ხელშეკრულებებში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასთან, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასთან, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ვიეტნამის

1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულებით მოახდინა კონვენციის რატიფიკაცია შემდეგი დაქმნით, რომ სსრ კავშირი გამოიყენებს ამ კონვენციის დებულებებს იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა მიმართ, რომლებიც გამოტანილია ამ კონფერენციის არმონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, მხოლოდ სანაცვალგებო პირობების საფუძველზე (იხ. Ведомости Верховного Совета СССР 1960 г. № 32). კონვენციის 12 მუხლის, 1 პ. შესაბამისად იგი საბჭოთა კავშირისათვის ძალაში შევიდა 1960 წლის 22 ნოემბერს. კონვენციას უკუქცევითი ძალა აქვს.

2 სსრ კავშირში ეს არის სამოქალაქო-სამართლებრივი დავების გადაწყვეტისათვის საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი საზღვაო საარბიტრაჟო კომისია და საგარეო ვაჭრობის საარბიტრაჟო კომისია საკავშირო სავაჭრო პალატასთან. დასახელებული სამედიატორო სასამართლოები არსებითად განსხვავდებიან არბიტრაჟებისაგან, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციები-საგან, რომლებიც ჩამოყალიბებული არიან სსრ კავშირში სამეურნეო კავშირების, სახელშეკრულებო დისციპლინის განსამტკიცებლად და სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის ქონებრივი დავების გადასაწყვეტად, რომლებიც წარმოიშებიან შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობებისაგან საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების გამო.

დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან და ასევე დანიასთან, შვეციასთან, ნორვეგიასთან, ავსტრიასთან, ფინეთთან, იტალიასთან, მაროკოსთან და სხვა სახელმწიფოებთან. დასახელებული აქტების შესაბამისად მხარეებმა იკისრეს ვალდებულებანი მოახდინონ არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა ურთიერთ აღსრულება დავებზე, რომლებიც წარმოიშებიან საგარეო სავაჭრო გარიგებებიდან.

არბიტრაჟის გადაწყვეტილებები აღსრულებიან იმ სახელმწიფოს კანონების შესაბამისად, რომლითაც ნებადართულია მათი აღსრულება (კონვენციის III მუხლი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1958 წლის 10 ივნისის კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოები, რომლებმაც მას ხელი მოაწერეს, შეთანხმდნენ იცნონ ასევე წერილობითი შეთანხმებები დავების სამედიატოროსა და მართლოზე (არბიტრაჟის) განსახილველად გადაცემის შესახებ. ამ შემთხვევებში არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები აღსრულებული უნდა იქნან როგორც სავალდებულონი.

კონვენციის V მუხლის 1 და 2 პუნქტების შესაბამისად არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა დასაშვებია მხარის თხოვნით, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება, შემდეგ შემთხვევებში:

— უკეთუ მოპასუხეს არ ეუწყა არბიტრის დანიშნისა ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ, ან სხვა მიზეზების გამო ვერ შეძლო საქმეზე ახსნა-განმარტების წარდგენა;

— უკეთუ გადაწყვეტილება გამოტანილია დავაზე, რომელზეც არ ვრცელდება საარბიტრაჟო შეთანხმების პირობები;

— უკეთუ არბიტრაჟის შემადგენლობა არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას ან საარბიტრაჟო პროცესი — იმ სახელმწიფოს კანონს, სადაც ადგილი ჰქონდა საარბიტრაჟო განხილვას;

— უკეთუ გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ან იყო გაუქმებული ან აღსრულებით შეჩერებული იმ სახელმწიფოს კანონების თანახმად, რომელშიაც იგია გამოტანილი.

არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შეიძლება აგრეთვე უარის თქმა იმ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერაც, რომელსაც ეთხოვა გადაწყვეტილების აღსრულება: 1. როცა დავის ობიექტი არ შეიძლება იყოს არბიტრაჟის განხილვის საგანი; 2. უკეთუ არბიტრაჟის გადაწყვეტილება იმ სახელმწიფოს კანონის საფუძველზე, სადაც იგია გამოტანილი, არ შესულა კანონიერ ძალაში; 3. ან როდესაც არბიტრაჟის გადაწყვეტილება არღვევს სახელმწიფოს სუვერენიტეტს და ემუქრება მის უშიშროებას. მოცემული ნუსხა საფუძველებისა, რომლებიც აქარწყლებენ არბიტრაჟის გადაწყვეტილებას ამომწურავია.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს წესებს, თუ რომელი სასამართლო ინსტანციაა კომპეტენტური უცხო არბიტრაჟების გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების საქმეში, როგორი საპროცესო წესით ხდება ამ ამ გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება, ექვემდებარებიან თუ არა გასა-

ჩივრებს სასამართლო განჩინებანი გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ და რა წესით.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უცხოური არბიტრაჟის გადაწყვეტილებები ექვემდებარებიან იძულებით აღსრულებას იმ წესით, რაც დადგენილია სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის.¹

ეს მოსაზრება არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების დადგენილებები სამედიატორო ხელწერილებისა და გადაწყვეტილებების შესახებ მიღებული იყო იმ სამოქალაქო-სამართლებრივი დავების სამედიატორო განხილვის მოსაწესრიგებლად, რომლებიც წარმოიშვებიან მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე. მხედველობაში არ იყო მიღებული უცხოური არბიტრაჟების გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება. კერძოდ, იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1926 წლის 7 ივნისის ცირკულარში „სსრ კავშირსა და გერმანიას შორის 1925 წლის 12 ოქტომბრის სავაჭრო და სხვა სამოქალაქო საქმეებზე სამედიატორო სასამართლოების შესახებ შეთანხმების გამოყენებისათვის“ განმარტებული იყო, რამდენადაც შეთანხმება წარმოადგენს სპეციალურ კანონს, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების მოთხოვნები სამედიატორო სასამართლოების მიმართ, ამ შემთხვევებში არ გამოიყენება. ცირკულარი ითვალისწინებდა იძულებითი აღსრულების შესახებ მოთხოვნათა დაქვემდებარებას იმ სასამართლოზე, რომელსაც დაექვემდებარებოდა არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილი საქმე. იგი განსაზღვრავდა იძულებითი აღსრულების საკითხის გადაწყვეტის წესს, აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდევინებას, შესაძლებლად მიაჩნდა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაზე უარისთქმის გამო განჩინების გასაჩივრება, რითაც არაპირდაპირ გამორიცხავდა უცხოური არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულებაზე სასამართლოს განჩინების გასაჩივრებას.²

შემდეგ, სამედიატორო სასამართლოს მთელი საქმისწარმოება მისი დამთავრებისთანავე წარედგინება შესანახად სახალხო სასამართლოს, რომლის სამოქმედო რაიონშიაც წარმოებდა სასამართლო განხილვა. იმ შემთხვევაში, როდესაც სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება სავალდებულოა, სახალხო სასამართლო გაცემს აღმასრულებელ ფურცელს. სავსებით ცხადია, რომ შეუძლებელია სახალხო სასამართლოში უცხოური არბიტრაჟის მთელი საქმისწარმოების წარდგენა.

დასასრულ, ყოველივე ეს დასტურდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 58-ე და 63-ე მუხლების შედარებითი ანალიზი: პირველში — კანონმდებელმა განსაზღვრა აგრეთვე სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულება, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ქვეყნის შიგნით, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის დადგენილი წესით, მეორეში კანონმდებელი მოითხოვს სსრ კავშირში უცხოური სასამართლოებისა და არბიტრაჟების გადაწყვეტილება-

¹ იხ. მგალითად, სტატია Т. Е. Усенко. „Международный торговый арбитраж в СССР, რაც გამოქვეყნებულია კრებულში—Union International des Avocats, Arbitrage International Commercial, Hague, 1960, p. 232.

² იხ. „Еженедельник советской юстиции“ 1926 г. № 25, გვ. 796.

თა აღსრულებას სსრ კავშირის უცხო სახელმწიფოებთან შეთანხმებებისა და საერთაშორისო კონვენციათა შესაბამისად, რომელთა მონაწილეც არის სსრ კავშირი.

ჩვენი აზრით, სსრ კავშირში იმ სოციალისტური სახელმწიფოების არბიტრაჟების გადაწყვეტილებების (როგორც სასამართლო გადაწყვეტილებებთან გათანაბრებული აქტების) ცნობა და აღსრულება, რომელთა მიერაც რატიფიცირებულია ნიუ-იორკის 1958 წლის 10 ივნისის კონვენცია და რომლებთანაც საბჭოთა კავშირს დადებული აქვს ხელშეკრულებები სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ¹, შეიძლება წარმოებდეს იმ წესით, რაც დადგენილია ამ სახელმწიფოთა სასამართლოების გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულებით „იმ სახელმწიფოთა სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულების წესის შესახებ, რომლებთანაც სსრ კავშირს დადებული აქვს ხელშეკრულებები სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ“².

სხვა სახელმწიფოთა არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების წესი, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიკაცია, მიზანშეწონილია მოწესრიგდეს ნორმატული აქტით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 63-ე და 74-ე მუხლებით, კონვენციის III მუხლისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად.

¹ იხ. „Договоры об оказании правовой помощи по гражданским, семейным и уголовным делам, заключенные Советским Союзом в 1957—1958 г. г.“ Госюриздат 1959 г. ხელშეკრულება აუგოსტოვის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკასთან დადებულია 1962 წელს და შევიდა ძალაში 1963 წლის 26 მაისს იხ. „Ведомости Верховного Совета СССР“ 1963 г., № 21, стр. 236 და № 14, стр. 165.

² „Ведомости Верховного Совета СССР“ 1958 г. № 23, стр. 345.

საკონსტიტუციო კომისიის ზომიერადი საკითხი ახალი სამოქალაქო კანონმდებლობით

გ. ღვებარიაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი არ შეიცავდა საკონსტიტუციო კომისიის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს. საკონსტიტუციო კომისიის საკითხების რეგულირება ძირითადად ხდებოდა 1924 წელს მიღებული საქართველოს სსრ მიწის კოდექსით. იგი უმთავრესად ემსახურებოდა ერთპიროვნული გლეხური კერძო მეურნეობის უფლებრივი მდგომარეობის მოწესრიგებას და ცხადია სათანადოდ ვერ წყვეტდა იმ საკითხებს, რომლებიც წამოიჭრებოდა საკონსტიტუციო კომისიის სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში.

სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის მე-12 თავი (122-ე მუხლიდან 130-ე მუხლის ჩათვლით) მიეძღვნა საკონსტიტუციო და ერთპიროვნული გლეხური კომისიის სამართლებრივი ურთიერთობის საკითხებს.

კოდექსის 122-ე მუხლით, საკონსტიტუციო კომისიის საკუთრება ცნობილია კომისიის წევრების თანახმად, არაწილურად საკუთრებად.

ამავე მუხლში ჩამოთვლილია თუ რა ქონება შეიძლება იყოს საკონსტიტუციო კომისიის საკუთრების ობიექტი. საკონსტიტუციო კომისიის საკუთრებაში შეიძლება ქონდეს დამხმარე მეურნეობა თავის სარგებლობაში არსებულ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელი სახლი, პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი და წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო კომისიის საკუთრებაში შედის კომისიის წევრების შრომითი შემოსავალი კონსტიტუციო კომისიის საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობისაგან ან მათ მიერ კომისიის საკუთრებაში გადაცემული სხვა ქონება, აგრეთვე საერთო სახსრებით შექმნილი საოჯახო და პირადი მოხმარების საგნები.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-7 მუხლის შესაბამისად, კონსტიტუციო კომისიის წევრად შესვლა შეუძლია ყველა მშრომელს, როგორც ქალს ისე მამაკაცს, რომელთაც თექვსმეტი წელი შეუსრულდათ.

თექვსმეტი წელს მიღწეული კონსტიტუციო კომისიის წევრი დანარჩენ სრულწლოვან წევრებთან თანაბარი უფლებით მონაწილეობს კონსტიტუციო კომისიის საზოგადოებრივ-სამეურნეო საქმიანობაში და ქმედუნარიანია არტელის წესდების საფუძველზე წარმოშობილი უფლებრივი ურთიერთობის და შრომაძღვრებზე კუთვნილი გასამჯელოს განკარგვის თვალსაზრისით. მიწის კოდექსით და დღეისათვის მოქმედი სხვა სამართლებრივი ნორმებით არ არის გათვალისწინებული 16 წელს მიღწეული კონსტიტუციო კომისიის წევრის ქმედუნარიანობა საკონსტიტუციო კომისიაში, კომისიის ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის თვალსაზრისით.

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 75-ე მუხლში ლაპარაკია მარტოაღენ კომლის ქონების გაყოფის მოთხოვნის უფლებაზე, რასაც მოიპოვებენ მხოლოდ 18 წლის ასაკს მიღწეული პირები.

ამდენად არსებობს გარკვეული შეუსაბამობა იმ უფლებებსა, რაც კოლმეურნეობის თექვსმეტ წელს მიღწეულ წევრებს აქვთ სრულწლოვან წევრთა თანაბრად კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი წარმოების პროცესში და კომლის სრულწლოვან წევრებთან შედარებით უფლებდობას შორის, კომლის ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის სფეროში.

ახლა როდესაც საკოლმეურნეო კომლის პირადი დამხმარე მეურნეობა არ წარმოადგენს დამოუკიდებელი ხასიათის ერთპიროვნულ, კოლექტიური საზოგადოებრივი მეურნეობისაგან იზოლირებულ მეურნეობას, კომლის შიგნით მისი წევრების სამეურნეო-შრომითა კავშირმა, რასაც არსებითი მნიშვნელობა ქონდა ერთპიროვნული საგლეხო კომლისათვის, საკოლმეურნეო კომლში დაკარგა ეს მნიშვნელობა. მის ნაცვლად განმტკიცდა კოლმეურნეო ოჯახის წევრთა შრომითი კავშირი, კომლის გარეთ, კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში, სიდანაც ისინი დებულობენ ძირითად შემოსავალს.

ეს შეუსაბამობა გამოსწორებული იქნა სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსით.

კოდექსის 123-ე მუხლის მიხედვით საკოლმეურნეო კომლის ქონების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება კომლის ყველა წევრის თანხმობით. დავას საკოლმეურნეო კომლის ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის შესახებ სასამართლო წყვეტს კომლის იმ წევრების სარჩელის საფუძველზე, რომლებმაც თექვსმეტი წლის ასაკს მიაღწიეს.

კომლის წევრებს თხუთმეტიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ასეთი სარჩელების აღძვრის უფლება აქვთ მშობლების, შვილად ამყვანების ან მზრუნველების თანხმობით, კომლის იმ წევრების ინტერესების დასაცავად, რომელნიც თხუთმეტი წლის ასაკის არ არიან, სარჩელებს აღძრავენ მათი მშობლები, შვილად ამყვანნი ან მეურვეები.

მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენს საკოლმეურნეო კომლის და მისი ცალკეული წევრის პასუხისმგებლობის ერთიან წესს მათ მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის.

კომლის, როგორც სუბიექტის ვალდებულებანი, იყოფა ორ ძირითად ნაწილად: ვალდებულებანი წარმომობილი კანონით და ვალდებულებანი წარმომობილი ხელშეკრულებით. პირველ შემთხვევაში, კომლის ვალდებულებანი წინასწარ დადგენილია კანონით (სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა, კონტრაქტაციის ხელშეკრულება, საშემოსავლო გადასახადი და სხვა). როგორც წესი, კანონით წარმომობილ ვალდებულების სუბიექტად გვევლინება მთლიანად კომლი.

მეორე შემთხვევაში, ხელშეკრულებით წარმომობილი ვალდებულების დროს, ვალდებულების სუბიექტის დადგენა გარკვეულ სირთულესთანაა დაკავშირებული, რაც იმითაა გამოწვეული, რომ კომლის მეთაური უფლებამოსილია კომლის წევრთა თანხმობის გარეშე და მათი სახელით დადოს კანონით ნებადართული გარიგებანი და კომლის სახელითვე იკისროს ამ გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება.

ასევე კომლის დანაზრჩენი წევრებიც, როგორც პირადი საკუთრების მქონე სუბიექტები, უფლებამოსილი არიან კომლის დამოუკიდებლად გამოვიდნენ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში, თავიანთი სახელით დადონ გარიგე-

ბანი და თვითონვე იკისრონ ამ გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებებს შესრულება.

შესაძლოა კომლის სახელით დადებული გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებების სუბიექტად გამოვიდეს არა კომლი, რომლის სახელითაც გარიგებაა დადებული, არამედ უშუალოდ გარიგების დამდები პირი ან პირიქით, კომლის წევრის მიერ დადებულ გარიგებაში, ვალდებულების სუბიექტად გამოვიდეს მთლიანად კომლი. იმის დასადგენად თუ ვინ გვევლინება ვალდებულების სუბიექტად, კომლი თუ მისი ცალკეული წევრი, საკმარისი არ არის მარტოდენ გარიგების ფორმა და შინაარსი. სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 124-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების სუბიექტის უმთავრეს განმსაზღვრელად უნდა ჩაითვალოს თუ ვისი ინტერესებისათვის იქნა გარიგება დადებული კომლის თუ მისი ცალკეული წევრის.

კომლის ინტერესისათვის დადებულ გარიგებაზე პასუხს აგებს საკოლმეურნეო კომლი თავისი ქონებით, ხოლო კომლის წევრები პასუხს აგებენ თავიანთ ვალდებულებებზე პირადი ქონებით, აგრეთვე თავისი წილით კომლის ქონებაში.

კოდექსის აღნიშნული მუხლით, საკოლმეურნეო კომლის წევრის ბოროტ-მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნას კომლის ქონებაზე, თუ სასამართლოს განაჩენით დადგენილია, რომ ეს ქონება შეძენილია ან გაზრდილია დანაშაულებრივი გზით მოპოებული სახსრებით.

საკოლმეურნეო კომლის ქონების ნუსხას, რომელზედაც არ შეიძლება მიქცეულ იქნას გადახდევინება სააღსრულებო საბუთებით, ადგენს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი. კერძოდ, ამ კოდექსის № 1-დანართის მე-11 მუხლის მიხედვით სააღსრულებო საბუთებით, კომლის საერთო ქონებაში მოვალის წილზე ან ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობაზე გადახდევინების მიქცევის შემთხვევაში, წილის ოდენობა განისაზღვრება მას შემდეგ როცა ამ ქონებიდან გამოირიცხება: საცხოვრებელი სახლი, რომელშიდაც კომლის წევრები ცხოვრობენ, სამეურნეო ნაგებობა, თესლეული, რაც აუცილებელია მორიგი თესვისათვის, ერთი ძროხა, ხოლო თუ ძროხა არ არის ერთი დეკეული, საკოლმეურნეო კომლში კი, აგრეთვე ცხვრები, თხვები, ღორები და შინაური ფრინველი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით დადგენილი ნორმის ნახევრის ფარგლებში და საკვები, რომელიც აუცილებელია დარჩენილი პირუტყვისათვის.

კომლის საერთო ქონებიდან კომლის წევრის წილის განსაზღვრის ორი სახე არსებობს: ნებაყოფლობითი, როდესაც კომლის წევრი თავის სურვილით აადგენს კომლიდან გამოყოფას ან გაყოფას და იძულებითი, როდესაც კომლის წევრის სურვილის წინააღმდეგ ხდება კომლიდან ქონების გამოყოფა, კომლის წევრის პირადი ვალდებულების გამო გადახდევინების მიქცევის მიზნით.

საკოლმეურნეო კომლის წევრთა ოჯახური, ნათესაური კავშირი და სამეურნეო საქმიანობის ერთობლივად წარმართვა, როგორც კოლმეურნეობაში ისე პირად დამხმარე მეურნეობაში, ქმნის კომლის შიგნით უფლებრივი ურთიერთობის განსაკუთრებულ წყობას, რომელიც განაპირობებს კომლის ქონებაზე წევრთა თანასწორუფლებიანობას არასრულწლოვანებისა და შრომისუუნარობის ჩათვლით.

კომლის შინაგანი წყობის ეს ძირითადი პრინციპი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1943 წლის 29 ივლისის № 14 (მ) 11 უ დადგენილ-

ბის („სახალხო სასამართლოების მიერ კოლმეურნე და ერთპიროვნული გლეხთა კომლის გაყოფის და ქონების გამოყოფის საქმეების განხილვის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც კომლის წევრი იმყოფება წითელ არმიასი ან სამხედრო საზღვაო ფლოტში“) გამოცემამდე და ნაწილობრივ მის შემდეგაც მექანიკურად არის გამოტანილი სასამართლო (მათ შორის ამხანაგური სასამართლო) პრაქტიკაში. კომლის წევრისათვის მისაკუთრებული ქონების განსაზღვრის დროს მხედველობაში არ არის მიღებული მისი შრომითი ან ფულადი სახსრებით მონაწილეობა კომლის მეურნეობაში.

ამ დებულებებმა შემდგომი საკანონმდებლო განვითარება ჰპოვა სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 125-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც აღიარებულია საკოლმეურნეო კომლის ქონების მიმართ კომლის ყველა წევრის თანასწორუფლებიანობის პრინციპი არასრულწლოვანთა და შრომისუუნარობის ჩათვლით. ამავე დროს საკოლმეურნეო კომლის შრომისუუნარიანი წევრის წილი შეიძლება შემცირებული იქნეს თუ იგი არახანგრძლივი დროით იმყოფებოდა საკოლმეურნეო კომლის შემადგენლობაში, ან უმნიშვნელო მონაწილეობა მიიღო პირადი შრომით ან ფულადი სახსრებით კომლის მეურნეობაში.

სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 126-ე მუხლით განსაზღვრულია თუ რას წარმოადგენს კომლის შემადგენლობიდან ერთი ან რამდენიმე წევრის გასვლა ახალი კომლის შეუქმნელად. ამავე დროს გათვალისწინებულია ღონისძიებანი კომლის მეურნეობის დაქუცმაცების წინააღმდეგ, მისი სამეურნეო ძლიერების შესანარჩუნებლად. კომლის შემადგენლობიდან წევრის გასვლისას წილის ნატურით გამოყოფა უნდა წარმოებდეს იმ ვარაუდით, რომ კომლს არ ჩამოერთვას დამხმარე მეურნეობის საწარმოებლად საჭირო ნაგებობანი, პირუტყვი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

კომლის წევრისათვის კუთვნილი წილის ნატურით გამოყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულია ქონების ფულადი კომპენსაცია.

კომლის ქონების გაყოფა გულისხმობს ერთი კომლის ნაცვლად ორი ან რამდენიმე კომლის შექმნას, რაც დაკავშირებულია კოლმეურნეობის მხრივ ახლად შექმნილი კომლისათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან. აღნიშნული გარემოება ქმნიდა კანონით გადაუწყვეტელი დავების წარმოშობის შესაძლებლობას. ხშირად კომლის წევრი, რომელიც კოლმეურნე არ იყო, ითხოვდა საკარმიდამო ნაკვეთის ხელყოფას.

ეს შეუსაბამობა გამოსწორებულია სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 127-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც საკოლმეურნეო კომლის გაყოფის მოთხოვნის უფლება აქვთ კომლის სრულწლოვან წევრებს, რომელნიც კოლმეურნეობის წევრები არიან.

თუ სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 123-ე-126-ე მუხლების შესაბამისად საკოლმეურნეო კომლის ქონების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის, აგრეთვე კომლიდან ქონების გამოყოფის დამოუკიდებელი უფლება ენიჭებათ კომლის იმ წევრებს რომლებმაც თექვსმეტი წლის ასაკს მიაღწიეს. ამავე კოდექსის 127-ე მუხლით საკოლმეურნეო კომლის გაყოფის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ კომლის სრულწლოვან წევრებს.

საკოლმეურნეო კომლის გაყოფის დამოუკიდებელი უფლების მინიჭება კომლის სრულწლოვანი წევრისათვის, სავსებით გამართლებულია, რამდენადაც საკოლმეურნეო კომლის გაყოფის დროს შექმნილი ახალი კომლი, როგორც

დამხმარე მეურნეობის რთული, საოჯახო შრომითი გაერთიანება სრულყოფილი პირის ხელმძღვანელობას მოითხოვს.

სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 128-ე მუხლის შესაბამისად კომლის სრულყოფილებიანი წევრი კომლის ქონებაზე უფლებას კარგავს თუ მას სამი წელიწადი ზედიზედ არ მიუღია მონაწილეობა თავისი შრომით ან სახსრებით კომლის მეურნეობაში.

ეს წესი არ გამოიყენება იმ წევრების მიმართ, რომლებიც არ მონაწილეობენ მეურნეობაში ვადიანი სამხედრო სამსახურში გაწვევის, სასწავლო დაწესებულებაში სწავლის ან ავადმყოფობის გამო.

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მოქმედი 49-ე მუხლის შენიშვნა, გარდა ზემოთ გათვალისწინებული სამი შემთხვევისა, რომლებიც კომლის წევრს უფლებას უნარჩუნებს კომლის ქონებაზე, ითვალისწინებს აგრეთვე კომლის წევრის არჩევით თანამდებობაზე არჩევას, რაც ახალი კოდექსით არ არის გათვალისწინებული.

მთელი რიგი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად (სამრეწველო ქალაქების ზრდასთან დაკავშირებით, ზოგიერთი სოფლის ქალაქთან მიერთება, ქალაქის ფარგლებში არსებული კოლმეურნეობების მიწების ქალაქის საჭიროებისათვის გადაცემა და სხვა) საკოლმეურნეო კომლის წევრები წყვეტენ სამეურნეო სამიწათმოქმედო საქმიანობას, რითაც კომლი კარგავს მისთვის აუცილებელ და ძირითად განმსაზღვრელ ნიშანს (სამეურნეო სამიწათმოქმედო საქმიანობა) და იქცევა ჩვეულებრივ მუშა-მოსამსახურის ოჯახად, ე. ი. კომლი სწყვეტს თავის არსებობას.

აღრე მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავდა სამართლებრივ ნორმებს თუ რა წესით უნდა მომხდარიყო ქონების გაყოფა საკოლმეურნეო კომლის შეწყვეტის შემდეგ.

აღნიშნულმა საკითხმა სათანადო გადაწყვეტა ჰპოვა სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 129-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც „გაყოფა საკოლმეურნეო კომლის კუთვნილი ქონებისა რომელიც მისი შეწყვეტის შემდეგ დარჩა წარმოებას ამა კოდექსის 125-ე და 128-ე მუხლების წესებით“ ე. ი. ყველა იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია საკოლმეურნეო კომლის ქონებიდან წილის გამოყოფის დროს. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 129-ე მუხლი აწესრიგებს კომლის ქონების გაყოფას, კომლის ყოფილ წევრებს შორის კომლის შეწყვეტის და არა კომლის გადაშენების შემთხვევაში.

სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 130-ე მუხლში შემდგომი საკანონმდებლო აღიარება ჰპოვა ერთპიროვნული საგლეხო კომლის საკუთრებამ, როგორც კომლის წევრების თანაზიარმა საკუთრებამ.

განსაზღვრულია ქონება რაც შეიძლება იყოს ერთპიროვნული საგლეხო კომლის და მის ცალკეულ წევრთა პირად საკუთრებაში.

მითითებულია იმ სამართლებრივ ნორმებზე (სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 112 და 123-129 მუხლები), რაც ერთნაირად შეიძლება შეეფარდოს, როგორც საკოლმეურნეო ისე ერთპიროვნულ გლეხურ კომლს, რითაც განსაზღვრულია ის მსგავსება და განსხვავება საერთოდ და კერძოდ სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით, რაც საკოლმეურნეო და ერთპიროვნულ საგლეხო კომლებს შორის არსებობს. თუ კომლის არსებობა შეწყდება კომლის ერთადერთი და უკანასკნელი წევრის გარდაცვალების გამო, ასეთ შემთხვევაში გა-

დაშენებული კომლის ქონების ბედი გადაწყდება სამემკვიდრეო სამართლის ნორმების შესაბამისად.

საკოლმეურნეო კომლში ორი სახის საკუთრების (კომლის საერთო საკუთრება და ცალკეულ წევრთა პირადი საკუთრება) და აქედან საკუთრების უფლების ორი სუბიექტის (კომლი და ცალკეული წევრები) არსებობა განაპირობებს კომლში მემკვიდრეობის უფლების თავისებურებას და კომლის შიგნით მემკვიდრეობის საკითხის არა ერთგვარად გადაწყვეტას.

მანამ, სანამ კომლი განაგრძობს არსებობას, როგორც უფლების სუბიექტი, კომლის წევრებიდან რომელიმეს გარდაცვალების შემთხვევაში კომლის საერთო ქონება სამემკვიდრეოდ არ გაიხსნება და გარდაცვალებულის წილი მემკვიდრეებზე გადასაცემად საერთო ქონებიდან არ გამოიყოფა.

ხოლო იმის გამო, რომ კომლის წევრის გარდაცვალებით, კომლში შეწყვეტა არსებობა პირადი საკუთრების უფლების სუბიექტმა, გარდაცვალებული წევრის პირადი საკუთრების ქონება არ გადადის კომლის საერთო ქონებაში და იგი გადაეცემა მემკვიდრეებს კანონით დადგენილი წესისამებრ.

კომლის ქონება სამემკვიდრეოდ გადაეცემა კომლის ერთადერთი და უკანასკნელი წევრის გარდაცვალების ე. ი. კომლის გადაშენების შემდეგ. კომლში მემკვიდრეობის შესახებ აღნიშნულმა დებულებებმა თავისი შემდგომი საკანონმდებლო ასახვა ჰპოვა სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 569-ე მუხლში.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში უკანასკნელ ხანს გამოთქმული მოსაზრებანი საკოლმეურნეო სამართლის დამოუკიდებელ დარგად ცნობის საწინააღმდეგოდ არ იქნა გაზიარებული (ე. ი. პაშერსტნიკი, მ. დ. შარგოროდსკი, თ. ს. იოფე, ვ. ს. თადეოსიანი): საკოლმეურნეო კომლი, რომლის არსებობაც განპირობებულია კოლმეურნეობის არსებობით, იყო და არის საკოლმეურნეო სამართლის ინსტიტუტი და ის ფაქტი, რომ საკოლმეურნეო კომლის საკუთრების და სხვა სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები შეტანილია ახალ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ამ მხრივ მდგომარეობას არ ცვლის, ვინაიდან საკოლმეურნეო კომლის ქონება წარმოადგენს საერთო საკუთრების ფორმას და სავსებით ბუნებრივია მისი განსაზღვრა სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმებით.

აუცილებელია შეივსოს კანონის ხაკვეზი

შ. ლავკიოვილი

პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როცა სამართალში მიცემული უარს აცხადებს მისი ბრალდების საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე და მოითხოვს ციხეში დაბრუნებას ან არ გამოდის ციხიდან.

უმეტესად ეს ხდება იმ დროს, როდესაც სამართალში მიცემული განაწყენებულია გამოძიებით ან სასამართლოს შემადგენლობის აცილების სურვილით. როგორ მოიქცეს სასამართლო? დაუსწრებელი განაჩენის გამოტანის უფლება მას არა აქვს. სამართალში მიცემულის მოთხოვნის დაკმაყოფილება კი კანონსაწინააღმდეგოა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამაზე გარკვეულ პასუხს არ იძლევა.

I

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო წარმოების საფუძვლების 39-ე მუხლის თანახმად:

„საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სამსჯავრო სხდომაზე წარმოებს სამართალში, მიცემულის მონაწილეობით, რომლის გამოცხადება სასამართლოში სავალდებულოა. საქმის განხილვა სამართალში მიცემულის დაუსწრებლად დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებსაც კანონი განვებობდ ითვალისწინებს“.

ამგვარად: 1) როგორც წესი, საქმე განხილული უნდა იქნეს სამართალში მიცემულის მონაწილეობით; 2) სამართალში მიცემულის დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და ეს კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული.

არა მარტო „საფუძვლები“, არამედ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებიც არ იძლევიან ამომწურავ პასუხს მოცემულ საკითხზე.

სამართალში მიცემულის მონაწილეობა მისი ბრალდების საქმის განხილვაში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის პროცესში ცალკე თავადაა გამოყოფილი.

მოკავშირე რესპუბლიკების სსს კოდექსები აუცილებლად ცნობენ სამართალში მიცემულის მონაწილეობას საქმის განხილვაში, მაგრამ სხვადასხვაგვარად განმარტავენ განსაკუთრებულ შემთხვევებს, როცა დაუსწრებლად შეიძლება განაჩენის გამოტანა.

პირობით, მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

ა) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები — უკრაინის სსრ (მუხ. 262), საქართველოს სსრ (მუხ. 250), უზბეკეთის სსრ (მუხ. 225), აზერბაიჯანის სსრ (მუხ. 263), სომხეთის სსრ (მუხ. 239), ესტონეთის სსრ (მუხ. 208);

ბ) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები — ყირგიზეთის სსრ (მუხ. 241), ლატვიის სსრ (მუხ. 247), მოლდავეთის სსრ (მუხ. 216), ლიტვის სსრ (მუხ. 266), ყაზახეთის სსრ (მუხ. 228), ბელორუსიის სსრ (მუხ. 245), თურქმენეთის სსრ (მუხ. 252);

გ) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები: რსფსრ (მუხ. 246) და ტაჯიკეთის სსრ (მუხ. 246).

„ა“ ჯგუფში მოხსენებულ რესპუბლიკებს სსსკ მიხედვით სამართალში მიცემულთა დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ ორ შემთხვევაში:

1) როცა სამართალში მიცემული იმყოფება სსრ კავშირის საზღვრებს გარეთ და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას;

2) როცა საქმე ეხება ისეთ დანაშაულს, რისთვისაც არ შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა და სამართალში მიცემული შუამდგომლობს მის დაუსწრებლად განიხილონ საქმე. სასამართლოს ამასთან უფლება აქვს ცნოს სამართალში მიცემულის გამოცხადება სავალდებულოდ.

„ბ“ ჯგუფში მოხსენებულ რესპუბლიკების სსსკ მიხედვით სამართალში მიცემულის დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ ერთ შემთხვევაში: როცა სამართალში მიცემული იმყოფება სსრ კავშირის საზღვრებს გარეთ და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას.

„გ“ ჯგუფში მოხსენებული რესპუბლიკებიდან რსფსრ სსსკ 246 მუხლის საფუძველზე სამართალში მიცემულის დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია ორ შემთხვევაში: 1) როცა სამართალში მიცემული იმყოფება საზღვარგარეთ და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, 2) როცა სასჯელის ზომა არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

რაც შეეხება ტაჯიკეთის სსრ სსს კოდექსს (მუხ. 246) სამართალში მიცემულის დაუსწრებლად საქმის განხილვა მას დასაშვებად მიაჩნია, როცა სამართალში მიცემული იმყოფება სსრ კავშირის საზღვრებს გარეთ, თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას და ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა ეს ხელს არ უშლის ჭეშმარიტების დადგენას, მაგრამ სსს კოდექსში არ არის განმარტებული განსაკუთრებული შემთხვევები და მისი განსაზღვრა, ალბათ, ეკისრება თვით საქმის განმხილველ სასამართლოს.

2.

ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივია, დგება საკითხი: რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს სამართალში მიცემულის გამოუცხადებლობას, როცა გამოცხადება სავალდებულოა?

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები ერთგვაროვნად არ წყვეტენ ამ საკითხსაც.

მოკავშირე რესპუბლიკების სსს კოდექსთა უმრავლესობა ძირითადად ემყარება ერთსა და იგივე თვალსაზრისს.

რსფსრ (მუხ. 247), ბელორუსიის სსრ (მუხ. 246), უზბეკეთის სსრ (მუხ. 246), ყაზახეთის სსრ (მუხ. 247), საქართველოს სსრ (მუხ. 269), აზერბაიჯანის სსრ (მუხ. 286), ლიტვის სსრ (მუხ. 292), ყირგიზეთის სსრ (მუხ. 242), ტაჯიკეთის სსრ (მუხ. 247), თურქმენეთის სსრ (მუხ. 275), ესტონეთის სსრ (მუხ. 209), სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების თანახმად, სამართალში მიცემულის გამოუცხადებლობისას სასამართლო გადასდებს საქმის განხილვას, იმ გამონაკლისის გარდა, რაც გათვალისწინებულია სსსკ ზემოაღნიშნული მუხლებით.

ამასთანავე სასამართლოს შეუძლია იძულებით მოიყვანოს სამართალში მიცემული, აგრეთვე მის მიმართ შეარჩიოს ან შეცვალოს აღკვეთის ზომა.

სომხეთის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ არის ცალკე მუხლი სამართალში მიცემულის გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ, მაგრამ ეს მოხსენებულია სსსკ 239-ე მუხლში ისეთივე სახით, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსს კოდექსებში.

უკრაინის სსრ სსსკ 288-ე მუხლი და ლატვიის სსრ სსსკ 248-ე მუხლი ზემოაღნიშნული ზომების გარდა, ითვალისწინებენ აგრეთვე სამართალში მიცე-

მულს დაეკისროს იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც გამოწვეული იყო სხლომის გადაღებით.

რაც შეეხება მოლდავეთის სსრ სსსკ 289 მუხლს სამართალში მიცემულთა კანონიერი წარმომადგენლების გამოუცხადებლობა ვერ შეაჩერებს საქმის განხილვას თუ სასამართლო მათ მონაწილეობას არ სცნობს აუცალღებლად.

ამგვარად, ზემონათქვამის შეჯამებით შეგვიძლია. მივიღოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

- ა) სამართალში მიცემულის გამოცხადება სავალდებულოა;
- ბ) სამართალში მიცემულის დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია თუ ის იმყოფება სსრ კავშირის საზღვრებს გარეთ და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, აგრეთვე მაშინაც, თუ მას არ მოეწონება თავისუფლების აღკვეთის მისჯა;
- გ) სასამართლოს შეუძლია, თუ სამართალში მიცემული არ ცხადდება, იგი იძულებით მოიყვანოს ან შეუცვალოს მას აღმკვეთი ღონისძიება.

3.

სამართალში მიცემულის დაუსწრებლად საქმის განხილვის შესაძლებლობის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების შესწავლით უდავოდ ჩანს მათი უსრულობა.

არის შემთხვევები, როცა სამართალში მიცემული სასამართლოს სამსჯავრო სხდომის დასაწყისშივე შუამდგომლობს საქმის დამატებით გამოსაძიებლად დაბრუნების შესახებ და სასამართლო უარყოფს ამ შუამდგომლობას.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ამის შემდეგ სამართალში მიცემული უარს აცხადებს საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე და უფრო მეტიც, არ გამოდის ციხიდან.

ამავე დროს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომელიც წარდგენილი აქვს ბრალდებულს, ითვალისწინებს არა მარტო თავისუფლების აღკვეთას, არამედ სასჯელის უმაღლეს ზომასაც.

სსს კოდექსი ითვალისწინებს მხოლოდ იძულებით გამოცხადებასა და აღმკვეთი ზომის შერჩევას.

ყველა ეს ზომა არ შეიძლება შეეფარდოს პატიმრობაში მყოფ სამართალში მიცემულს, რადგან ციხიდან სამართალში მიცემულის იძულებით მოყვანა ფაქტიურად ვერ განხორციელდება და ამას არც კოდექსი ითვალისწინებს.

როგორ უნდა მოვიქცეთ მოცემულ შემთხვევაში?

ყველაფერში დაეთანხმოს სამართალში მიცემულს და დააკმაყოფილოს მისი ზოგჯერ დაუსაბუთებელი შუამდგომლობა საქმის გამოსაძიებლად დაბრუნების შესახებ ან სხვა უკანონო მოთხოვნა — სასამართლოს ამის უფლება არა აქვს, ხოლო დაუსრულებლად გადადოს საქმის განხილვა მანამ, სანამ სამართალში მიცემული მოისურვებს გამოცხადებას — აშკარად გაუმართლებელია.

4.

ამ ჩიხის დასაძლევად იუსტიციის ზოგიერთ მუშაკს მიაჩნია. რომ სამართალში მიცემულის ციხიდან გამოუსვლელობა შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, რაც სასამართლოს ანიჭებს უფლებას განაგრძოს საქმის განხილვა.

ეს მოსაზრება აშკარად უსწორია.

საფუძვლების 21-ე მუხლისა და აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების: რსფსრ—277, 280 მუხ., უკრაინის სსრ—263, 300 მუხ., ბელორუსიის სსრ — 274, 281 მუხ., უზბეკეთის სსრ — 255, 261 მუხ., ყაზახეთის სსრ — 229, 270 მუხ., საქართველოს სსრ — 276, 282 მუხ., აზერბაიჯანის სსრ — 297, 249 მუხ., ლიტვის სსრ — 274, 278 მუხ., ყირგიზეთის სსრ — 272, 278

კანონი
2023

მუხ., ტაჯიკეთის სსრ — 275, 283 მუხ., სომხეთის სსრ — 263, 269 მუხ., თურქმენეთის სსრ — 282, 288 მუხ. და ესტონეთის სსრ — 234, 240 მუხლების თანახმად თავმჯდომარე სამართალში მიცემულს განუმარტავს მის უფლებებს საქმის განხილვის მსვლელობის დროს და, კერძოდ, იმასაც, რომ მას უფლება აქვს მისცეს არსებითი განმარტება საქმეზე.

ამ შემთხვევაში კანონმდებელი ითვალისწინებდა პროცესის ამ სტადიაში სამართალში მიცემულის სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე ყოფნას. სხვანაირად არც შეიძლება ამის ვაგება!

სამართალში მიცემულის ციხიდან გამოუსვლელობა შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ჩვევების მიცემაზე უარის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სასამართლოს შემადგენლობა, პროცესის მონაწილეებთან ერთად, გამოცხადდება პატიმრის კამერაში, სასამართლო სამსჯავრო სხდომას გამოაცხადებს განხილად და სამართალში მიცემულს განუმარტავს რა ძის უფლებების, შესთავაზებს ჩვენების მიცემას, ხოლო უკანასკნელი ამაზე უარს განაცხადებს.

სხვა შემთხვევაში სამართალში მიცემულის ციხიდან გამოუსვლელობა არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ჩვევების მიცემაზე უარის თქმა და, ამ საფუძველზე, სასამართლოსათვის არ წაჩიობება უფლება გააგრძელოს საქმის განხილვა სამართალში მიცემულის დაუსწრებლად და გამოიტანოს დაუსწრებელი განაჩენი.

5.

რაც შეეხება იმ დონისძიებებს, რაც შეიძლება მიღებული იქნეს სასამართლოს სამსჯავრო სხდომის წესრიგის დამრღვევა მიმართ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების: რუსურ — მუხ. 263, უკრაინის სსრ — მუხ. 272, ბელორუსიის სსრ — მუხ. 263, უზბეკეთის სსრ — მუხ. 240, ყაზახეთის სსრ — მუხ. 237, საქართველოს სსრ — მუხ. 262, აზერბაიჯანის სსრ — მუხ. 280, ლიტვის სსრ — მუხ. 286, მოლდავეთის სსრ — მუხ. 228, ლატვიის სსრ — მუხ. 262, ყირგიზეთის სსრ — მუხ. 261, ტაჯიკეთის სსრ — მუხ. 265, სომხეთის სსრ — მუხ. 254, თურქმენეთის სსრ — მუხ. 269, ესტონეთის სსრ — მუხ. 225 თანახმად სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე სამართალში მიცემულის მიერ წესრიგის ორჯერ დარღვევის შემთხვევაში სასამართლოს განსაკუთრებული განჩინებით სამართალში მიცემული შეიძლება ვაყვანილ იქნეს სხდომის დარბაზიდან.

მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ ეს მუხლებიც ითვალისწინებენ სამართალში მიცემულის სასამართლოში ყოფნას.

ამიტომ ეს მოტივიც არ შეიძლება მიღებული იქნეს სამართალში მიცემულის დაუსწრებლად საქმის განხილვის საფუძვლად, რადგან ჩვენების მიუცემლობა და საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმა ვერ განიხილება სხდომის წესრიგის დარღვევად.

6

ამგვარად, აღძრული საკითხი არ პოულობს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით გადაწყვეტას.

ეს არის არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხი.

ჩვენის აზრით მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების იმ მუხლებს, რომლებიც ითვალისწინებენ სამართალში მიცემულის სასამართლოში გამოუსვლადლობის შედეგებს, მისი ბრალდების საქმის განხილვის დროს, უნდა დაემატოს ისიც, რომ სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქმე სამართალში მიცემულის დაუსწრებლადაც, როცა ეს უკანასკნელი იმყოფება პატიმრობაში და უარს ამბობს სასამართლოში გამოცხადებაზე.

ეს იქნება გაფრთხილება სამართალში მიცემულისათვის. ამით თავიდან იქნება აცილებული გაუგებრობა და შეივსება კანონის ხარვეზი.



აკასრუდნლოვანთა და ახალგაზრდობას შორის ღანაშაულის აღკვეთისათვის

შ. გელაშვილი,

ახალციხის რაიონის პროკურორი

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომავალი თაობის აღზრდას. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდობის აღზრდას შრომისმოყვარეობისა და კოლექტივიზმის, სოციალისტური მოძრაობის პრინციპების სულისკვეთებით.

საბჭოთა ახალგაზრდობა ყველაზე მოწინავეა მსოფლიოში; მისთვის დამახასიათებელია მაღალი იდეურობა, სამშობლოსადმი უსახღვრო ერთგულება; მაგრამ ჯანსაღი ახალგაზრდობის კოლექტივში გვხვდებიან ადამიანები, რომელთა შეგნებაშიც ცოცხლობს კაპიტალიზმის გადმონაშთები, ისინი არღვევენ საბჭოთა კანონებს, გაუბრძიან შრომას, დაუდევრად ეპყრობიან სოციალისტურ საკუთრებას, ხულიგნობენ, არცხვენენ საბჭოთა მოქალაქის სახელს.

ახალციხის რაიონში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ახალგაზრდა, რომელიც დანაშაულს ჩადის. ისინი არ მუშაობენ და არც სწავლობენ. ცხოვრობენ მშობლების ხარჯზე ან საექვეო შემოსავლით, უსაქმოდ დაეხეტებიან ქუჩებში, ხვდებიან ცუდ წრეში და ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას მეტად ცუდად იწყებენ; ყოველივე ეს კი მეტყველებს, რომ მოზარდი თაობის აღზრდაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ბავშვების სწორი აღზრდა პირველ რიგში მშობლების მოვალეობაა, მაგრამ ჯერ კიდევ არიან მშობლები, რომლებსაც შეგნებული არა აქვთ ეს. სოფ. ერკოტაში მცხოვრებ ასპინძის კოლმეურნეობის წევრს ავთანდილ ივანესძე ცალქალამანიძეს ყავს ცოლი და 4 შვი-

ლი; მეორე ცოლად შეირთო სოფ. თოქში მცხოვრები მოქ. თალიკო ვასილის ასული ლეკიშვილი, რომელმაც მიატოვა ქმარი და ორი შვილი და მესამე შვილით საცხოვრებლად გადავიდა ცალქალამანიძის ოჯახში. ცალქალამანიძის ორ ცოლს ყოველდღიურად აქვთ ჩხუბი. ამას უყურებენ ბავშვები, რამაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მათზე. სწორედ აქედან იწყება მათი ცუდი აღზრდაც. ამას გულგრილად შეჰყურებს ასპინძის სადაბო საბჭო, კოლმეურნეობის გამგეობა და ერკოტის სკოლის პედაგოგები. ცალქალამანიძე ჩადენილი დანაშაულისათვის — ორცოლიანობისათვის მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

რაიონში ადგილი აქვს არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობის მიერ სხვადასხვა დანაშაულებრივი მოქმედების ჩადენას. საგულისხმოა, რომ არასრულწლოვანები, რომლებიც დანაშაულს იდენენ, თითქმის ყველა დაბალი განათლებითაა.

გასულ წელს ახალციხის რაიონში არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობის მიერ ჩადენილი იყო სისხლის სამართლის დანაშაულები, რის გამოც ახალგაზრდები პასუხისმგებლობაში იქნენ მიცემულნი. აღნაშფოთებელია დაბა ასპინძის მცხოვრებლების, კომკავშირელების ო. ვ. ცინაძის (დაბადებული 1945 წელს) და რ. დ. რიჯაშაძის (დაბადებული 1945 წელს) მიერ ჩადენილი დანაშაული, რომლებმაც სოფ. დამალის კოლმეურნეობიდან მოიპარეს 167 ძირი ორწლიანი ვაშლის ნერგი, რითაც კოლმეურნეობას მიაყენეს 173 მანეთის ზარალი.

სოფ. ტოლოშის სკოლის მოსწავლეებმა — კომკავშირელებმა მ. ს. ზაზაძემ (დაბადებულმა 1944 წელს) და ა. გ. თედორაძემ (დაბადებულმა 1945 წელს) ურთიერთშეთანხმებით ღამის 3 საათზე გაქურდეს ტოლოშის მაღაზია, საიდანაც გამოჰქონდათ 320 მანეთის ღირებულების საქონელი. დამნაშავენი ადგილზე იქნენ დაკავებული.

ამჟამად, როდესაც ხორციელდება ღონისძიებანი სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა და დამნაშავეთა წინააღმდეგ საზოგადოებრიობის როლის ამღლებისათვის, განსაკუთრებული როლი ენიჭება ბრძოლას არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის გამოვლინებისათვის. თვითეული დარღვევა აუცილებელია ვაქციოთ კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მსჯელობის საგნად. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მათ მიმართ ყველა სახის აღმზრდელობითი ღონისძიება. მოთმინებით უნდა ვადევნოთ თვალყური მათ მოქმედებას, უნდა ვასწავლოთ, გავზარდოთ საზოგადოებისადმი ღრმა პატივისცემის სულისკვეთებით. აუცილებელია ისეთი ატმოსფერო შევუქმნათ, რომ მოხდეს ძირფესვიანი გარდატეხა მათ ხასიათსა და ქცევაში.

1963 წელთან შედარებით 1964 წელს ახალციხის რაიონში საგრძნობლად შემცირდა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულთა რიცხვი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იგი ჯერ კიდევ მინიმუმამდე არ არის დაყვანილი.

დაბა აბასთუმანში მცხოვრებმა ო. ი. თოქმაჯეგმა, დაბადებულმა 1941 წელს, კომკავშირელმა, 1964 წლის 25 აპრილს მთვრალ მდგომარეობაში ჩაიღინა უხამსი ხულიგნობა და სცემა მილიციის მუშაკებს, რისთვისაც 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

შ. ზ. თაბუნაძემ, კომკავშირელმა,

1964 წლის 15 აპრილს ვალის სკოლა-მეთრნეო კლუბში იარაღით მოკლა მოქ. ა. ბ. ჭალიძე, რისთვისაც იგი გაასამართლეს და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულობას ხელს უწყობს ნაკლოვანებანი და დაუდევრობანი მოზარდი თაობის სამუშაოზე მოწყობის საქმეში. საჭიროა არასრულწლოვანს სამუშაო ადგილზე შეექმნას პირობები, რომ იგი შეეჩვიოს კოლექტივს, შრომას, რომ მას იზიდავდეს მის გარშემო შექმნილი ატმოსფერო. ამაზე კი სისტემატურ კონტროლს უნდა ახორციელებდეს არასრულწლოვანთა საქმეების კომისია.

პურკომბინატის მუშა — არასრულწლოვანი გ. რ. კარაბეტიანი, სამუშაოზე მოაწყეს იმის გამო, რომ მასზე კოლექტივს ემოქმედა და გამოესწორებინა. მიუხედავად ამისა 1964 წლის 5 აპრილს მან სხეულის მსუბუქი დაზიანება მიაყენა მ. ვ. აღლიაშვილს, ამასთან დღესაც განაგრძობს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, მაგრამ პურკომბინატის კოლექტივს მასზე არც კი უმსჯელა.

არასრულწლოვანთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესწავლამ ცხადყო, რომ აუცილებელია არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებმა განსაკუთრებული ზედამხედველობა დააწესონ კოლონიებიდან დაბრუნებულ მოზარდებზე, დაეხმარონ მათ სამუშაოზე მოწყობაში.

ბავშვთა აღმზრდელობითი კოლონიებიდან დაბრუნებული არასრულწლოვანი შ. ზ. მუმლაური დროულად არ იქნა ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში, არც სწავლობდა, მამამ მიატოვა. დედა დამლაგებლად მუშაობდა, რის გამოც უსაქმოდ ატარებდა დროს ქუჩაში, ამიტომ დაიწყო ქურდობა და 1964 წელს მაღაზიიდან მოიპარა 28



მანეთი. დანაშაულზე წაასწრეს; ავადმყოფობის გამო საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მილიციის წარმომადგენელი ედგა თავზე. მიუხედავად ამისა მაინც შეძლო მეზობელი ავადმყოფისათვის მოეპარა 13 მანეთი, რისთვისაც სათანადოდ დაისაჯა.

ბოლო დროს გახშირდა მოსწავლეების გადასვლა საშუალო სკოლიდან მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში. საღამოს სკოლაში გადასული მოსწავლეები, რომლებიც საზოგადოებრივ საქმიანობაში არ არიან ჩაბმულნი, ადვილად ებმებიან დანაშაულში.

პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ძირითადი კონტინგენტი დამნაშავე არასრულწლოვანებისა საღამოს სკოლის მოსწავლეები არიან.

რ. ა. ბათოშვილი, დაბადებული 1947 წელს. კომკავშირელი, სწავლობდა მეორე საშუალო სკოლაში და კარგ მოსწავლედ ითვლებოდა. 8 კლასის დამთავრების შემდეგ გადავიდა საღამოს სკოლაში ისე, რომ არსად არ მუშაობდა, ამიტომ ქუჩაში უსაქმოდ ხეტიალობდა. ახალციხეში მცხოვრებმა ს. კ. გრიგორიანმა, სრულწლოვანმა, 6 კლასის განათლების მქონემ სისხლას სამართლის დანაშაულში ჩაითრია ბათოშვილი. 1964 წლის სექტემბერში ღამის საათებში მათ მოიპარეს სახელმწიფო ვახუტეცილის № 39 უბნის შენობიდან საბჭოური მანქანა 330 მანეთის ღირებულებას, ხოლო დოსაფას ორგანიზაციიდან — მცირეკალაბრიანი შაშხანა, რისთვისაც გრიგორიანს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ხოლო ბათოშვილს, როგორც არასრულწლოვანს, პირობითი სასჯელი შეეფარდა. იგი ამჟამად მუშაობს ფიზიკურად

შახტმშენებლობაზე, სადაც დადებითად ხასიათდება, სწავლობს აგრეთვე საღამოს სკოლაში.

შემოაღნიშნულიდან სათანადო დასკვნები უნდა იქნას გამოტანილი. ყველგან — სკოლაში, ოჯახში, წარმოებაში ისე უნდა მოეწყოს ახალგაზრდობის აღზრდა, რომ მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდეს. ახალგაზრდობის აღზრდისათვის პასუხისმგებლობა უნდა იკისროს თვით ახალგაზრდობამ და მთელმა საზოგადოებრიობამ.

მომავალი თაობის კომუნისტური აღზრდის მაღალ დონეზე დაყენებისათვის საჭიროა ახალგაზრდობაში გავაძლიეროთ იდეოლოგიური მუშაობა.

ახალგაზრდები ხშირად უნდა ისმენდნენ ლექციებს, მოხსენებებს, საუბრებს საბჭოთა პარტიოტიზმის, ხალხთა შორის მეგობრობის, ინტერნაციონალური და კომუნისტური აღზრდის საკითხებზე; უნდა ეწყობოდეს ექსკურსიები ისტორიულ ადგილებში, კოლექტიური სვლა — თეატრებსა და კინოებში; პატრიოტული დადგმებისა და ფილმების სანახავად.

მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდაში დიდი და საპატიო როლი ეკისრება საბჭოთა სკოლას. საბჭოთა სკოლას მთავარი ამოცანაა, მოამზადოს მოსწავლეები ცხოვრებისათვის, საზოგადოებრივად სსარგებლო შრომისათვის, კიდევ უფრო ამაღლოს ზოგადი და პოლიტექნიკური განათლების დონე, მოამზადოს განათლებული ადამიანები, რომლებმაც კარგად უნდა იცოდნენ მეცნიერებათა საფუძვლები; აღზარდოს ახალგაზრდობა სოციალისტური საზოგადოების პრინციპებისადმი დიდი პატივისცემის სულისკვეთებით, კომუნიზმის იდეების სულისკვეთებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კაეგორი-საბჭოთა კონფკოდი, კომიგევის ხედმემყოფი ჯგუფის საქმიანობის შესახებ

დ. გიორგაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს

წევრი

1963 წლის აპრილის თვიდან საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში ჩამოყალიბდა პარტიულ-საბჭოთა კონტროლის კომიტეტის ხელშემწყობი ჯგუფი. ჯგუფის ზეგავლენით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა უმაღლესი სასამართლოს აპარატში მუშაობის ორგანიზაცია, ყურადღება ექცევა კანონიერების განუხრელად დაცვას. წარმოებს ბრძოლა ბიუროკრატიზმის, საქმეთა გაჭიანურების წინააღმდეგ.

ჯგუფის მუშაობა წარმოებს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, რომელიც კვარტალურად დგება. გეგმები უთანხმდება პარტიულურს. მის სხდომებს, ბიუროს წევრებს გარდა, ესწრებიან და ცალკეული საკითხების შერჩევა-განხილვაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, აგრეთვე თავმჯდომარის მოადგილეები.

უკანასკნელ ხანს ჯგუფის წევრების მიერ შემოწმებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში საკასაციო და ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვა. შემოწმებით გამოირკვა, რომ ცალკეულ საქმეთა განხილვა გაჭიანურებულია. საკასაციო წესით განხილული საქმეები სასამართლოში ათი დღის და ზოგჯერ უფრო მეტი დაგვიანებით იგზავნება, ხოლო ზედამხედველობითი წესით საქმეები იხილება ერთი თვისა და მეტი დროის შემდეგ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამა-

ართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის ხუთ შემადგენლობაში მონაწილეობს უმაღლესი სასამართლოს 15 წევრი. აქედან 12 წევრს, მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში მუშაობენ უმაღლეს სასამართლოში, არც ერთი საქმე არ განუხილავთ პირველი ინსტანციით, მონაწილეობა არ მიუღიათ გამწესრიგებელ სხდომებზე, არ განუხილავთ თუ რა საკითხები გასარკვევი და გადასაწყვეტი გამწესრიგებელ და სამსჯავრო სხდომებზე. მათ არა აქვთ იმის გამოცდილება თუ როგორ უნდა წარიმართოს სასამართლო გამოძიება სამსჯავრო სხდომაზე, არ დაუკითხავთ სამართალში მიცემულნი და არ მიუღიათ მონაწილეობა სათათბირო ოთახში განაჩენის დასადგენად, საკასაციო ინსტანციაში კი ამოწმებენ სამსჯავრო გამოძიების ოქმებს, განაჩენის კანონიერებასა და დასაბუთებულობას.

შემოწმებულ იქნა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილი კერძო განჩინების დანიშნულებისამებრ გაგზავნა შესაბამის ორგანიზაციებში და მიღებულ პასუხების აღრიცხვა 1964 წლის მდგომარეობის მიხედვით.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ეს საკითხი სათანადოდ ვერ არის მოგვარებული. გასულ წელს ყველა კერძო დადგენილების ასლები ინახებოდა და მას აღრიცხავდა კანცელარიის უფროსი.

მიმდინარე წელს ასეთზე კოლეგიაში შემდგარი არ არის განრიგები, ამასთან კერძო განჩინებანი ერთ პირთან ინახება, პასუხები კი მეორესთან. საჭიროა ეს მასალები ერთ რომელიმე კანცელარიაში ინახებოდეს.

დამხმარე ჯგუფის წევრებმა და აქტივმა შეისწავლა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის პირველ ინსტანციით გამოტანილ განაჩენებისა და განჩინებების აღსრულების მდგომარეობა.

შემოწმებით დადგინდა, რომ უმაღლესი სასამართლოს წევრები, რომლებიც პირველი ინსტანციით მუშაობენ, არავითარ კონტროლს არ უწევენ განაჩენების აღსრულებას, ეს საკითხი ძირითადად დავალებული აქვთ მდივნებს.

აღმასრულებელი ფურცლები, რომლებიც სახალხო სასამართლოებს ეგზავნება შესასრულებლად, კანცელარიაში არ აღირიცხება ზუსტად, საქმეში არ მოიპოვება აგრეთვე ცნობები, თუ რა ბედი ეწვია ასეთს, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო სასამართლოები მოვალენი არიან აცნობონ უმაღლეს სასამართლოს აღსრულების მდგომარეობის შესახებ.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ნივთიერ მტკიცებათა აღრიცხვის და სათანადო ორგანოებზე გადაცემის საკითხი; გასული წლების ნივთმტკიცებები ჯერ კიდევ ინახება უმაღლესი სასამართლოს კანცელარიაში კონტროლის გარეშე.

უმაღლეს სასამართლოს აპარატში ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებს. არის შემთხვევები, რომ ზოგიერთი მუშაკი დაგვიანებით ცხადდება სამსახურში, რაციონალურად არ იყენებს სამუშაო საათებს. სასამართლოს სხდომები იწყება დაგვიანებით, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მოქალაქეთა შორის.

ხშირად პირველი ინსტანციით საქმე-

ების დანიშვნის ორგანიზაციის უხარისხობის შედეგად ბოლო არ უჩიანს საქმის დამთავრებას, პროცესში მონაწილე მოწმეებს და სხვა დაინტერესებულ პირებს უხდებათ დიდი დროის დაკარგვა და გარკვეული ხარჯების გაწევა.

ბრ. ცინცაძის და სხ. საქმე ოთხჯერ დაინიშნა ლანჩხუთის რაიონში და როგორც იქნა მეხუთეჯერ გაირჩა ქ. ბათუმში.

საქმე ბრ. ე. ს. ჯანაშიას მიმართ, სასამართლო-პროკურატურის ორგანოების წარმოებაში იყო 1961 წლის მაისიდან. ამ საქმეზე 1965 წლის 19 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის პროტესტი. პლენუმის დადგინებით პროტესტის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და საქმეზე გამოტანილი განაჩენი და განჩინება გაუქმებულ იქნა, საქმე დაუბრუნდა საქართველოს სსრ პროკურატურას დამატებითი გამოძიებისათვის.

ამ საქმემ მთელი მისი მოძრაობის პერიოდში გაიარა სამი სახალხო მოსამართლისა და უმაღლესი სასამართლოს ცხრა წევრის ხელში, რომლებსაც უნდა შეესწავლათ და განეხილათ საქმის მასალები. მაგრამ როგორც აშკარად ჩანს საქმის მასალები არ ყოფილა შესწავლილი ჯეროვნად, რის გამოც პლენუმმა გააუქმა განაჩენი და განჩინება.

ზემოაღნიშნული ფაქტები ბიუროკრატიზმისა და საქმეთა გაჭიანურების აშკარა დადასტურებაა.

ანალოგიური შემთხვევები გვხვდება სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მუშაობაშიც.

1958 წელს პირველ მაისის რაიონის სახალხო სასამართლოში აღიძრა საქმე თ. ს. ცაგარელის სარჩელის გამო ე. ს. ცაგარელთან ბინის თაობაზე.

აღნიშნული საქმე წარმოებით შეწყდა 1959 წლის 17 მარტს მოსარჩელის

გამოუცხადებლობის გამო. უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ 1961 წლის 23 ნოემბრის განჩინებით გააუქმა სახალხო სასამართლოს დადგენილება საქმის შეწყვეტის შესახებ და საქმე დაუქვემდებარა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პირველ ინსტანციას.

შემდეგ ეს საქმე კიდევ ორჯერ იქნა შეჩერებული.

1962 წლის 19 ივლისს საქმე წარმოებით შეწყდა მოსარჩელის განცხადების თანახმად. აღნიშნული განჩინება კვლავ გასაჩივრებული იქნა და უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1963 წლის 8 ივლისის დადგენილებით გადაწყვეტილება გაუქმდა; ამის შემდეგ საქმე ექვსჯერ დაინიშნა და ამ პერიოდში ორჯერ შეჩერდა წარმოებით მოსარჩელის განცხადების საფუძველზე.

უკანასკნელად საქმე განსახილველად დაინიშნა 1964 წლის 24 დეკემბერს. სხდომაზე კვლავ არ გამოცხადდა მოსარჩელე. საქმე წარმოებით შეჩერდა...

სამწუხაროდ მსგავსი შემთხვევები არც ისე ცოტაა ჩვენს მუშაობაში.

უყურადღებოდ არ ტოვებს პარტიულ-საბჭოთა კონტროლის ჯგუფი სხვა საკითხებსაც, რაც დაკავშირებულია უმაღლესი სასამართლოს მუშაობასთან.

ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა უმაღლესი სასამართლოს კანცელარიების მუშაობა, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა შენახვის წესი, ქალაქების, ბლანკებისა და სხვა ხარჯვის მდგომარეობა.

გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს სამუშაო ოთახების შეკეთება. ოთახებში, დერეფნებსა და სხდომის დარბაზებში უსუფთაობაა. არ არის საკმაო

რაოდენობით ურნები, რის გამოც დერეფნები პაპიროსის ნაწვევებით არის მონაგვიანებული, კედლებზე მრავლად არის შესრულებული სხვადასხვა „მხატვრობა“.

ჯგუფის მუშაობაში მთავარია არა მარტო ნაკლოვანებათა გამომჟღავნება, არამედ მათი აღმოფხვრა და თავიდან აცილება. ამიტომ ყოველი შემოწმების შედეგი ცნობილი ხდება უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობისათვის. ეს საკითხები იხილება თათბირებზე, სადაც ღებულობენ გადაწყვეტილებებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამასთან, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევს მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების მიღება-გატარების საქმეს. იგვერდ ამჩნევს უმაღლესი სასამართლოს მუშაობაში იმ ნაკლს, რომელიც უმეტესად მოქალაქეთა ცალკეული საჩივრებისა და განცხადებების განხილვა-გადაწყვეტისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ მდგომარეობაში გამოიხატება. ეს კი თავის მხრივ წარმოშობს საქმის გაჭიანურებას, მნიშვნელოვნად იზრდება ერთსა და იმავე საქმეზე საჩივრებისა და განცხადებების რაოდენობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პარტიულ-საბჭოთა კონტროლის ჯგუფმა თავის საქმიანობით ხელი უნდა შეუწყოს სასამართლოს მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლებას მინდობილი საქმისადმი, პარტიულ-სახელმწიფო დისციპლინისა და კანონიერების ზუსტად დაცვას, სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას. ეს არის ამ ჯგუფის უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

ქართული საბავთლის ისტორიკონ

3. სიღამონიძე

ქართული იურიდიული აზროვნების ისტორია უძველეს საუკუნეებს მიეკუთვნება. იგი ისევე ძველია, როგორც თვით ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია.

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ მეშვიდე საუკუნის ერთ იურიდიულ წყაროს, რომელიც საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან ძეგლად წარმოგვიდგება. ეს არის 643—645 წლების არაბ-ქართველთა ხელშეკრულება, რომლის ცალკეული რეალების განხილვაც კი ცხადად გვარწმუნებს, თუ რა მაღალ საფეხურზე მდგარა საქართველოში იმ დროს იურიდიული აზროვნება.

საისტორიო მეცნიერებაში ეს ხელშეკრულება „დაცვის სიგელის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ეს დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი აქამდე თითქმის ყველა მეცნიერის მიერ განხილული იყო მხოლოდ როგორც ისტორიული და არა იურიდიული-ლიტერატურული ძეგლი, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ისტორიკოსები „დაცვის სიგელის“ შესწავლა-შეფასებას მხოლოდ ისტორიულა და არა იურიდიული თვალსაზრისით ახდენდნენ, გვერდს უვლიდნენ მის უფლებრივ-იურიდიულ მხარეებს, ეს მაშინ, როდესაც სწორედ ამ მხარეს უნდა მიქცეოდა მთავარი ყურადღება.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც „დაცვის სიგელის“ შესწავლისას ნაწილობრივ გადალახა ტრადიციული შეზღუდულობა, მან პირველმა უწოდა ამ „სიგელს“ არაბ-ქართველთა ხელშეკრულება. ასე-

თი განსაზღვრა რასაკვირველია გაპრობებულია არა მარტო მისი არქიტექტონიკით, არამედ მისი ძირითადი შინაარსის გაგების აუცილებლობითაც.

ცნობილია, რომ არაბებმა მეშვიდე საუკუნის 60-იან წლებში განსაკუთრებით განავითარეს ექსპანსია ამიერკავკასიისაკენ. დაიპყრეს რა საქართველოს უშუალო მეზობელი სომხეთი, ქართლისაკენ გამოემართნენ.

ეტყობა ქართლის პოლიტიკურ მესვეურებს კარგად აუწონ-დაუწონიათ საქართველოს მაშინდელი საგარეო ურთიერთობის მდგომარეობა და გარკვეული გადაწყვეტილებაც მიჰღობათ.

ქართლის მაშინდელმა ერისმთავარმა გადაწყვიტა ზავი დაედო არაბებთან და არაბთა სარდლად ჰაბიბ იბნ მასლამას საგანგებო დესპანი გაუფზავნა, თან საჩუქრები გაატანა და ზავის პირობები შესთავაზა.

არაბთა სარდალმა მოიწონა ზავის პირობები, საჩუქრები მიიღო და არაბთა მაშინდელი წესისა და ტრადიციის მიხედვით ქართველებს საჩუქრები მომავალ გადასახადში ჩაუთვალა.

ირკვევა, რომ არაბ-ქართველთა ხელშეკრულების ძირითადი პირობები თვით ქართლის ერისმთავარს უნდა წარედგინა არაბთა მხარისათვის. ხელშეკრულების პრემბულაში ნათქვამია: „როდესაც დაიმორჩილა სომხეთი და გაემართა ქართლისაკენ, მივიდა ჰაბიბთან ჯურზანის (ქართლის) მოსახლეობისა და პატრიკიოზისაგან მოციქული, როდესაც ის (ჰაბიბი) აპირებდა მის დაპყრობას და

გადასცა მას უსტარი და სთხოვა ზავისა და უშიშროების წიგნი“.¹

როგორც დესპანობის წესი მოითხოვდა, ერისთავის დესპანს, რომელსაც სახელად ნიკოლოზი და თეოფილე უნდა რქმევოდა,² არაბთა სარდლისა და მის მრავალრიცხოვანი ამალისათვის მიუმათავს გამართული დიპლომატიური სიტყვით, რითაც სარდალი ჰაბიბ იბნ მასლამა, რომელსაც სომეხი მემატინანე „უწყალო ჯალათს“ ეძახის, მოხიბლულა კიდევ. ხელშეკრულების პრეამბულაში მითითებულია: „ჭეშმარიტად ნიკოლა (ქართლის ერისთავის დესპანის სახელია-ვ. ს.) მოციქული თქვენი წარმომიდგა მე და იმ მორწმუნეებს, რომლებიც მე მახლავან, მოგვახსენა თქვენგან, რომ ჩვენ ვართ ხალხი, რომელსაც ალ-ალაჰმა მიანიჭა პატივი და დააწინაურა, დიდება მას მრავლად, აკურთხებს ალ-ალაჰი მაჰმადს მის მოციქულს, რჩეულს მის ქმნილებათა შორის და მას მშვიდობა. მოგვახსენეთ, რომ თქვენ გსურთ ზავი ჩვენთან. მე შევადგასე თქვენი საჩუქარი და ჩავითვალეთ (ჯიზიაში) გადასახადში“.³

ჰაბიბ იბნ მასლამამ ქართველთა დესპანს მოლაპარაკებისა და ხელშეკრულების პირობების მომზადების მიზნით თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი, მუსლიმური სჯულის დიდი მცოდნე ალ-რაჰმან იბნ ჯაზი სულამიელი თან გააყოლა და შემდეგ თვითონაც თბილისში მივიდა და არაბ-ქართველთა ხელშეკრულება დაამტკიცა.

აქედან ცხადად ირკვევა, რომ არაბ-ქართველთა ხელშეკრულება ქალაქ თბილისში მისვლის დროს დაუდგიათ. ხელშეკრულების ცალკეული რეალიები მოწმობენ, რომ ხელშეკრულება ქართულ

და არაბულ ენებზე უნდა დაწერილიყო. მართალია, ქართულ ენაზე ამ მნიშვნელოვანი იურიდიული ძეგლის ტექსტი ისტორიამ არ შემოგვინახა, სამაჟეროდ იგი დაცული აღმოჩნდა ცნობილი არაბი ისტორიკოსების ტაბარისა, ბალაძორის და სხვ. ისტორიული მნიშვნელობის შრომებში. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „საბედნიეროდ არაბთა ისტორიკოსებს, ბალაძორსა და ტაბარის, თვით ის ბრძანება, რომელიც გაუცია არაბთა სარდალს, როდესაც იგი საქართველოში შემოსულა და არაბ-ქართველთა ხელშეკრულებაც შენახული აქვთ“.⁴

ხელშეკრულების ცალკეული შტრიხები მოწმობენ, რომ შეთანხმების შესახებ მოლაპარაკების პროცესში არაბთა მხარე სარდალ მასლამას მეთაურობით, როგორც დამპყრობელი ცდილობდა ქართველთა მხარისათვის, რომელიც ამ მოლაპარაკებაზე იყო მიწვეული, თავის პირობები თავზე მოეხვია, მაგრამ ქართველთა მხარე ვერ შეუშინებია დამპყრობლებს და ხელშეკრულებაში თითქმის თანასწორი უფლება-მოვალეობანია განსაზღვრული და ჩამოყალიბებული. განსაკვიფრებელია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დადების დროს ქართველთა მხარემ არაბთა მხარეს ისეთი მნიშვნელოვანი მუხლი მიალებინა, როგორცაა: პიროვნების, ქრისტიანული წესით ლოცვის აღსრულებისა და მონასტრების ხელშეუხებლობა. ეს მაშინ, როდესაც იმ შავზენელ ეპოქაში მუსლიმი წალეკვით ემუქრებოდა ყოველჯერ სხვა რელიგიასა და კულტურას. ეს კარგად ჩანს თუნდაც ირანის მაგალითზე.

ზოგი მეცნიერი ხელშეკრულების ამ პუნქტისადმი დამოკიდებულებას არაბ-

1 ე. სიხარულიძე, არაბ-ქართველთა ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 73, 1959 წ. გვ. 169.

2 ე. სიხარულიძე, იქვე.

3 იქვე.

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 2, გვ. 70.

თა ტოლერანტული, რელიგიური რეჟიმის შემწყნარებლური დამოკიდებულებით ხსნიდა.

მაგალითად, აკად. ს. ჯანაშია წერდა: „ისლამის მეომრებმა შეითვისეს შეხედულება, რომ არამუსლიმებს იმდენად აქვთ არსებობის უფლება, რამდენადაც ისინი მუსლიმების კეთილდღეობისათვის მუშაობენ, რომ ეს ქვეყანა მუსლიმების სარგებლობისა და სიამოვნებისათვის არის გაჩენილი, რადგანაც ისინი ღვთისაგან რჩეული და შეყვარებული არიან. ამიტომ იყო, რომ პირველხანად, დაპყრობილ ქვეყნებში არაბები დიდ სარწმუნოებრივ ღმობიერებას იჩემდნენ“.¹

არაბ-ქართველთა ხელშეკრულება სისრულისათვის მოგვყავს მთლიანათ.

„ქართველები აღიარებენ მოჩრჩილებს და იხდიან ჯიზიას, თითო დინარს კომლის თავზე, რომლის არც გაზრდის, არც შემცირების უფლება არც ერთ მხარეს არა აქვს;

მოსახლეობა შესაძლებლობის ფარგლებში ვალდებულია დაეხმაროს რჩევითა და საქმით მუსლიმებს მათი მტრების წინააღმდეგ.

ისინი ვალდებულნი არიან, ასევე შესაძლებლობის ფარგლებში შეიფარონ და დახმარება აღმოუჩინონ ჩამორჩენილ მუსლიმებს, მიიყვანონ ისინი უახლოეს რაზმამდე; აგრეთვე მისცენ ბინა ღამით და გაუმასპინძლდნენ მუსლიმთათვის დასაშვები სასმელ-საჭმელით;

ისლამის მიმღები არაბთა ძმად ითვლება, მათი მაგალი ხდება და ყველა მუსლიმისათვის საერთო უფლებით სარგებლობს;

სანაცვლოდ არაბები იძლევიან პირა-

დი უშიშროების, ქონებისა და სარწმუნოების ხელშეუხებლობის გარანტიას და კისრულობენ ვალდებულებას დაეხმარონ ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ.²

ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ რაც არ უნდა ფრთხილად მოქცეულიყვნენ ქართველები ამ დროს, ხელშეკრულების მესამე მუხლი საშიშ რეაქციას წარმოადგენდა ქართველთა მხარისათვის. სამართლიანად წერდა განსვენებული დიდი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი: „თავისთავად ამ ისედაც საგულისხმიერო ხელშეკრულების ეს მუხლი (ლაპარაკია ხელშეკრულების მესამე მუხლზე ვ. ს.) განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმ შედეგის გამო, რომელიც მის განხორციელებას ცხოვრებაში უნდა მოჰყოლოდა: ამიერიდგან ქართველთა ბუნებრივი ზრდა-დანაწილება უნდა შეფერხებულიყო; ხარაჯა რომ არ გადიდებულიყო და მძიმე ტვირთად არ დასწოლოდათ, ქართველი მეკომურნი თავს შეიკავებდნენ და გაყრას ყოვლის დონისძიებით მოერიდებოდნენ. დიდ ოჯახთა რიცხვი გამრავლებოდა და საგვარეულო წესწყობილება და ყოფაცხოვრება ხელოვნურად შეინახებოდა“.³

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ხელშეკრულება თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში იყო ძალაში, მაშინ ცხადი გახდება, თუ რა მდგომარეობაში იქნებოდა მოსახლეობის კომლობრივი ზრდის პროცესი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხელშეკრულების მეხუთე მუხლი, სადაც ხელშეკრულების დამდები მხარეების

¹ აკად. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. 2., გვ. 354.

² ე. სიხარულიძე, დასაბ. წერილი, გვ. 169.

³ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 22.

უფლება-ვალდებულებანი თითქმის თანაბარი იურიდიული მნიშვნელობისანი არიან. არაბები ქართველებისაგან მოითხოვენ სამხედრო მოქმედების შემთხვევებში ქართველებმა მათ რჩევა მისცენ. ამ მუხლით გათვალისწინებულია, რომ არაბთა მტერი, იგივე ქართველთა მტერია და პირიქით, ის ვინც გაბედავს თავს დაესხას საქართველოს, ის არაბთა მტრად ჩაითვლება.

არაბ-ქართველთა ხელშეკრულებიდან ირკვევა რიგი საინტერესო საკითხები, კერძოდ, ქართველებისა და არაბების ურთიერთობა სხვა ასპექტებში. აქ ჩვენ ყურადღებას იპყრობს მხარეთა პოლიტიკური ურთიერთობა, რომელსაც ხელშეკრულებაში გამოხატულება არ უპოვია. არაბთა მხარეს ალბათ ვერ მოუხერხებია დაეყოლიებინა ქართველთა მხარე, რათა ისინი, არაბები, ჩარეულიყვნენ საქართველოს პოლიტიკურ მართვა-გამგეობის ფუნქციებში. ამ დროისათვის ხომ ქართველები პოლიტიკურად და კულტურულად მთელი თავით მაღლა იდგნენ დამპყრობლებზე.

აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ გარემოებას სრულიად სხვა მიზეზით ხსნიდა. ვიდრე აკად. ს. ჯანაშია. მისი აზრით საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ ცხოვრებაში არაბთა ჩაურევლობა, მათი სახელმწიფო საქმეებში გამოუცდელიობით და პოლიტიკური უძლურებით აიხსნება. იგი წერდა: „შინაური საქმეების მართვა-გამგეობაში საქართველო დამოუკიდებელი იქნებოდა თუ არა, ან ვინ უნდა გასძლიოდა წინ შინაურ საქმეებს, ამაზე ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი, მაგრამ თუ გავისხენებთ, რომ ომში ძლევამოსილი არაბები თავდაპირველად სამოქალაქო და სახელმწიფო ცხოვრებაში სრულებით გამოუცდელნი და უძლურნი იყვნენ და ამის გამო ყველგან, სადაც კი ისინი გაბატონდნენ, პირველ ხანებში მაინც სახელმწიფოს

შინაურ მართვა-გამგეობისათვის წელი არ უხლიათ და ისევე ძველებური წესი დასტოვეს უნდა ვიფიქროთ, რომ ამნაირადვე მოიქცეოდნენ არაბნი საქართველოში მეტადრე იმიტომ, რომ ქართველები მათ თავისით დანებდნენ და ქვეყანა ძალით არ დაუპყრიათ.“¹ მართლაც, არაბებს, რომლებიც საეგარეულო წესწყობილებიდან დიდი ხანი არ იყორაც გამოსულნი იყვნენ, თითქმის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ ქვეყნის მართვა-გამგეობისა, მათ სამხედრო ბანაკობა უფრო აინტერესებდათ, ვიდრე სხვა რამე, ამიტომაც საქართველოში ისინი სახელმწიფო მართვა-გამგეობისადმი პოლიტიკურ ინდიფერენტუზმს იჩენდნენ.

ეს მნიშვნელოვანი ხელშეკრულება ქართველებს თითქმის საუკუნის განმავლობაში შეუნახავთ, 643—645 წლებიდან მერვე საუკუნის 20-იან წლებამდე.

ისტორიიდან ცნობილია, რომ არაბთა ბატონობა საქართველოში მუდამ ცვალებადი იყო, ქართველობა არასდროს არ შერიგებია მტერს. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. მერვე საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში ლაშქრობს არაბთა სხვა სარდალი ჯარაჰ იბნ აბდ-ალ-ლაჰი.

როგორც არაბ ისტორიკოს ბალაძორს აქვს აღნიშნული, ქართველებს სარდალ ჯარაჰისათვის წარუდგენიათ 643—645 წლების არაბ-ქართველთა ხელშეკრულება, რომელიც ჯარაჰას მიუღია და სათანადო წესითაც დაუმტკიცებია, ე. ი. ხელშეკრულების ყველა პირობა თითქმის უცვლელად მიუღია. ისტორიკოსი ბალაძორი გადმოგვცემს: „დასწერა ჯარაჰ იბნ ალ-ლაჰ ჰაქიმიმ თბილისის მოსახლეობისათვის წიგნი ნუსხა მისი (ჰაბიბის ხელშეკრულების) „სახელითა ალ-ლაჰისა მოწყალისა მწყალობლისათა ეს არის წიგნი ჯარაჰ იბნ ალ-ლაჰისაგან თბილისის მოსახლეობას

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 2, გვ. 23.

მანგლისის თემიდან ქართლის ოლქიდან მასში, რომ მივიღე მე დაცვის სიგელი (მიცემული) მათდა ჰაბიბ იბნ მასლამას-გან მცირე ჯიზიას ცნობისა და რომ შეუთანხმდა ის მათ მიწებზე, ვენახებსა და წისქვილებზე, ეწოდება მათ აგარი და საბიანა მანგლისის თემიდან... და დიდუნა კოგოვიტის თემიდან ქართლის ოლქიდან, რომ გადაიხდია ამ წისქვილებისა და ვენახებისათვის წელიწადში 100 დიპრემს ერთდროულად. მე დავუმტკიცე მათ დაცვის სიგელი, რომ არ გაიზარდოს მათზე იგი. და ვისაც წაეკითხოს ჩემი სიგელი არ დაარღვიოს ის, თუ სურს ალ-ლაჰს და დამტკიცა“.¹

აქედან ირკვევა, ხელშეკრულების დამდებ მხარეებს 643—645 წლების არაბ-ქართველთა ხელშეკრულების განახლება მოუხდენიათ, ზოგიერთი ცვლილებებით. სარდალ ჯარაჰის მიერ განახლებულ ხელშეკრულებაში გარდა პირადი გადასახადისა (კომლზე ერთი დინარი) გადასახადი მოხსენებული აქვს ხარაჯა (სამამულო გადასახადი).

მერვე საუკუნის პირველი მეოთხედის არაბულ იურისდიქციაში ცვლილებები

მომხდარა. ხელშეკრულების მეშვიდე მუხლის საკითხებში უკვე განსხვავებული გაგება არსებობდა. ისტორიკოს ბალაძის თავის თხზულებაში დაცული აქვს არაბი ისტორიკოსის ვაკიდის ცნობა, რომ მერვე საუკუნის განთქმულ არაბი იურისტების—მალიქ-იბნ-ანასისა და იბნ-აბუდინის შეხედულებით ისლამის მხარეზე გადასული პირები თავის მიწას ინარჩუნებდნენ იმ შემთხვევაში თუ გადასახადს, ე. ი. ხარაჯას გადაიხდიდნენ.

უკვე განახლებული ხელშეკრულების ტექსტიდან ირკვევა, რომ სამამულო გადასახადის გადახდა ვრცელდებოდა ქართლის მახლობელ თემებზე როგორცაა: მანგლისი, დიდუნა და კოგოვიტი (ამ გეოგრაფიული პუნქტის ნამდვილი სახელწოდება დღემდე ვერ იქნა დადგენილი).

ამრიგად, არაბ-ქართველთა ხელშეკრულება მეშვიდე საუკუნის არა მარტო საერთაშორისო სამართლის უნიკალური ძეგლია, არამედ ქართული იურიდიული აზროვნების მაღალი კულტურული დონის უეჭველი მაჩვენებელიც.

¹ მ. ლორთქიფანიძე, „ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელი“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, 1951 წ. გვ. 64, ე. სიხარულიძე, არაბ-ქართველთა ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 73, 1959 წ. გვ. 178.

მურა ძიკაში



ნიკოლოზ კველიშვილს ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობს არა მარტო როგორც ნიჭიერ იურისტს, არამედ ჟურნალისტსაც. მისი წერილები ხშირად იბეჭდება რესპუბლიკის პერიოდულ პრესაში.

ჯერ კიდევ 14 წლის იყო ნ. კველიშვილი, როდესაც გაზეთ „მუშაში“ გამოაქვეყნა კორესპონდენციები ფსევდონიმებით — „რკინის მათრახი“, „ნიკოლოზ კახი“. გაზეთის საშუალებით იგი აკრიტიკებდა მუშათა უბანში (ლენინის რაიონი) არსებულ ნაკლოვანებებს. აქვე იგი აქვეყნებდა რეცენზიებს პლესანოვის სახელობის თეატრის დადგმებზე, წერდა წერილებს სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებზე.

შემთხვევითი არ არის, რომ მის პირთვლებაში გაერთიანებულია იურისტი, პუბლი-

ცისტი, ლიტერატორი. გარდა თბილისის სასელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა, რომლის კურსი მან დაასრულა 1936 წელს, დამთავრებული აქვს რუსთაველის სახელობის თეატრთან არსებული ექსპერიმენტალური სტუდია — სახელოსნო, მოსკოვის კომუნისტური აკადემიასთან არსებული ლიტერატურათმცოდნეობის დაუსწრებელი კურსები, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი.

გაოცებას იწვევს მისი წერის ნაყოფიერება, მისი ძიების მრავალმხრივობა... თავის წერილებში, ნარკვევებში (ხოლო მათი რიცხვი არცთუ ისე ცოტაა — 200-მდე აღწევს) იგი ეხება ცხოვრების თითქმის ყველა დარგს, ჰკრეფს და მკითხველებს აწვდის საინტერესო მასალებს.

ჩვენს ქვეყანაში ყოველ სიასლეს, ყოველ წამოწყებას ნ. კველიშვილი უზომო აღტაცებით ხვდება და აუცილებლად გამოთქვამს თავის აზრს. ყველასათვის ცნობილია კრანოლოგიის უდიდესი მიღწევები. პროფ. მ. გერასიმოვმა თავის ქალის მიხედვით მრავალი ადამიანის სახე აღადგინა. ნიკოლოზი გამოეხმაურა ამ მიღწევებს და პირველმა დააყენა საკითხი ჩვენი სასიკადალო პოეტის ნ. ბარათაშვილის პორტრეტის შექმნის თაობაზე. წერილში (იხ. ჟურნალი „დროშა“, 1956 წელი № 4) ავტორი სამართლიანად მოითხოვდა: „ნიკოლოზ ბარათაშვილის თავის ქალაც ამოღებული უნდა იქნეს და მისი სახის აღდგენა უნდა მიენდოს მ. მ. გერასიმოვს“. ამ საშვილიშვილო საქმემ ჩვენს პრესაში დიდი გამოხმაურება გამოა.

ნ. კველიშვილმა საქართველოს სასელმ-

წიფთ არქივში ხანკრძლივი მუშაობის შემდეგ მრავალ საინტერესო და უცნობ მასალებს მიაკვლია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მათზე მოგვითხრობს იგი თავის წერილებში: „ნაფიცი ვეჭილი“, „დიდი მგოსანი ბრალმდებელი“, „უყვარდა სოფელი“, „ილია ოჯახის შესახებ“, „აკაკის პირველი ფსევდონიმი“ და სხ.

ნიკოლოზ კველიშვილი მუშაობს საქართველოს ისტორიის პრობლემებზეც. ჟურნალ „მნათობის“ 1946 წლის № 2—3 ნომრებში გამოქვეყნებულ ვრცელ კრიტიკულ წერილში მან მკვეთრად გაილაშქრა საქართველოს ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ, კერძოდ გააკრიტიკა პროფ. ს. ვ. იუშკოვის სახელმძღვანელოში — „სსრ კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ (ნაწილი — I) დაშვებული შეცდომები. მისი კრიტიკული შენიშვნები გაზიარებულ იქნა ავტორის მიერ. წიგნის ხელმეორედ გამოცემის დროს. ისტორიულ საკითხებზე გამოქვეყნებული ნ. კველიშვილის წერილები შეტანილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1955 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ლიტერატურულ წყაროებში“, რაც სამეცნიერო-საცნობარო სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

პერიოდულ გაზეთებსა და ჟურნალებში ხშირად ვხვდებით მის წერილებს ქართული ისტორიული სახელების დამკვიდრების თაობაზე. გაზეთ „თბილისში“ (1960 წელი, 1 აპრილი) გამოქვეყნებულ წერილში — „ნუ დავკარგავთ გამართლებულ სახელწოდებებს“, იგი ამბობს: „ყოველი ძველთაძველი სახელი ისტორიის განუყოფელი და ორგანული ნაწილია, მას ისევე უნდა შენახვა, მოვლა და პატივითა, როგორც თვით ისტორიას. მომავალ თაობას რომ გავუადვილოთ წარსულის შესწავლა, საყოველთაოდ ცნობილ ისეთ ისტორიულ სახელებს, რომლებსაც მოპოვებული აქვთ ნიადაგი, საძირკველი უნდა განვუმტკიცოთ, დავიწყების პირს მისული სახელები ამოვა-

ტივტივით და გადავარჩინოთ“. წინადადება ვარაზის ხევის ქუჩისათვის დაეტოვებინათ სახელი „ვარაზი ხევის“ ქუჩა მიღებული იქნა. მისაღებად ცნო ქალაქის საბჭოს აღმასკომმა ნ. კველიშვილის წინადადება რესტორან „ფუნქიკულითრისთვის“ — „მთაწმინდის“, ხოლო დავითაშვილის ქუჩის ბოლოში ახლად აშენებულ რესტორნისათვის „სამადლოს“ დარქმევის შესახებ.

საინტერესოა ნ. კველიშვილის წინადადებანი დედაქალაქის გალამაზების საკითხებზე. 1934 წელს გაზ. „კომუნისტი“ დაბეჭდილი წერილით „შოთა რუსთაველის ძეგლისათვის“, ნიკოლოზმა გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმის ადგილის გადაწყვეტაში. მაშინ, როდესაც ამ საკითხზე სპეციალისტთა მრავალი წინადადებანი იყო წარმოდგენილი. დედაქალაქის კეთილმოწყობის საკითხებს ეხებოდა იგი თავის წერილებში „ქალაქის მხატვრული გალამაზებისათვის, „არსენას წყარო“ და სხ. მანვე მიაკვლია მშვენიერ სკულპტურულ ქმნილებას „ირმების სფინქსს“, რომელიც დღეს ლაღად გადმოჰყურებს თბილისის კომკავშირის ხეივნიდან.

ნ. კველიშვილს უყურადღებოდ არა აქვს დატოვებული ჩვენი მდიდარი ხალხური საუნჯე. მან საკმაო წვლილი შეიტანა „შოთა რუსთაველის სახელობის კულტურულ ლაშქრობაში“. ნ. კველიშვილის მიერ შეგროვილი ფოლკლორული მასალა შემდეგ შევიდა ცალკე კრებულად გამოცემულ „ხალხური შემოქმედების საუნჯეში“.

ნ. კველიშვილი ეკუთვნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებიც დაუცხრომლად ზრუნავენ ქართული ენის სიწმინდისათვის. გამოირჩევა მისი იუმორისტული ლექსი — „მიწერ-მოწერა“, რომელიც 1934 წელს დაიბეჭდა გაზეთში „ბოლშევიკური კადრებისათვის“. ამ ლექსით იგი ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ამახინჯებენ, აღარიბებენ მდიდარ ქართულ ენას.

ამოუწურავ თემად თვლის ნ. კველიშვილი დიდი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

მის წერილებსა და ნარკვევებში მრავალ ახალ, დღემდე უცნობ ფაქტებს ვეცნობით ამ გამორჩენილ რეჟისორზე. მასვე ეკუთვნის სანდრო ახმეტელზე დაწერილი სქელტანიანი მონოგრაფია.

ქართული ფერმწერის დიდი ოსტატის გიგო გაბაშვილის უნიჭერესი მოწაფის — ალექსანდრე პირტახიას მივიწყებული სახელი კვლავ გააცოცხლა ნ. კველიშვილმა წერილში „მივიწყებული მხატვარი“, რომელიც მხატვრის სურათებთან ერთად დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“ 1961 წელს.

საინტერესოდ და მასალის კარგი ცოდნით იკითხება მის მიერ დაწერილი რეცენზიები წიგნებზე: ნ. კანდელაკის „ქართული მჭიდრმეტყველება“, დ. ენუქიძის „საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები“, მ. ისაევის „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებანი“ და ბევრი სხვა.

ხშირად ვხვდებით მის წერილებს ჟურნალ „საქართველოს ქალში“. ეს მისი საყვარელი ჟურნალია. ჯერ კიდევ 1928 წელს,

17 წლის ახალგაზრდამ წერილში „ქალთა საკითხის გამო ჩვენში“ (ჟურნალი „ახალი გზა“) პირველმა დააყენა საქართველოში ქალთა ჟურნალის დაარსების აუცილებლობის საკითხი.

ნ. კველიშვილი ჩვენს პატარა მოქალაქეებს — ბავშვებსაც არ ივიწყებს. იგი დრო და დრო მათ ლექსებსა და მოთხრობებს აწოდებს. მისი ნაწერები ადვილად იკვლევენ გზას ნორჩ მკითხველებში და იმსახურებენ მათ სიყვარულს.

ნ. კველიშვილის ცხოვრება — მისი საადვოკატო მუშაობა, მისი წერილები, მისი ნარკვევებია.

ისეთ ადამიანებთან, როგორც ნიკოლოზ კველიშვილია საინტერესოა ახლოს გაცნობა, საუბარი, აზრთა გაზიარება ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, იურისპრუდენციაზე...

იგი დღესაც ენერგიითაა სავსე, დღესაც დაუღალავად, შეუპოვრად განაგრძობს მუშაობას.

ახალი მიღწევები ვუსურვოთ ჩვენს დაცხრომელ თანამემამულეს.

ლამარა ისაკაძე



საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

რეკომენდებუ № 3

18 მარტი 1965 წელი

დამნაშავეთა თავდაპირველ და პირობით მსჯავრდებულთა საზოგადოებრივობაზე ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემის სასამართლო პრაქტიკის შემსახურად

განხილვა რა სასამართლო პრაქტიკის განვითარების მასალები დამნაშავეთა თავდაპირველ და პირობით მსჯავრდებულთა საზოგადოებრივობაზე ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემის შესახებ, პლენუმში აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები ხელმძღვანელობდნენ რა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 19 ივნისის „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის დონისძიებათა შეფარდების პრაქტიკის შესახებ“, 1959 წლის 19 დეკემბრის „სასამართლო ორგანოთა საქმიანობის შესახებ დანაშაულობასთან ბრძოლაში საზოგადოებრივი როლის ამაღლებასთან დაკავშირებით“ და 1962 წლის 31 ივლისის „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდების პრაქტიკაში ზოგიერთ ნაკლოვანებათა შესახებ“ დადგენილებებით, ამ ბოლო დროს გარკვეული მუშაობა ჩატარეს იმ მიმართებით, რათა უფრო სწორად და ფართოდ ჩაახან საზოგადოებრიობა დანაშაულობასთან ბრძოლაში და სისხლის სამართლის სასჯელების სწორად შეფარდებაში.

საქმეში განხილვისას სასამართლოები უფრო გულმოდგინედ უკეთებენ ანალიზს თვითუფლებო სამართალში მიცემულის როლს ჩადენილ დანაშაულში, არკვევენ მისი პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებებს, ადგენენ ჩადენილი დანაშაულის მიზეზებს, მოტივებსა და იმ მონაცემებს, რომლებიც ახსიათებენ სამართალში მიცემულის წარსულს, უფრო დაკვირვებით უდგებიან სასჯელის დონისძიების შეფარდებას.

დანაშაულობათა აცილების საქმეში სასამართლო პრაქტიკაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის ისეთი დონისძიების შეფარდებას, რაც არაა დაკავშირებული თავისუფლების ადკვეთასთან.

სასამართლო პრაქტიკაში უფრო ფართო გამოყენება ჰპოვა პირობითი სასჯელის შეფარდე-

ბამ, მათ შორის პირობით მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და თავდაპირველად აღსაზრდელად და გამოსასწორებლად იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა ან მშრომელთა კოლექტივებზე გადაცემის რომელთაც უშამდგომლობა აღძრეს.

სასამართლო ორგანოების მუშაობაში უფრო მეტად ჰპოვა გამოყენება პრაქტიკაში—საქმეების განხილვა გამსვლელ სესიებზე უშუალოდ სამართალში მიცემულის სამუშაო ადგილზე, საზოგადოებრივი ბრალმძებლებისა და საზოგადოებრივ დამცველთა მონაწილეობით.

რესპუბლიკის სასამართლოების დიდი უმრავლესობა სწორად ახამებს რა საზოგადოებრიობის როლს დანაშაულობასთან ბრძოლაში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად, რომლითაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა ამხანაგური სასამართლოების უფლება, უფრო მეტ საქმეებსა და მასალებს უგზავნიან საზოგადოებრივ სამსჯავროებს და ამხანაგურ სასამართლოებს იმ სამართლის დამრღვევთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს მცირე მნიშვნელობის დანაშაული.

ამასთან ერთად პლენუმში აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკაში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს აღნიშნულ დადგენილებათა შესრულების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მაგალითად, რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების მიერ 1964 წლის განმავლობაში პირობით მსჯავრდებულთა საერთო რიცხვიდან მხოლოდ ნაწილი იქნა გადაცემული მშრომელთა კოლექტივებზე მათი შემდგომი გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდისათვის.

თუ ქ. რუსთავის, გეგეკეორისა და ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოებმა პირო-

ბით მსჯავრდებულთაგან 70%-ზე მეტი გადასცეს მშრომელთა კოლექტივებს, თანეთის რაიონის (თავმჯდომარე ამხ. შ. როყვა), ორჯონიკიძის რაიონის (თავმჯდომარე ამხ. კამკამიძე), წყალტუბოს რაიონის (თავმჯდომარე ამხ. თ. ტაძე) და ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის (თავმჯდომარე ამხ. ა. წიქარიძე) სახალხო სასამართლოებმა სრულიად არ გადასცეს პირობით მსჯავრდებულნი მშრომელთა კოლექტივებს ხელახლა აღზრდისათვის, ან გადასცეს მეთად უმნიშვნელო რაოდენობით.

ახალქალაქის, ბოლნისის, ლენინგორის, ჯავის, მთავრის, ცხინვალის რაიონის, აგრეთვე ქ. სოხუმის სახალხო სასამართლოები ნაკლებად აბევენ საქმის განხილვაში საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, არ გამოაქვთ განჩინებები საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დაშვების შესახებ ანდა სამსჯავრო განხილვაში მონაწილეობის მისაღებად საზოგადოებრივი ბრალმდებლის და საზოგადოებრივი დამცველის სახით უშვებენ ერთსადაიმეც ორგანიზაციებიდან გამოყოფილ პირებს სამართალში მიცემულის მიმართ. ხოლო მთავრის რაიონის (თავმჯდომარე ლ. ლილუაშვილი) სახალხო სასამართლო საზოგადოებრივ ბრალმდებლად და საზოგადოებრივ დამცველად უშვებს შემთხვევით პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ არავითარ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან მშრომელთა კოლექტივს.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ფაქტები, როდესაც სასამართლოები სამართლის დამრღვევს გადასცემენ თავლებქვეშ მშრომელთა კოლექტივებს მათი შუამდგომლობის გარეშე, ან სრულიად არ იხილავენ ამ შუამდგომლობებს და არ უკეთებენ მოტივირებას თვითნებ გადაწყვეტილებებს. კანონის ასეთი დარღვევებია დაშვებული ქ. სოხუმის, გუდაუთის რაიონის, აფხაზეთის ასსრ, ზნაურის, ჯავის რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ახალქალაქის, ბოლნისის, წალენჯიხის და სხვ. რაიონების სახალხო სასამართლოების მიერ.

იშვიათი როდია შემთხვევები, როცა სახალხო სასამართლოები პირობით მსჯავრდებულ სამართლის დამრღვევს გადასცემენ რა მშრომელთა კოლექტივს ხელახლა აღზრდისა და გამოსწორებისათვის არ უნიშნავენ მას საგამოცდო ვადას.

პრაქტიკაში ჯერ კიდევ მცირეა საქმეთა განხილვა უშუალოდ მსჯავრდებულთა სამუშაო ადგილების მიხედვით, არასაკმარისად აკონტროლებენ მშრომელთა კოლექტივებზე გადაცემულ სამართლის დამრღვევთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას.

პრაქტიკაში ჯერ კიდევ მცირეა განხილვა უშუალოდ მსჯავრდებულთა სამუშაო ადგილების მიხედვით, არასაკმარისად აკონტროლებენ მშრომელთა კოლექტივებზე გადაცემულ სამართლის დამრღვევთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას.

რესპუბლიკის სასამართლოების მიერ ჯერ კიდევ არასრულყოფილად სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის იანვრის ბრძანებულება. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების მიერ 1964 წელს ყველა მსჯავრდებულთა რიცხვიდან კერძო ბრალდების საქმეებზე მსჯავრდებულთა 2,2%, რაც შეადგენს აჭარის ასსრ რესპუბლიკაში 9,1%, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში 18,4%, რაც შედეგია ზოგიერთ სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ ფორმალური მიდგომისა მოქალაქეთა მსჯავრდების საკითხში და საზოგადოებრივ როლის შეუფასებლობაში.

მაგალითად, ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. ლ. ბელიავსკაია) ნინა შახულის ასულ დოლომაზოვას, წინათ სამართალში არ ყოფილს, საქართველოს სსრ სსკ 138 მუხლის 1 ნაწილით მიუსჯა ფულადი ჯარიმა 30 მანეთის რაოდენობით.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ (მოსამართლე ამხ. ვ. კერხელიძე) მერი ნიკოლოზის ასული სულხანიშვილი საქართველოს სსრ სსკ 112-ე მუხლის II ნაწილით მსჯავრდებული იქნა პირობით ერთი წლის ვადით.

ქ. ცხინვალის სახალხო სასამართლოს მიერ (მოსამართლე ამხ. ა. ვალიევი) სამრეწველო კომბინატის მეწაღე ა. ტ. ძიგაევი, რომელმაც ფულადი ქვითრების გაფორმების გარეშე შეაკეთა ორი წყვილი ფეხსაცმელი უსაფუძვლოდ იქნა მსჯავრდებული და ცნობილი იქნა ისეთ პიროვნებად, რომელიც ეწევა კერძო მეწარმეობას.

ასეთ შემთხვევაში მსჯავრდებულთა ხასიათისა და პიროვნების გათვალისწინებით, საქმისათვის სასარგებლოდ, ასეთი და მსგავსი საქმეები განხილული უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი შემოქმედების ძალეობით, რაც გაცილებით უფრო მეტ ეფექტს მოგვცემდა.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და რესპუბლიკის სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესების, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში საზოგადოებრიობის ჩაბმის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. აფხაზეთი და აჭარის ასსრ უმაღლესმა

სასამართლოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოლქო სასამართლომ და ყველა სხალხო სასამართლოებმა გააუმჯობესონ მუშაობა იმ სამართლისდამრღვევთა თავდებქვეშ და ამხანაგურ სასამართლოებზე გადაცემის საქმეში, რომლებმაც ჩაიდინეს მცირე მნიშვნელობის დანაშაული, ამასთან გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა სისხლის სამართლის საქმეების განხილვაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ჩაბმით.

2. სასამართლოებმა მიიღონ ზომები სასამართლო პროცესების კულტურისა და აღმზრდელობითი მნიშვნელობის ამაღლებისათვის, ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში სამართალდამრღვევთა მიმართ საქმეების გამსვლელი სესიებით განხილვა უშუალოდ მათი სამუშაო ადგილის მიხედვით.

3. დაევალოს რესპუბლიკის სასამართლოებს პირობითი სასჯელის დანიშვნისას, როგორც წესი, განიხილონ საკითხი პირობით მსჯავრდებულის საზოგადოებრიობაზე აღსაზრდელად გადაცემის შესახებ.

4. სასამართლოებმა ფართოდ ჩაბან საზოგადოებრიობა და სხალხო მსაჯულთა საბჭო სასამართლო საქმიანობაში, რათა მათ კონტროლი გაუწიონ პირობით მსჯავრდებულთა და მშრომელთა კოლექტივებზე თავდებ ქვეშ გადაცემულ პირთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას.

5. საზოგადოებრივი ბრალმდებლის და სა-

ზოგადოებრივი დამცველის საქმეების განხილვაზე დაშვების საკითხის გადაწყვეტინას, კერძო ბრალდების საქმეებზე და სხვა მცირემნიშვნელოვან სამართლის დარღვევებზე მასალების ამხანაგურ სასამართლოებზე გადაცემისას სასამართლოებმა მტკიცედ იხელმძღვანელონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმის 1960 წლის 26 მარტის დადგენილებით და დებულებებით ამხანაგური სასამართლოების შესახებ.

6. განემარტოთ სასამართლოებს, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში ისინი ვალდებული არიან განიხილონ კოლექტივის შუამდგომლობა და მიიღონ მათზე მოტივირებული გადაწყვეტილებანი.

7. აფხაზეთის და აჭარის ასრ უმაღლესმა სასამართლოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოლქო სასამართლოებმა სისტემატიურად შეისწავლონ სამართლის დამრღვევთა საზოგადოებრიობაზე თავდებქვეშ და ხელახლა აღსაზრდელად გადაცემის, აგრეთვე მათ მიერ ამხანაგურ სასამართლოებზე საქმეების განსახილველად გადაცემის პრაქტიკა და დასახონ შესაბამისი ღონისძიებანი.

8. რესპუბლიკის ყველა სასამართლოებზე იქნეს დაყვანილი „სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა სამართლის დამრღვევთა თავდებქვეშ საზოგადოებრიობაზე ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემისას კანონის შეფარდების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **3. მანისურაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **ზ. მისენზისერი**

იურიდიული ზიკინოლოგიის გამო

1. იურიდიულ ტერმინოლოგიას, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სამართალმცოდნეობის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკისათვის, ისე ჩვენს ენობრივი კულტურის თვალსაზრისითაც.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქართულ ენაზე არა ერთი დარგობრივი თუ საერთო ხასიათის ლექსიკონი გამოიცა. გვაკლდა, კერძოდ, იურიდიული ტერმინოლოგია. მისი გამოქვეყნებით ეს ხარვეზიც შეივსო.

იურიდიული ტერმინოლოგიის შესადგენად ნიადაგი ჩვენში დიდი ხანია მზადდებოდა. იქმნებოდა კანონმდებლობა, იწერებოდა შრომები სამართალმცოდნეობის შესახებ და სხვ. ამასთან დაკავშირებით, ცხადია, მუშავდებოდა სათანადო ტერმინებიც. მაგრამ ეს ტერმინები, სხვადასხვა გამოცემაში გაფანტული, ფართო მკითხველისათვის მიუწვდომელი იყო. გარდა ამისა, ჩვენს იურიდიულ ტერმინებს დიდი სიჭრელე ახასიათებდა, რაც ჩვეულებრივია ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ყოველი სიტყვისათვის. ზოგი მათგანი არ იყო ზუსტი, ნაწილი კიდევ ნაკლებად გამოთქმებოდა ენობრივი გაუმართაობის გამო. ამასთან, საკმაოდ არ იყო შესწავლილი და გათვალისწინებული ძველი ქართული იურიდიული დამწერლობა.

საჭირო იყო იურიდიული სიტყვების მთელი არსებული მარაგის ერთად თავმოყრა, შერჩევა-შემოწმება, დაზუსტება, უხერხოდ ტერმინების უკუგდება, ახლების დადგენა, წარსულის იურიდიულ ძველთა ენის მოშველიება-მიმარჯვება, მოცემული მასალის ლიტერატურულად დასწავა და ყოველმხრივ გადამწავება. ასეთი რთული და პასუხსავეები ამოცანა იდგა ტერმინოლოგიის შემდგენელთა და რედაქტორთა წინაშე. უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა ძირითადად წარმატებით არის გადაჭრილი.


2. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი ის იყო, თუ რა სიტყვებით შეეცანათ ლექსიკონში. ამ საკითხის გადაწყვეტა საკმაოდ ძნელი და რთულია. ლექსიკონის საკუთრივ იურიდიული ტერმინებით შემოფარგულა მიზანშეუწონელი იქნებოდა და თანაც გაჭირდებოდა. საქმე ის არის, რომ სამართალი როდია მეცნიერებისა და პრაქტიკის კარჩაკეტილი დარგი, არამედ მჭიდროდ დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ მოვლენებთან. ამას ასე თუ ისე თავისი გამოსატყულება უნდა ეპოვნა. „ტერმინოლოგიაში“ ეს გარემოება მსხვედრობის მიიღო.

მაგრამ აქ ზომის დაცვა, მკვეთრი ხაზის გავლება ნამდვილად იურიდიულსა, ახლიურიდიულსა და

არაიურიდიულს შორის იოლი არ აღმოჩნდა. და უნდა აღინიშნოს, რომ საჭირო ზომა მთლად არ არის დაცული. ლექსიკონში ბლომადაა შეტანილი ისეთი სიტყვები, რომლებსაც ასლო დამოკიდებულება არაა აქვთ სამართალთან. მაგალითების დასახელება შორს წაგვიყვანდა. „ტერმინოლოგიის“ ზერეფე გადათავალიერებისასაც კი უმალ თვალში გეცემათ ამგვარი სიტყვების სიმრავლე. მაინც, ეს „სიუსხვე“ არსებით ნაკლად ვერ ჩათვლება. მთავარია, რომ ლექსიკონში ფართოდაა წარმოდგენილი მიღებულ-გავრცელებული იურიდიული ტერმინები და სამართალთან დაკავშირებული სხვა სიტყვები და გამოთქმები.

3. „ტერმინოლოგიის“ შედგენის პრინციპები და სიტყვების დალაგების სისტემა, რაზედაც ვრცლად არის ლაპარაკი ბოლოსიტყვაობაში, საერთოდ მისაღებია და თანამედროვე ლექსიკოგრაფიის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მხოლოდ რამდენიმე მცირე შენიშვნა: ა) უცხოური სიტყვების ქართული შესატყვისები შეიძლებოდა და საჭიროც იყო გაცილებით მეტი რაოდენობით მოეცათ. მრავალთავან ერთი მაგალითი: აკორდული სამუშაო, ა. მუშაობა. აკორდული—ეს ძველი, ახლა ხმარებიდან თითქმის გასული სიტყვა—სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა სანარდს; მასასადამე, ქართულ შესატყვისად გვეჩვენოდა სანარდო სამუშაო, მუშაობა; ბ) რუსული გამოთქმები შებრუნებითაც არის მოცემული, რათა, როგორც ბოლოსიტყვაობაში აღნიშნულია, ტერმინოლოგიით სარგებლობა გაადვილდეს. იქნებ ეს განვიორგება ზედმეტი იყოს, რამდენადაც ლექსიკონის გადატვირთვას იწვევს. მისი მომხმარებელი ხომ განათლებული კაცია, რომელსაც უამისოდაც არ გაუძნელდებოდა საჭირო სიტყვების ადვილად მოიხსნავ;

4. Верховный — უ ხ ე ნ ა ე ს ი. ჩვენ მივესალმებით ზოგიერთი ძველისძველი, მაგრამ რატომაც უგულვებელყოფილი და დამცირებული სიტყვის დამკვიდრებას „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“. ასეთ სიტყვებს განეკუთვნება უ ხ ე ნ ა ე ს ი. ერთ მშვენიერ დღეს ეს სიტყვა, როგორც გარკვეული სახელწოდების ნაწილი, გაქრა ხმარებიდან და სამაგიეროდ შემოღებულ იქნა უმაღლესი. რანაირად და რატომ მოხდა ეს, ამას ახლა არ გამოვეუიკებით. ფაქტი ის არის, რომ ამით ქართული ლექსიკა გადარიბდა. ეს ცვლილება ლექსიკონებშიც აისახა, კერძოდ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, სადაც ვკითხულობთ: „უზენაესი საბჭო ისმარებოდა უმაღლესი საბჭოს მნიშვნელობით“. უზენაესი სასამართლო ისმარებოდა უმაღლესი სასამართლოს მნიშვნელობით“. ისმარებოდა, მასასადამე, აღარ ისმარება! უზენაესი



და უმადლესი, მართალია, სინონიმებია, მაგრამ სინონიმი უმეტესად იგივეობას არ ნიშნავს. გვაქვს, მაგ. უმადლესი სასწავლებელი, ხოლო უზენაესი სასწავლებელი ჯერ არავის უთქვამს. უზენაესი მადლი სტილი დამახასიათებელი სიტყვაა და განსაკუთრებული შთაბეჭდილებების მომხდენი. ამ დიდებული სიტყვის თუნდაც ნაწილობრივი უარყოფა შეუწყნარებელია. და საესებით მართებულად მოიქცნენ „ტერმინოლოგიის“ ავტორები, ეს სიტყვა რომ აღადგინეს. „ტერმინოლოგიაში“ ყველგან ვკითხულობთ: უზენაესი საბჭო, უზენაესი სასამართლო, უზენაესი მეთაური, უზენაესი მთავარსარდალი და სხვ.

5. მეორე ამგვარი სიტყვაა ერთგვული. ერთგვული ძალიან შესრულებულ ფარგლებში იხმარება და მის საცვლად შემოღებულია ნაციონალური. თავისთავად ნაციონალურის წინააღმდეგ არაფერი გვეთქმის და ჩვენს ენაში მისი ხმარებაც დასაშვებია. ოღონდ სიტყვა, ერთგულის ათვალისწინება მიუტევებელია. საქმე ისე წარმოუდგენიათ, თითქოს ერთგული იყოს რაღაც კუთხური, პროვინციული სიტყვა, რომელიც ვერ გამოხატავდეს ნაციონალურის მთელ შინაარსს. რა თქმა უნდა, ეს უაზრობაა. განა მტკიცება უნდა, რომ ერთგული სრულფასოვანი სიტყვაა, რომელიც საესებით მოიცავს ნაციონალურის ნიშნელობას. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ბირველი სიტყვა ნამდვილი ქართულია, მეორე კი უცხოური გახლავთ. მიუხედავად ამისა, სიტყვა ერთგულის გამოყენების სფერო ფაქტობრივად ძალზე ვიწროა. აიღეთ, მაგალითად, პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო, საიდანაც სიტყვა ერთგული გადაჭრით განდევნილია და სადაც იგი ნაციონალურით არის შეცვლილი. ყველგან წერია: ნაციონალური კულტურა, ნაციონალური ეკონომიკა, ნაციონალური შემოსავალი, ნაციონალური სახელმწიფო, ნაციონალური პოლიტიკა, ნაციონალური ურთიერთობა და მრავალი სხვა. გამოდის, რომ ქართულში სიტყვა ერთგული სულაც არ არსებობს!

შობლიური სიტყვის ძალაში დატევა, მისდამი უნდობლობა ყოველთვის ერთგული ნიპილიზმისა და გადაგვარების მაჩვენებელი ყოფილა. „იურიდიული ტერმინოლოგიის“ დამსახურება, სხვათა შორის, ისიც არის, რომ მან სიტყვა ერთგულს შემბალული უფლებები აღუდგინა და ყველა შემთხვევისათვის დაამკვიდრა.

6. Подсудимый — განსახლები. კარგი მიგნებაა. ერთ დროს იხმარებოდა ბრალდებული, მაგრამ ეს სხვა ცნება გახლავთ. მერე შემოვიდა სამართალში მიცემული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი აზრობრივად სწორია, იგი, როგორც ორი სიტყვისაგან შემდგარი, ნაკლებად შესაფერისია, თანაც ფრანგოლოგიაში ძნელად გამოსაყენებელი გამოიღვა. შეიძლებოდა შემოგველო გასასამართლებელი, მაგრამ ეს სიტყვაც არ არის მიიწვდამინე მარჯვე. განსახლები, რომელსაც დიდი ილია ხმარობდა, საგანგებოდ იურიდიული ცნების გამოსახატავად არ

ყოფილა განკუთვნილი. იგი ამა თუ იმ სასწავლებლო რიგი მოვლენის განსჯას, ამა თუ იმ პიროვნების მოღვაწეობის შეფასებას ნიშნავდა. ამ ტერმინს საესებით შესწევს უნარი გაამართლოს თავისი ახალი ფუნქცია — გამოსატოს გარკვეული ბრალდების გამო სამართალში მიცემულის ცნება.

7. Доказательство — მტკიცებულება. ტერმინის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანთვისებაა ღირსება ის არის, რომ იგი მოკლე უნდა იყოს, შეძლებისდაგვარად ერთი სიტყვისაგან ან, ყოველ შემთხვევაში, ორი თუ მეტი, მაგრამ უსათუოდ შეერთებული სიტყვისაგან (კომპოზიტი) შედგებოდეს. აღწერილობითი ხასიათის ტერმინი, ნამდვილი რმ ითქვას, ტერმინი კი არა, განმარტებაა. ასე, მაგალითად, ჩვენს ტერმინოლოგიაში четвертование ასეა გადმოცემული: ხელ-ფეხისა და თავის მოკვეთა. სრული სურათი მაინც არ გამოდის. უნდა მიემატოს კიდევ: ცალ-ცალკე; სიკვდილით დასჯის ასეთი ხერხის დროს ცალ-ცალკე და დაყოვნებით მოპკვეთდნენ ხელზე ხელს, ფეხს და თავს, რათა მსჯავრდებულის ტანჯვა გაესანგრძლივებინათ და თანაც დამსწრეთა ველური გრძობები დაეკმაყოფილებინათ. სიკვდილით დასჯის ამგვარი ხერხი ჩვენს წარსულში, ალბათ, არ იყო მიღებული, და შესაბამისი ტერმინიც არ გვექნებოდა.

ჩვენ აქ სიტყვა გავაგრძელებთ იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ აღგვინიშნა საზგასმით: ტერმინი, რამდენაც ეს შესაძლებელია, ერთი სიტყვა უნდა იყოს. რაც შეეხება მტკიცებულებას, წინათ ამის მაგივრად იხმარებოდა დამამტკიცებელი საბუთი. ეს აზრობრივად იგივეა. ახლა ამის ნაცვლად ერთი სიტყვა უმჯობინებიათ და შემოუღიათ, რაც მართებულად უნდა ჩაითვალოს. ერთგვარი უხერხულობა მაინც შემინუნება: მტკიცებულება არ არის საკმაოდ მობილური ტერმინი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭიროდ ხდება მისი მრავლობით რიცხვში გამოყენება; მტკიცებულებების, მტკიცებულებებს, მტკიცებულებებმა, მტკიცებულებებით. რა თქმა უნდა, ტერმინი რუსთაველის პოეტური სიტყვა არ არის და არც შეიძლება იყოს. მაგრამ აქაც გარკვეული კეთილშობიანება სავალდებულოა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით უკეთესი ტერმინი ამ ცნების გამოსახატავად არა გვაქვს.

8. Состязание — შეჯიბრება. თავისთავად ამ სიტყვის საწინააღმდეგო არაფერი ითქმის. ოღონდ იგი უფრო გავრცელებულია სპორტულ ტერმინოლოგიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ სოციალისტურ შეჯიბრებაზე, რომელიც სოციალისტური მშენებლობის მეთოდია და საყოველთაო-სახალხო მოძრაობას წარმოადგენს. არ უნდა დავიფიქროთ ერთი სიტყვა, რომელიც წინათ იხმარებოდა და რომელიც სწორედ მხარეთა კამათს, მსჯელობას ნიშნავს. ეს გახლავთ პაექრობა. თანაც იგი საკმაოდ მოქნილი სიტყვაა: გაპაექრება, ეპაექრება, პაექრობენ, საპაექრო და სხვ. ამრიგად, ცნების გამოსახატავად და

სიტყვის ადვილად გამოყენების თვალსაზრისით უპირატესობა პაქტობას უნდა მიეცეს.

9. **Взыскание** — სახდელი, გადახდები. განიხილეთ. სახდელი შენიღბული გადასახდელია. გადასახდელი (სახდელი) ის გასლავთ, რაც უნდა ანაზღაურდეს, არის ეს ვალი, სესხი, ზარალი თუ სხვა რამ. გადასდევინებაც რაიმე მატერიალური ფასეულობის ანაზღაურებაა. ქართულში ამ სიტყვებს (გადასახდელს, გადასდევინებას) სხვა მნიშვნელობა არა აქვთ, თუ მათ ხელოვნურად არ მივაკუთვნებთ სასჯელის, დასჯის გამომსატველი შინაარსი, როგორც ამას ჩვენი „ტერმინოლოგია“ ცდილობს.

საეჭვოა პრაქტიკამ მიიღოს „პარტიული სახდელი“, „პარტიული გადასდევინება“, „ადმინისტრაციული სახდელი“, „ადმინისტრაციული გადასდევინება“, რასაც „ტერმინოლოგია“ გვთავაზობს ნაცვლად სასჯელისა, სასჯელის დადებისა. ყოველ ენაში ჩვეულებრივია, რომ სიტყვა ზოგჯერ რამდენიმე მნიშვნელობას შეიცავს, მაგრამ ეს სრულიადაც არ იწვევს გაუგებრობას. ყველაფერს კონტექსტი არეგვებს. ჩვენ, ცხადია, წინააღმდეგი არა ვართ იმისა, რომ შემოვიღოთ ახალი სიტყვები, ან ახალი მნიშვნელობა მივაკუთვნოთ არსებულ სიტყვებს, როცა ეს აუცილებელია და, რაც მთავარია როცა ეს ენის ბუნებას შეესაბამება. მაგრამ ამ შემთხვევაში „ტერმინოლოგიის“ ცდა ხელოვნურად, ნაძალადევად გვეჩვენება.

10. **Полустительство** — მიმნებებლობა. მთლად მარჯვე ტერმინი არ უნდა იყოს. ძნელად წარმოსათქმელია და ფრაზაშიც გავეჭირდებამ ამ ტერმინის და მასთან დაკავშირებულ სიტყვების გამოყენება. არც რუსულ-ქართულ ლექსიკონში მოცემული ორსიტყვიანი ფარიანტა მაინცდამაინც სერიანი: ხელის მიშვება, ხელის შეშვება. ამავე დროს არის პრესაში შემოსული და საკმაოდ გავრცელებული სიტყვა: წაყრუება და მასთან დაკავშირებული ფორმები — წამყრუებლობა, წამყრუებელი, წაყრუება და სხვ. იქნებ ამ შემთხვევაში ის სიტყვა უფრო გამოდგეს.

11. **Публичная казнь** — საჯაროდ დასჯა, საჭეყნოდ დ. აზრობრივად ზუსტი არ არის. დამნაშავე შეიძლება საჯაროდ სხვადასხვანაირად დასაჯონ: გაჯოსონ, მწყობრში გაატარონ, უკუღმა შესვან სახედარზე შესარცხვენად (როგორც ჩვენში იცოდნენ) და მისთ. მაგრამ აქ ეს არ იგულისხმება. რუსული казнь უეჭველად ნიშნავს სიკვდილით დასჯას, ქართული დასჯა კი ამ მომენტს აუცილებლად არ შეიცავს. უნდა იყოს: საჯაროდ, საჭეყნოდ სიკვდილით დასჯა.

12. **Национализировать** — ანაციონალიზება, ნაციონალიზაციის მოხდენა, გაეროვნულება. აქ ორი რამ არის ერთმანეთში არეული. ნაციონალიზაცია, ნაციონალიზება ნიშნავს კერძო საკუთრების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებას. ნაციონალიზაციის მეორე მნიშვნელობაა ამა თუ იმ სახე-

ლმწიფო ან სხვა სათანადო ერთეულის კონფუნქციონირება და ადგილობრივი ძალებით მოწყობა; აპარატის, სკოლის და მისთ. გაეროვნულება. ალბათ, კორექტურული შეცდომაა, რომელიც აზრს ამანონტებს: ნაციონალიზება, გაეროვნულება (ციფრებით (1. 2) უნდა გამოიყოფიერ ერთმანეთისაგან, როგორც ამას ასეთ შემთხვევაში აკეთებენ.

13. **Боярская дума** — ბოიართა დუმა. ბ. საბჭო. დუმა თუ საბჭო? „ტერმინოლოგია“, როგორც ჩანს, დუმას ანიჭებს უპირატესობას, რამდენადაც ამ სიტყვას პირველ რიგში ათავსებს. ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში თითქმის უფრო საბჭოა მიღებული. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. აქ საქმე ეგება იმას, უნდა ითარგმნებოდეს თუ არა დაწესებულების, ორგანიზაციის სახელი და სახელწოდება. ამ საკითხს ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, ვერ გადავწყვეტთ. ყოველ შემთხვევაში, Государственная дума — ქართულად სახელმწიფო სათათბიროდ არის ცნობილი, და არავის მოსვლია აზრად, რომ რუსული სახელწოდება შეენარჩუნებინა.

14. **Ревность** — დაზო. ჩვენ კარგად არ გვესმის, რას ნიშნავს აქ დაზო. განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: 1. შურიანი, ბიროტი. 2. უბედურება, საზიანო რამ. არა გვეონია, რომ ამ სიტყვას ჩვენს „ტერმინოლოგიაში“ ეს მნიშვნელობა ჰქონდეს. არსებობს ფსიქიატრიის ტერმინი დაზოიანობა, რაც ეჭვიანობის აზრით იხმარება და რასაც სასამართლო პრაქტიკაც იცნობს. „იურიდიული ტერმინოლოგიაში“, ალბათ, ეს იგულისხმება. ვფიქრობთ, რომ ეჭვიანობას, როგორც უფრო გავრცელებულ და ყველაასთვის გასაგებ სიტყვას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

15. **Назначение наказания** — სასჯელი დანიშვნა. ჩვეულებრივია ხელფასის, პენსიის დანიშვნა, თანამდებობაზე დანიშვნა, ქალის დანიშვნა და სხვ. მაგრამ სასჯელის დანიშვნა? სიტყვისიტყვითი თარგმანია. ასეთი შესაძლებლობა არაბუნებრივია. ისე გამოიღოს, თითქმის სასჯელი რაღაც გასამრჯელო, ჯილდო იყოს. ვფიქრობთ, რომ აქ უკეთესია მისჯა, გადაწყვეტა და სხვა ამგვარი. ეს ჩვენი პირადი მოსაზრებაა, რაც ქართული ენის ბუნების შერგძნობას ემყარება.

16. **Неурочная работа** — მუშაობა არა დაწესებულ დროს. თუ сверхурочный არის ზეგანაკვეთური, საზეგანაკვეთო, მაშინ неурочный იქნება არაგანაკვეთური, არასაგანაკვეთო. მაშასადამე, უნდა გვექონდეს არაგანაკვეთური, არასაგანაკვეთო მუშაობა, სამუშაო.

17. **Пожизненный** — სამისდღეში, სამუდამო (სხვადასხვა შემთხვევისათვის). სამისდღეში როგორღაც გვენოთირება, კუთხური გამოთქმის მთაბეჭდილებას ტოვებს. ვფიქრობთ, უკეთესია მთაბეჭდილობა, რაც ყველა სათანადო შემთხვევისათვის გამოდგება. ეს ახალი სიტყვა, ანუ, უკეთ, თავისებურად შერწყმული ორი ძველი სიტყვა, იძლევა ტე-



რმინს, რომელიც ცნებას სახვებით ზუსტად გამოხატავს და ენობრივადც გამართული ჩანს.

18. **Объявление.** Явка — ორივე გამოცხადებაა. ენაში ასეთი დამთხვევა ბუნებრივად და ჩვეულებრივი. მაგრამ ფრანგში ეს ზოგჯერ ერთგვარ უსერხულობას იწვევს. კანონებში ჩვენ შევხვდით ასეთ წინადადებას: უკვალოდ დაკარგულად გამოცხადებულის გამოცხადება. ამგვარი ტავტოლოგია არ ვარგა. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია იმაზე, რომ კაცი უკვალოდ დაკარგულად იყო მიჩნეული, აღიარებული; მეორე შემთხვევაში კი იგულისხმება, რომ ეს კაცი გამოცხადდა, გამოჩნდა, დაბრუნდა. სიტყვების ასეთი არასასიამოვნო განმეორების თავიდან ასაცილებლად ტერმინოლოგია ვარიანტებსაც უნდა იძლეოდეს. ჩვენს ტერმინოლოგიაში ეს წესადაა მიღებული, მაგრამ ზოგჯერ ამ წესს არ იცავენ.

ზემოაღნიშნული ფრანგ შეიძლებოდა, მაგალითად, ასე გამართულიყო: უკვალოდ დაკარგულად მიჩნეული (აღიარებული) პირის გამოცხადება; უკვალოდ დაკარგულად გამოცხადებული პირის გამოჩენა, დაბრუნება და სხვ.

19. **Защита.** Охрана — იგივე მდგომარეობაა. ორივე სიტყვისათვის დაცვა გვაქვს, რაც აზრობრივად სახვებით სწორია. მაგრამ ხდება ხოლმე, რომ ფრანგში განმეორება გამოდის. მაგალითად კანონით დაცული ინტერესების დაცვა, რასაც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში წავაწყდით, დიდი უბედურება აქ არ არის. მაინც საჭიროა მრავალფეროვნება. შეიძლებოდა ასე გვეთქვა: კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დაცვა. ქართულ ენას საამისო რესურსები გააჩნია. ამიტომ ტერმინოლოგია ყურადღებას უნდა აქცევდეს იმასაც, თუ როგორ ვამართება ესა თუ ის სიტყვა წინადადებაში.

20. **Доверенность** — რწმუნებულება. უფრო მართებულია დაიწეროს რწმუნებულობა. მაგრამ ეს არაფერია. ჩვენ გვიანტერესებს, არსებობს თუ არა ქართულად სიტყვა მინდობილობა. ცალკე ლექსიკური ერთეულის სახით ამ სიტყვას ვერსად შევხვდით. იგი ერთ-ორ ალავას ნახმარია მხოლოდ მსაზღვრელად. ამავე დროს მინდობილობა ქართულში სახვებით დამოუკიდებელი და ტევადი სიტყვაა, ნიშნავს გარკვეულ დავალებას, საბუთს. რა თქმა უნდა, რწმუნებულობას, უფლებამოსილობის აღმნიშვნელ სიტყვას, ლექსიკაში თავისი, ამასთან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მეტადრე დიპლომატიკურ ტერმინოლოგიაში. მაგრამ მინდობილობის უგულვებელყოფაც არ შეიძლება.

21. **Занятие** — სამუშაო, საქმე, საქმიანობა, ხელობა. ბევრი საჭირო სიტყვაა

ჩამოთვლილი, რომლებიც ამა თუ იმ კონტექსტში უნდა ვისმართო. მაინც აკლია ერთი ძირითადი სიტყვა, რომელსაც ხშირად შევხვდებით როგორც პრესაში, ისე სათანადო სპეციალურ ლიტერატურაში (პოლიტიკური ეკონომია, სტატისტიკა და სხვ.). ეს არის მოსაქმეობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ „ტერმინოლოგიაში“ შეტანილი არ არის **занятость** — დასაქმებულობა.

22. ჩვენს „ტერმინოლოგიაში“ არ შესულა ბევრი სიტყვა, რომლებსაც ახლო დამოკიდებულება აქვთ სამართალთან. იქ ჩვენ ვერ ვიპოვეთ 1. **Внушение** — ჩაგონება. 2. **Внутреннее право** — შინაგანი სამართალი (შინასამართალი). 3. **Воспроизведение** — გამეორება (პირობითად), მაგ., ნაწარმოების გამეორება (საავტორო სამართალი). 4. **Дружина** — რაზმული. 5. **Квалифицированное большинство** — კვალიფიციური უმრავლესობა. 6. **Корректировать закон** — კანონის კორექტირება, შესწორება. 7. **Крючкотворство** — სრიკიანობა. 8. **Огосударствление** — გასახელმწიფოებრივება. 9. **Очковтирательство** — თვალის ახვევა. 10. **Самодурство** — თავნებობა. 11. **Сутяга** — დაეპარი. 12. **Учинить подлог, сделку** — სიყალბის ჩადენა; გარიგების დადება.

ჩვენ არ განვადრძობთ გამორჩენილი თუ გამოტოვებული სიტყვების ჩამოთვლას, რადგან ეს ტექსტსაც ააჭრელდება და შორსაც წავიყვანდა. შემდგომი გამოცემისათვის იურიდიული ტერმინები და გამოთქმები, ცხადია, უფრო სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი. სხვათა შორის, ამ მიზნით მთლიანად უნდა გამოვიყენოთ იურიდიული კოდექსების ლექსიკა.

23. წიგნს დართული აქვს „შემჩნეული შეცდომების გასწორება“, რომელიც მთელ გვერდს შეიცავს. ამდენივე იქნება „შეუმჩნეველი“ შეცდომებიც. ეს გამოიმცემლობის მაღალსარისხოვანი მუშაობის მაჩვენებლად ვერ ჩაითვლება და რამდენადმე აძნელებს ლექსიკონით სარგებლობას.

24. ჩვენ სრულიადაც არ ვისახავთ მიზნად წარმოგიდგინოთ „ტერმინოლოგიის“ საფუძვლიანი, მის დეტალურ შესწავლაზე დამყარებული შეფასება. ბევრ სადავო ტერმინსა და გამოთქმას არ ვეხებით. ჩვენი შენიშვნები ლექსიკონის ნაუცბადევად გადახედვითა ნაკარხანხევი. იურიდიული ტერმინოლოგიის საკითხი, ისევე როგორც ყოველი სხვა ტერმინოლოგიისა, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროა მისი ვრცლად და ღრმად განხილვა ჩვენი ლექსიკონის შემდგომი სრულყოფის მიზნით და, საერთოდ, ქართული ენის მდიდარ შესაძლებლობათა გამოსავლიანებად.

მონობკაჟია სეკთაჟორისო სეკათლის მნიშვნელოვან პრობლემაზე*

სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო—სამართლებრივ მეცნიერებასა და პრაქტიკაში. სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებები ნეიტრალიტეტზე ხელს უწყობენ საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

ნეიტრალიტეტის პრობლემის მეცნიერულად დამუშავება მეთად რთული და ამასთანავე უაღრესად აქტუალურია. სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი გულისხმობს სამართლებრივი ნორმების ერთ-ერთი ურთულესი კომპლექსის მოქმედებას, რომლის დროსაც სახელმწიფოთა შორის ბევრი წინააღმდეგობა და დავა წარმოიშობა. ლიტერატურაში ნეიტრალიტეტის შესახებ ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას. დოც. გ. ჟვანიას წიგნი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ამ პრობლემის ღრმად დამუშავებაში.

ნაშრომი შედგება შესავალისა და ექვსი თავისაგან.

შესავალში განმარტებულია ნეიტრალიტეტის ზოგადი ცნება, გარკვეულია ნეიტრალიტეტის პოლიტიკის და სამართლის ურთიერთკავშირი, მათი მნიშვნელობა. პირველი თავი წარმოადგენს ნეიტრალიტეტის საერთაშორისო—სამართლებრივი ინსტიტუტის ჩასახვის მოკლე ისტორიულ ნარკვევს. მეორე თავში განხილულია ნეიტრალიტეტის სამართლის ჩამოყალიბება XVII—XVIII საუკუნეებში. მესამე თავში გაშუქებულია ისეთი რთული და მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა ნეიტრალიტეტის სამართლის კოდიფიკაცია. მეოთხე თავი დამოზიადი აქვს სახელმწიფოს ნეიტრალიტეტს, ჰააგის 1907 წლის კონვენციებს. აქ დეტალურადაა განხილული ისეთი საკითხები, როგორცაა: ნეიტრალიტეტის სტატუსის მიღება სახელმწიფოს მიერ, სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი სახმელეთო და საზღვაო ომის პირობებში და ნეიტრალიტეტის სტატუსის მოქმედების შეწყვეტა.

სახელმწიფოს მუდმივი ნეიტრალიტეტი, საყოველთაო უშიშროება და ნეიტრალიტეტი უმნიშვნელოვანესი საკითხებია ნეიტრალიტეტის პრობლემაში. ნაშრომში მათ მიძღვნილი აქვთ მეხუთე და მეექვსე თავები.


განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ ავტორი ნეიტრალიტეტის არსის, მხარეებისა და მნიშვნელობის განხილვისას თანმიმდევრულად იცავს პრინციპულად სწორ პოზიციებს. ავტო-

რი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნეიტრალიტეტი მუდმივი სტატუსის პირობებში მოიცავს აგრეთვე მშვიდობიანობის დროს მოვალეობას, რომ სახელმწიფომ არ იკისროს სხვა სახელმწიფოს სამხედრო დაცვის ვალდებულება, არა დაუშვას თავის ტერიტორიის გამოყენება სამხედრო მიზნით.

წიგნში ვრცელადაა განხილული ნეიტრალიტეტის ჩვეულებითი და კონვენციური ნორმების მატერიალური შინაარსი და ნეიტრალიტეტთან დაკავშირებული რიგი საერთაშორისო—სამართლებრივი ინსტიტუტის მოქმედება. ნაჩვენებია, რომ მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს და სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური წყობის სახელმწიფოების მშვიდობიანი თანარსებობის პრინციპის განხორციელების ხელშეწყობ ფაქტორს. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ნეიტრალიტეტის სტატუსის ანალიზს. ნაშრომში კარგადაა გარკვეული სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის პოლიტიკური და იურიდიული არსი, ის ადგილი და მნიშვნელობა, რომელიც მას ეკუთვნის ღონისძიებათა სისტემაში საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის. წიგნში გამოთქმულია ზოგიერთი პრაქტიკული მნიშვნელობის მოსაზრებანი ნეიტრალიტეტის ინსტიტუტის შემდგომი სრულყოფის და დაცვის შესახებ, რომლებიც ყურადღებას იმსახურებენ.

ნაშრომში კრიტიკულადაა განხილული მთელი რიგი ავტორების შეხედულებები. დასაბუთებულია მათ საწინააღმდეგოდ გამოთქმული მოსაზრებანი. ასე მაგალითად, ზოგიერთი უცხოელი იურისტი უარყოფს ნეიტრალიტეტისა და უშიშროების კოლექტიური ორგანიზაციის ურთიერთ შეთავსების შესაძლებლობას. დოც. გ. ჟვანიას წიგნში დამაჯერებლადაა ნაჩვენები ასეთი შეხედულების უსწორობა, გარკვეულია საერთოდ ნეიტრალიტეტის და კერძოდ მუდმივი ნეიტრალიტეტის შეთავსების შესაძლებლობა უშიშროების კოლექტიური ორგანიზაციის წევრობასთან, ამ შემთხვევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობასთან. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ნეიტრალიტეტის ზოგადი ცნების განმარტება ზოგიერთი ავტორის მიერ ისეა მოცემული, რომ მასში არაა შეტანილი მუდმივი ნეიტრალიტეტის ცნება. წიგნში საგსე-

* გ. ჟვანია. სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, 220 გგ.



ბით სამართლიანად გაკრიტიკებულია და უარყოფილი ასეთი შეხედულება. გ. ყვანია ასეთი მოსაზრების წინააღმდეგ გამოდის. იგი ასახულებს, რომ ნეიტრალიტეტის ზოგადი ცნება აუცილებლად მოიცავს მუდმივი ნეიტრალიტეტის ცნებასაც. იცავს რა ამ შეხედულებას, ავტორი იძლევა ნეიტრალიტეტის სრულ და სწორ ცნებას. ნაშრომში ასევე სწორადაა გარკვეული ზოგიერთი სხვა საერთაშორისო სამართლებრივი საკითხები, რომლებიც ლიტერატურაში მართებულად არ იყო დადგენილი.

ნაშრომში მოტანილია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სათანადო მასალები. ძისინი მრავალმხრივია ვანალოზებული. განხილული საკითხების შესახებ გაკეთებულია სწორი დასკვნები.

გ. ყვანიას წიგნი „სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი“ დაწერილია მაღალ მეცნიერულ და ლიტერატურულ დონეზე. მას შეუძლია კარგი სამსახური გაუწიოს იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტებს და სხვას, გინც მუშაობს საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებზე.

ზოგიერთი შენიშვნა ნაშრომის მიმართ. მუდმივი ნეიტრალიტეტის პრობლემის განხილვისას ავტორი მოქველდებულად თვლის საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში ფრიად გავრცელებულ შეხედულებას, რომელიც ოპენჰეიმის მიერ გამოქმენილია ასე: „აქტს, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო სამუდამოდ ნეიტრალური ხდება, წარმოადგენს სახელმწიფოთა საერთაშორისო ხელშეკრულება ურთიერთსა და ამ სახელმწიფოს შორის; ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულებით სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და მთლიანობას“. ამ დებულების საწინააღმდეგო მოტივად წიგნში ნათქვამია, რომ ნეიტრალიტეტის გამოცხადება სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციური აქტით, სხვა სახელმწიფოს მხრივ მისი „მდუმარე ცნობის“ პირობებში, მუდმივი ნეიტრალიტეტის არსებობად ისევე საერთაშორისო სტატუსს ქმნის, როგორსაც საერთაშორისო ხელშეკრულებაზე დაფუძნებული, ე. ი. სხვა სახელმწიფოების მხრივ გარანტირებული, ანდა მართოდენ *de jure* ცნობილი მუდმივი ნეიტრალიტეტი (იხ. გვ. 168). ვფიქრობთ, რომ ეს არ შეეფერება სინამდვილეს, ხსენებული დებულება მოქველდებული არაა, იგი სწორია თანამედროვე პირობებში. საქმე იმაშია, რომ „მდუმარე ცნობა“ მოკლებულია საერთაშორისო-სამართლებრივ გაფორმებას, მას არ გააჩნია საერთაშორისო სამართლებრივი ძალა, ის არც ნეიტრალურად თავის გამოცხადებულ სახელმწიფოს და არც სხვა სახელმწიფოებს არ აკისრებს არავითარ სამართლებრივ მოვალეობას

გამოცხადებულ ნეიტრალიტეტის დაცვაში, მართალია სახელმწიფოს მიერ კანონის მიღება ნეიტრალიტეტის შესახებ გამოცხადებს მას, რომ სახელმწიფო აცხადებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, მაგრამ როცა იგი საერთაშორისო-სამართლებრივ გაფორმებას მოკლებულია, მაშინ მას არ გააჩნია საერთაშორისო-სამართლებრივი ძალა, ასეთი პოლიტიკის გამტარებელ სახელმწიფოსათვის ნეიტრალიტეტი უფლებას წარმოადგენს და არა მოვალეობას. ამდაგვარად, სახელმწიფოს კანონი ნეიტრალიტეტის შესახებ სასწამ არ ჰოვებს საერთაშორისო-სამართლებრივ გაფორმებას (საერთაშორისო ან სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების სახით), ძალას და გარანტირებას, მანამ ვერ შექმნის ნეიტრალიტეტის საერთაშორისო სტატუსს, როგორც ასეთს.

215-ე გვერდზე ნათქვამია: „მუდმივი ნეიტრალიტეტის გადასვლა აბსოლუტურიდან კვალიფიცირებულზე თავისთავად, ამ ინსტიტუტის ისტორიული ევოლუციის თვალსაზრისით, ერთგვარი უკანდახევა იქნებოდა, მაგრამ მორალურად იგი სავსებით გამართლებულად ჩიითვლება, რამდენადაც ხელს შეუწყობს ბრძოლას აგრესორის წინააღმდეგ... აქ სიტყვა: „ერთგვარი უკანდახევა იქნებოდა“ უადგილოა. ნეიტრალიტეტის ინსტიტუტის განვითარების ისტორიაში პროგრესული მოვლენა ყველა ის, რაც ხელს შეუწყობს აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ შემთხვევაში ობიექტურად რაიმე უკანდახევა არაა ნეიტრალიტეტის ისტორიული ევოლუციის თვალსაზრისითაც.

ავტორი არ ეთანხმება ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებას, რომ გავრთიანებული ერების ორგანიზაციის კოლექტიური სამხედრო სანქციები აგრესორის წინააღმდეგ არ წარმოადგენს ომს ფორმალურ-იურიდიული მნიშვნელობით, თუმც მატერიალურად იგი საომარ მდგომარეობას გულისხმობს. მართალია, ასეთი დებულება ბუნდოვნობას არაა მოკლებული და იწვევს შენიშვნას, მაგრამ წიგნში საკმაოდ არგუმენტირებული არაა მისი საწინააღმდეგო მოსაზრება და სათანადო გარკვეულობა არ არის მასში შეტანილი (იხ. გვ. 216—218).

წიგნში სწორადაა აღნიშნული, რომ მუდმივ ნეიტრალურ სახელმწიფოს მხოლოდ თავდაცვითი ომის უფლება აქვს იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც არღვევს მის ნეიტრალურ ხელშეუხებლობასა და დამოუკიდებლობას. მაგრამ მერე ნათქვამია: „ასეთი თავდაცვისათვის კი ატომგულის იარაღის გამოყენება აგრესორის წინააღმდეგ იქნებოდა უმძიმესი საერთაშორისო დანაშაული: თუ აგრესორი პირველი გამოიყენებს ატომგულის იარაღს მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოს წინააღმდეგ, ეს

საერთაშორისო სამართალი

უკანასკნელი, როგორც ტერიტორიულად მცირე ქვეყანა, ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რომელიც გამოირიცხავს ამგვარი პასუხის გაცემის შესაძლებლობას; ასე რომ მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოს თავდაცვა ატომგულის იარაღით პრაქტიკულად უნდა გავიზიაროთ, როგორც ასეთი იარაღის გამოყენება ჩვეულებრივი იარაღით განხორციელებული აგრესიის წინააღმდეგ (გვ. 219—220). ეს უკანასკნელი სწორია. არასწორად მიგვაჩნია გამოთქმა: „ასეთი თავდაცვისათვის კი ატომგულის იარაღის გამოყენება აგრესორის წინააღმდეგ იქნებოდა უმძიმესი საერთაშორისო დანაშაული“ (გვ. 220). ასეთი აზრი უმართებულო იქნებოდა როგორც საერთაშორისო-სამართლებრივი, აგრეთვე სახელმწიფოს თავდაცვისათვის სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით.

იმავე გვერდზე ავტორი გამორიცხავს ყოველგვარ შესაძლებლობას იმისა, რომ მუდმივ ნეიტრალურ მცირე ქვეყანას ჰქონდეს ატომგულის იარაღი. ეს არაა ლოგიკური ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებასთან, სადაც ნათქვამია ნეიტრალური მცირე ქვეყნის მიერ ხსენებული იარაღის გამოყენების შესაძლებლობაზე და მართებულობაზე.

წიგნში არის გამოთქმა: „...მუდმივ ნეიტრალური სახელმწიფო, როგორც მცირე ქვეყანა, მოკლებულია მატერიალურ შესაძლებლობას შექმნას საკუთარი ატომგულის იარაღი...“ (გვ. 220). ჩვენის აზრით, ასეთი განცხადება საჭიროებს დაზუსტებას, შესწორებას. ჯერ ერთი, აქ ლაპარაკია არა კონკრეტულად რომელიმე მცირე ქვეყანაზე, საერთოდ მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფო წოდებულია მცირე ქვეყნად და მას მხედველობიდან რჩება ის გარემოება, რომ მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფო შეიძლება იყოს დიდი (და, რომელსაც აქვს ატომური იარაღი). მეორე, არაა გამორიცხული, რომ მცირე ქვეყანამ, რომელსაც გააჩნია მაღალი ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური დონე, შესძლოს ატომის იარაღის შექმნა.

მიუხედავად ზოგიერთი შენიშვნებისა და სადავო მომენტებისა, გ. ჟვანიას წიგნი საერთაშორისო-სამართლებრივი ლიტერატურის კარგი შენაძენია.

ხ. როგავა,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიაზე

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიამ მოისმინა გურჯაანის რაიპროკურორის ი. ბურდულაძის ანგარიში — „საზოგადოებრიობის ჩაბმის შესახებ სოციალისტური კანონიერების დარღვევებთან ბრძოლაში“.

კოლეგიაზე აღინიშნა, რომ გურჯაანის რაიონის პროკურატურა ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების განვითარებისა და საზოგადოებრიობასთან კავშირის განმტკიცებისათვის.

საზოგადოებრივ საწყისებზე პროკურორის თანაშემწედ მუშაობს 7 კაცი, რომელთაგანაც ექვსს უმაღლესი იურიდიული განათლება აქვს. საზოგადოებრივი თანაშემწეები დიდ დახმარებას უწევენ გურჯაანის პროკურატურას საჩივრების შემოწმებაში, დამნაშავეთა გამოვლინებასა და მათ შესახებ მასალების შეგროვებაში. ისინი ყურადღებას აქცევენ იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას.

საზოგადოებრივი თანაშემწეებისათვის პროკურორი ი. ბურდულაძე ატარებს საუბრებს, სემინარებს. პროკურატურას კავშირი აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახალხო რაზმეულებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებულ კომისიებთან და სხვ.

რაიპროკურორი ი. ბურდულაძე ხშირად გამოდის მშრომელთა წინაშე ლექცია-მოხსენებებით, საუბრებით. რაიონის პროკურატურის მუშაკების მიერ მოხსენებები — სოციალისტური კანონიერების დარღვევასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის შესახებ ჩატარდა კარდანახში, არაშენდაში და სხვ.

გურჯაანის პროკურატურის მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა დანაშაულთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის ჩაბმის შესახებ, დადებითი შედეგი გამოიღო. მნიშვნელოვნად შემცირდა სხეულის დაზიანების, ბოროტეული ხელოვნობის, ავტოტრანსპორტზე შრომითი დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

ამასთან ერთად კოლეგიაზე აღინიშნა, რომ გურჯაანის რაიონის პროკურატურა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ახდენს თავისი ძალების მობილიზაციას საწარმოებში დანაშაულთან ბრძოლა-

ში საზოგადოებრიობის ფართო მასების ჩასაბმელად. არასაკმაო საზოგადოებრიობის დახმარება დანაშაულის გახსნისა და გამოძიების საქმეში.

მუშაობის გასაუმჯობესებლად კოლეგიამ დასახა სათანადო ღონისძიებანი.

კოლეგიამ მოისმინა აგრეთვე რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსის გ. მეგრელიშვილის გამოხვლა საქმეთა დამატებით გამოძიებაში დაბრუნების მიზეზების შესწავლის შედეგებსა და 1964 წელს საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების ვადების დარღვევის შესახებ.

ახსნა-განმარტებით ამ საკითხზე გამოვიდნენ: ს. პაბიტაშვილი, ს. კაჭარავა, კ. კვიციანი, მ. მეგრელიშვილი, გ. სორდია, ი. ქარადავა, ი. ჯიქია, ი. ბურდული, ა. ანანური.

კოლეგიაზე აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებმა 1964 წელს განახორციელეს ღონისძიებანი დანაშაულისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. მაგრამ ზოგიერთ რაიპროკურორატურაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძვლოდ აღძვრისა და საქმეთა გაჭიანურების შემთხვევები.

ასე მაგალითად, ზუგდიდის რაიონის პროკურატურაში (პროკურორი ს. კაჭარავა) საშუალოდ გამოძიებულებს ყოველთვიურად აქვთ 4—5 საქმე. 1964 წელს გამოძიებული საქმეებიდან 78 — ვადის დარღვევითაა დამთავრებული. სასამართლოდან დამატებით გამოძიებაში დაბრუნდა 37 საქმე, რომელთაგანაც 12 გამოძიებული იყო გ. სორდიას მიერ. წარმოებით შეწყდა 73, მათ შორის, დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო 36 საქმე.

ამავე პროკურატურის გამოძიებლის კ. კვიციანიის მიერ დამთავრებულ 40 საქმიდან 12 საქმეზე დარღვეულია საგამომძიებლო ვადა, სასამართლოზე გადაცემული 35 საქმიდან დამატებით გამოძიებაში დაბრუნდა 6 საქმე.

გარდაბნის რაიპროკურორატურაში (პროკურორი ნ. აბესაძე) გამოძიებულთა საშუალო დატვირთვა თვეში 2—3 საქმეს არ აღემატება. 1964

წელს მათ მიერ დამთავრებული საქმეებიდან 24 საქმეზე დარღვეულია საგამომძიებლო ვადა. სასამართლოში გაგზავნილი 66 საქმიდან დამატებით გამოძიებაში დაბრუნებულია 13 საქმე, წარმოებით შეწყვეტილია 52 საქმე.

გამომძიების ვადების დარღვევის და გამოძიების ხარისხის ცუდი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე ჩხოროწყუს, ახალქალაქის, წყალტუბოს, წალენჯიხის, ქუთაისის და სხვა რაიპროკურატურებს.

ზესტაფონის რაიონის პროკურატურაში დამთავრებული საქმიდან 37 საქმეზე დარღვეულია საგამომძიებლო ვადა, ხოლო სასამართლოში გაგზავნილ 116 საქმიდან დამატებით გამოძიებაში დაბრუნდა 16 საქმე, წარმოებით შეწყვეტილია 44 საქმე. რაიონის პროკურატურის გამომძიებლებმა აბდუშელაშვილმა და ცქიტიშვილმა გააუარესეს გამოძიების ხარისხი.

თელავის რაიონის პროკურატურის გამომძიებელ ი. გოგიაშვილის მიერ გამოძიებულ იქნა ნ. ლომიას სისხლის სამართლის საქმე, რომლის მოქმედება დაკვალიფიცირებულ იქნა საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლით. საბრალდებო დასკვნა დამტკიცა პროკურატორის თანაშემწემ — ი. ბურდულაძემ. აღნიშნული საქმე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დააბრუნა დამატებით გამოძიებაში იმ მოტივით, რომ გამომძიებელი გოგიაშვილი და პროკურატორის თანაშემწე ბურდული ამ საქმეში გადიოდნენ მოწმეებად, ამდენად არ შეეძლოთ თვითონ ჩაეტარებინათ გამოძიება.

დანაშაულის არასწორად დაკვალიფიცირებისათვის პროკურატორის პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ წალენჯიხის რაიონის პროკურატურას დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნა „ენგურმუ-

ნის“ ყოფილი მუშაკის შ. აბზიანიძის დანაშაულის საქმე. საბრალდებო დასკვნა აღნიშნულ საქმეზე დამტკიცებული იყო რაიონის პროკურატორის ი. ქარდავას მიერ.

კოლეგიაზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი რაიპროკურატორები წინასწარი შემოწმების გარეშე, შემოსულ მასალებს გადასცემენ გამომძიებლებს სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად.

კოლეგიამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ზუგდიდის რაიონის პროკურატორს ს. კაჭარავას საგამომძიებლო მუშაობაში დაშვებული შეცდომებისათვის დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, გამომძიებელ გ. სორდიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო გამომძიებელ კ. კვიციანიას მიეცა მითითება.

სისხლის სამართლის საქმეთა უხარისხო გამოძიებისა და ფაქტების უხეში გაჭიანურებისათვის გორის რაიონის გამომძიებელ ა. მეზვრიშვილს გამოეცხადა საყვედური.

აბზიანიძის და სხვათა საქმის უხარისხოდ გამოძიებისა და დანაშაულის არასწორი კვალიფიკაციისათვის ხობის რაიონის პროკურატორის თანაშემწეს ნ. ჯიქიას და წალენჯიხის რაიონის პროკურატორს ი. ქარდავას — გამოეცხადათ საყვედური.

ბრ. ლომიას საქმეზე დაშვებული კანონის უხეში დარღვევისათვის თელავის რაიონის პროკურატურის გამომძიებელ ი. გოგიაშვილს და პროკურატორის თანაშემწე ი. ბურდულას გამოეცხადათ საყვედური.

ზესტაფონის რაიონის პროკურატორი ლ. გრიგალაშვილი მუშაობაში დაშვებული სერიოზული შეცდომებისათვის განთავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო გამომძიებლებს ო. აბდუშელიშვილს და გ. ცქიტიშვილს დაედოთ დისციპლინალური სასჯელი.

მ. კახელი.

ქურსდამთავრებულთა დახმარება

29 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო შეხვედრა ქურსდამთავრებულებისა, რომლებმაც იურისტის დიპლომი მიიღეს 25 წლის წინათ.

აუდიტორიაში ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. ქურსდამთავრებულმა ვ. მოლაშვილმა გვარების ამოკითხვა დაიწყო. კურსი 58 კაცმა დაამთავრა, მათგან 23 სამამულო ომში დაიღუპა.

...თვითეთული ოცნებობდა კარგი იურისტი გამხდარიყო. 1940 წელს დაამთავრეს იურიდიული ფაკულტეტი და აი, მრისხანე 1941 წელი. ვაჟკაცებს უხმო სამშობლომ. ერთად წავიდნენ ქურსდამთავრებულები შურისძიებით ანთებული გულებით. ბევრს სავალდებულო სამხედრო სამსახურში მოუსწრო სამშობლოს ხმამ და პირდაპირ ომში ჩაება.

სამშობლოს დამცველთა რიგებში მყოფთ, ყველას ჰქონდა დაბრუნების იმედი, მაგრამ 23 შინმოუსვლელი დარჩა.

...და აი, თანაკურსელები იხსენებენ განვლილს, ქარცეცხლიან დღეებს.

ტრიბუნაზეა სამამულო ომში პარტიზანული ბრძოლის მონაწილე აპოლონ ჩხაიძე. იგი თანაკურსელებს უამბობს ბრძოლების ეპიზოდებს, ლაბარაკობს იმ ამაღლებველ წუთებზე, როცა იგი შეხვდა თანაკურსელებს:

1944 წლის თებერვალში საბჭოთა ჯარებმა ჟიტომირი გაათავისუფლეს გერმანელებისაგან. მე ვიყავი მზვერავთა ასეულში. ჟიტომირის ახლოს, ერთ-ერთი სოფლის დატოვების დროს, გერმანელებმა სოფელს ცეცხლი წაუკიდეს. მე ბრძოლებმა დავიწყეთ სოფლის გადარჩენა. ამ დროს ჩემთან მოვიდა მოხუცი გლეხი და მითხრა, რომ ცეცხლწყაიდებულ საქონლის ფერმაში საბჭოთა ტყვეები იწვიანო. ჩაკეტილი კარები შევამტვრიეთ. ცეცხლი ჩავაქრეთ. ჩონჩხად-

ქცეული ტყვეები 20 დღე უსმელ-უჭმელი ჩაკეტილი ყოლიათ ფაშისტებს და აწამებდნენ. ცნობაზე მოსულ ტყვეებიდან გავიგე, რომ მათ შორის იყო ქართველი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა იურიდიული ფაკულტეტი. მისი გვარი და სახელი სხვებს რომ არ ეთქვათ, მე ვერც კი ვიცნობდი ჩვენს თანაკურსელ მიშა ერემაძეს. ცრემლმორთული დაეყურებდი მის გაძალტყავებულ უსიცოცხლო სხეულს. მას ორივე ხელები მოყინოდა, ირწეოდა, სრიალებდა, ტუჩებს ამოძრავებდა, ეტეობოდა ხმის ამოღება უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ნახევრად შიშველს, მიქჩრალი, მიღეული სახე წვერით ჰქონდა დაფარული. ცნობაზეც არ მოსულა, ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

გული ეტკინათ თანაკურსელებს, დარბაზში ქვითინიც გაისმა. ცალკე ამოკითხეს გმირულად დაღუპულთა გვარები — ვ. ჯანგველაძე, ვ. გოგუაძე, გ. წვერავა, ბ. შამუგია, ს. გეგეშიძე და სხვ.

ქურსდამთავრებულმა შ. ბენიაშვილმა ილაპარაკა თვითეთული თანაკურსელების საქმიანობაზე, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. როგორც იურიდიულ ფრონტზე ასევე სხვადასხვადაწესებულებებში.

ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ილაპარაკეს თავიანთ საქმიანობაზე ქურსდამთავრებულებმა, ადვოკატთა პრეზიდიუმის კონსულტატმა ს. ნატროშვილმა, ქ. სოხუმის ნოტარიუსმა რ. საგანელიძემ და სხვებმა.

საზეიმო შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები. პროფ. თ. წერეთელი, პროფ. ბ. ფურცხვანიძე და დოც. ნ. ლომსაძე გამოვიდნენ მოგონებებით.

დ. ნანობაშვილი.

თეორიული კონფერენცია

ამ დღეებში საზოგადოება „ცოდნას“ მცხეთის განყოფილების გამგეობამ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის კათედრასთან“ ერთად ჩაატარა თეორიული კონფერენცია თემაზე — დამნაშავეობის მიზეზები და მათი აღმოფხვრის გზები.

კონფერენციაზე მოხსენებით — „დამნაშავეობის მიზეზები სსრ კავშირში“ გამოვიდა პროფესორი ბ. ფურცხვანიძე. „საზოგადოების მო-

ნაწილეობა დამნაშავეობის აღმოფხვრის საქმეში“ ასეთი იყო დ. ცინცაძის მოხსენების თემა, ხოლო დოცენტ ნ. ლომსაძის მოხსენების თემა იყო „სსკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმი და სიახლენი მიწისა და საკოლმეურნეო სამართალში“.

დასასრულ მოხსენებლებმა პასუხი გასცეს მსმენელთა მრავალ შეკითხვას.



კეთილსინდისიერი მუშაკი

არიან ადამიანები, რომლებმაც ბევრი იციან, დაძაბულად შრომობენ, არ ახასიათებთ მრავალსიტყვაობა. ისინი განუწყვეტლივ გრძნობენ თავიანთ პასუხისმგებლობას დაკისრებული მოვალეობისადმი და ათეული წლების განმავლობაში შინაარსიან საინტერესო ცხოვრებას ქმნიან.

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი, სკკპ წევრი, დიდი სამამულო ომის მონაწილე კონსტანტინე ნიკოლოზის ძე კანდელაკი.

25 წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე კ. კანდელაკმა ცხოვრების ფართო გზაზე გამოსასვლელად გამომიქვამის რთული, მაგრამ საინტერესო გზა აირჩია. მთელი 15 წლის განმავლობაში ვინ იცის რამდენი დამნაშავე გამოუმკლავებია, რამდენი საინტერესო საქმე გაუხსნია...

მისი მოუხვეწარი ცხოვრება მუდამ წინ ისწრაფოდა, ახალსა და უფრო სრულყოფილს ეძებდა. ბეჯითად სწავლობდა საქმის თვითეულ დეტალს, რომელსაც შეიძლება ჰქვამარიტება-მდე მიეყვანა. ამ შინაგან ჰიდილსა და ძიებაში ისწრაფად გამოიკვეთა მისი მუშაობის თავისებურება, რომელშიც ერთი შეხედვით ტრადიციულიც ბევრია და უაღრესად ინდივიდუალურიც, მაგრამ ყოველთვის უპირველესი კ. კანდელაკისათვის ჰქვამარიტების დადგენაა.

მის მახვილ გრძნობასა და თვალს შეუმჩნეველი არ რჩება საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ადამიანის სულის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. კ. კანდელაკმა ასეთი კეთილსინდისიერი შრომით კოლეგების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მას დაუფასეს ამაგი.

20 მისის საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკებმა აღნიშნეს კ. ნ. კანდელაკის დაბადების 50 და პროკურატურის ორგანოებში მუშაობის 25 წელი.

დარბაზში თავი მოიყარეს რესპუბლიკისა და თბილისის პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს მუშაკებმა, პრესის წარმომადგენლებმა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწემ ვ. გოგუაძემ. მან დამსწრეთ გააცნო იუბილარის ცხოვრება. კ. კანდელაკი სამშობლოს წინაშეც ვალმოხდილია. მის ზურგზეც გადაიარა ომის ქარცეცხლმა, კალამი შეცვალა იარაღით, რომლითაც მთელი ხუთი წლის განმავლობაში წინა ხაზზე იცავდა დედამშობლოს მტრებისაგან. ომიდან დაბრუნების შემდეგ იგი კვლავ განაგრძობს ბრძოლას გარეწრების, ხულიგნების წინააღმდეგ, რომლებიც ხელყოფენ საზოგადოებრივ ინტერესებს, პიროვნებას და მათ უფლებებს. 1964 წლიდან დღემდე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებას ხელმძღვანელობს. დიდი შორსმკვრეტელობაა საჭირო, რომ არ შეცდე, გზას არ ააცდინო არასრულწლოვანი, რომელიც მხოლოდ ახლა იწყებს ცხოვრების გზაზე გამოსვლას. კ. კანდელაკი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საპატიო მოვალეობას.

პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის კ. კანდელაკს რამდენჯერმე აქვს მიღებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორის და საქართველოს სსრ პროკურორის მადლობა.


მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ გ. ბიწაძემ, პარტორგანიზაციის მდივანმა შ. ჭანტუარიამ და სხვ.

მადლიერი კოლეგები კ. კანდელაკს ულოცავენ სახელოვან იუბილეს და ხანგრძლივ, ნაყოფიერ მოღვაწეობას უსურვებენ სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ.

იუბილარს დაბადების 50 წლისა და პროკურატურის ორგანოებში მუშაობის 25 წლისთან დაკავშირებით გამოეცხადა რესპუბლიკის პროკურორის მადლობა პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მუშაობისათვის და გადაეცა ფასიანი საჩუქარი.

დასასრულს სიტყვა წარმოთქვა კ. კანდელაკმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მისი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

გ. ლ. ნაჭყებია



ქართველ ავღოკატთა რიგებს გამოაკლდა გიორგი დიმიტრის ძე ნაჭყებია. ოცი წლისა, 1920 წელს, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის დამთავრებისთანავე თავის რაიონს დაუბრუნდა და ოთხი წლის განმავლობაში აბაშის შვიდწლიან სკოლას ხელმძღვანელობდა. 1927 წელს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. მას შემდეგ განუწყვეტლივ ემსახურებოდა ავღოკატის კეთილშობილ საქმეს.

1930 წელს ბათუმში მოღვაწეობდა. იყო სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კარგი მცოდნე. საინტერესო მოხსენებებით გამოდიოდა აჭარის სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკთა სემინარებზე, კითხულობდა ლექციებს ბათუმის კოოპერატიულ ტექნიკუმში.

გ. ნაჭყებია განსაკუთრებით ყურადღებიანი იყო ახალგაზრდა ავღოკატების მიმართ; საოცრად დელავდა, როცა მისი მომზადებული ახალბედა ავღოკატი პროცესზე დამოუკიდებლად გამოდიოდა, იმის გამარჯვებით ხარობდა. მშობლიური ლიტერატურის მსურველ პატრიოტი და საფუძვლიანი მცოდნე იყო, რაიმე სიძნელის წინაშე მყოფ მეგობარს თავისი შეთხზული ექსპრომტით გაამხნევებდა.

ასეთი იყო გიორგი ნაჭყებია, უზადო, თავმდაბალი, მუდამ ხალისიანი და შემართებული.

ამხანაგების ჯგუფი

67/243



საქართველოს
ხელნაწილების ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 50 კპ.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 3

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР